

ლიტერატურული გაზეთი

№55 29 ივლისი - 11 აგვისტო 2011

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი

ჩვენს პრემი

პროზა

ლევან სეზისკვერაძე

II

ინა არჩუაშვილი

III

ლაშა იმედაშვილი

VI-VII

ტარიელ ჭანტურია

X-XI

პოეზია

ემზარ კვიციანიშვილი


IV-V

კატო ჯავახიშვილი

VIII

ნოდარ ჯალალონია

IX



„ერთი მოთხრობის კონსერვის“ გამარჯვებული. I პრემია.

„მართლა მოდიან, ბოიშვილი ვიყო!“ – მთელი ხმით აბლაღადა ჩვენ წინა მაცხიდაზე მჯდომი კაცი, რომელსაც ხელში ჯერ ისევ ეჭირა ნახევრად საესე კათხა და აცახცახებული ხელიდან ლუდი ტალღა-ტალღა ეღვრებოდა ნაცრისფერ პულკურზე.

ლუდხანაში, სადაც მე და ბარაკა ვისხედით, ბევრი ხალხი იყო. მაგიდები კლიენტებს თითქმის მთლიანად დაეკავებინათ. ჩვენს წინ მჯდომი ხელაჯახცახებული კაცის მაგიდასთანაც ხუთი თუ ექვსი თანამეინახე იჯდა.

— არა, რას მოდიან, — მეუბნება ბარაკა, — რუსებს რომ თბილისში შემოსვლა ნდომოდით, აგვისტოშივე შემოვიდოდნენ.

თან ვატყობ, ჩემი არ იყო, ამასაც ემჩნევა, რომ ეშინია, მაგრამ ათ-ათი კათხა გვაქვს აღებული, ჯერ მხოლოდ მეოთხესა ვნერუპავთ და როგორია, ადგი და ნახვადე ასე ლუდიდალუდი? არადა, ლუდხანისა და ხალხი იშლება, კაცო! იშლება კი არა, გარბიან. აქეთ ხმამაღლა ჩართულ ტელევიზორში სამხრეთბიანი ბიძაკაცები ლაპარაკობენ და კი არ ლაპარაკობენ — მოსთქვამენ. „დაიშალეთ, ხალხნო, მოდიან ეს მობელქალები!“

რა დადგმული, მართლა მოდიან მგონი!

რალას ვიზამდით, ავითრიეთ ჩვენც წელი. ლუდხანისა და სანამ გავიდოდით, ბარაკამ — მოდი, სათითაო კათხა ეგრევე დავარახრახოთ, იქნებ, კვდებით, ეს დედაფეთქებული.

დავარახრახეთ და გავრბივართ. ჰოი, რას გავრბივართ... ქალაქში ისეთი პანიკაა, „ჯითივის“ შემქმნელებსაც კი რომ ვერ დაესიზმრებთ. ცალკე სახლის ამბავი და ჩემები მადარდებს, რადგან ეს რუსები თუ შემოვლენ, ჯერ ჩვენი უბანი უნდა გაიარონ და მერე დანარჩენი. ცალკე კიდევ მეც მეშინია. რომელი გიორგი სააკაძე მე ვარ. წერეთელზე ვართ და ჩვენს მაღლა ვერტმფრენები სულ გარდი-გარდმო დაბზუილობენ. ჩვენები არიან თუ ვისი, რას გაიგებ? მობილურის საზებია თუ რაღაც უბედურება, რა თქმა უნდა გადატვირთულია. ყველას მობილური უჭირავს და დარეკვას ცდილობს, მაგრამ შენც არ მომიკვდე...

სადარბაზოებიდან, მაღაზიებიდან, ავთიაქებიდან, საიდან აღარ გამოვბიან შემინებული მოქალაქეები და ისეთი გნია-სია, რას ამბობ... მძლოლები მანქანებს ეგრევე გადატვირთულ ქუჩაში აჩერებენ, მანქანებს გზაზევე ტოვებენ და ხალხის მასასთან ერთად ისინიც გარბიან, მაგრამ სად გავრბივართ, ჯერ კიდევ არ ვიცით. ამ დროს ერთმა „კენგოლიანმა“ ძველბიჭური იერის ყმაწვილმა დაიძახა: „ხალხო, მეტროში შევიდეთ, ტოო!.. თუ დაგვბომბავენ, მეტროს არაფერი მოუვა“. თქმა იყო და ვეცით მეტრო „წერეთლის“ კიბეებს და კი არ ჩავიბრინეთ, ჩავგორდით, ჩავხახხით, ჩავსრიალდით, ჩავჯლიგინდით და სულ ასე „ჩავ-ჩავებით“ ჩავალენით პლატფორმამდე, სადაც უკვე ასეულობით ადამიანი მოგროვილიყო და იქ უკვე ჭემ-მარიტი, ფრთაგამილი კრულვისა და გინების კორიანტელი იდგა.


უზესთავისი ყაყინიდან მკვეთრად მხოლოდ სიტყვები: „ესენი“ და „ისინი“ მოისმოდა. „ესენი“, ბუნებრივია, საქართველოს მთავრობა იყო, „ისინი“ კი, შესაბამისად, რუსები. თუმცა ამ ორიდან რომელს უფრო ძალუმაღ კრულავდნენ, ძნელად თუ გაიგებდა ვინმე.

ამასობაში, ხალხი გვემატებოდა და გვემატებოდა. ბარაკამ ისიც კი მითხრა, მალე უფრო ბევრი ხალხი მოვა, პლატფორმაზე ვეღარ დავდგებით და გვირბაბში ხომ არ შევიდეთო. რა დასამალია და, გვირბაბები, სოროები და ეგეთი რამეები ბავშვობიდან მამინებს და 90-იან წლებში, როცა შუა გვირბაბში დენის გამორთვის გამო მატარებლის გაჩერება ჩვეულებრივი ამბავი იყო, ბებრუხანებიც კი რისკავდნენ ვაგონიდან ლიანდაგზე ჩასვლას და უახლოეს სადგურში ფეხით მისვლას. მე კიდევ ვიჯექი და სულ იმის შიში მქონდა, დღეს დენი რომ არ მოვიდეს, ხომ ვიცი, ყველა წავა და მარტო ამ კუნაპეტში როგორ უნდა გაჩერდე-მეთქი.

მოკლედ, არ ჩავიდით ლიანდაგებზე და არც გვინანია, რადგან სულ ცოტა ხანში სადგურის ჩამოსასვლელთან პატრულის ბიჭები დადგნენ და ხალხის განაწილება დაიწყეს მეტროს სადგურის დაბლა არსებულ ოთახებში. რამხელა რამე ყოფილა ეს მეტრო! აქამდე მარტო სადგურიდან ვიცქირებოდით და თურმე სადგურზე ბარე სამჯერ დიდი ადგილი სადგურის დაბლა განთავსებულ დანადგარებს, ოთახებსა და

სათავსოებს უჭირავთ. ბარაკა და მე ეს-კალატორის (რომელიც უკვე გაჩერებინათ) დაბლა ერთ პატარა ოთახუკაში მოვხვდით, სადაც ყველაფერი მაზუთისა და ჟანგის სუნად ყარდა. თან სუნთქვაც ჭირდა, მაგრამ იმ ყაყანს, რაც ზემოთ იყო, მაინც მყრალი სუნის სუნთქვა გვერჩინა. ხმაური ზემოთ ისე მატულობდა, ჩვენამდეც კი აღწევდა. ბარაკა მიმტკიცებდა — რუსები ბომბებს ყრიან და იმის ხმა არისო. მე კიდევ ამის დაჯერება არაფრით მინდოდა და ხალხის ხმა, ბომბების ხმას არა გავს-მეთქი — ვარწმუნებდი.

ტელეფონები ზემოთ არ იჭერდა და იქ რას დაიჭერდა? ჩვენების დარდი ხომ გვექონდა და ცალკე კიდევ ვფიქრობდით, აქ რომ დიდხანს მოგვიწიოს ყოფნა, ხომ



ლევან სებისკვერაძე

ისინი მოდიან!

მშივრები დაეწყებდითო. მე შენ გეტყვი და „ჩვენებს“ წლოების საკმარისი საკვები ექნებათ მეტროებში გადახანხვლი.

მოკლედ, ამ გასაჭირში ვართ. სადღაც მიგდებული უბინძურესი სკამი ვიპოვე. ვიფიქრე, ჩამოვჯდები, ცოტა აზრზე მოვალ... და რას ვხედავ? ეს ბარაკა თბილისურად მიპყულებდა რკინის კარადას, ცალი ფეხი კედელზე აქვს შემოდებული და სიგარეტს არ აბოლებს? თან, უნდა ნახოთ, როგორი გემოთი და თვალების მონკურვით არტყამს ნაფაზებს და დახეთ, როგორც არ გამოუშვას?! ხომ გეუბნებით, ირგვლივ მაზუთია, ტაოტია, ბენ-ზინია, სალიარია, ათასი უბედურებაა. ერთი სიტყვით ბომბზე ვზივართ. ისეთ ბომბზე კი არა, ჯეიმს ბონდი ფილმის დასრულებამდე ათიოდე წუთის წინ რომ ანეიტრალებს ხოლმე... მართლა ბომბია, აბა, რა არის. აქ რომ ხანძარი გაჩნდეს, ისე ამოვიბრუნებთ, რუსული „მიგის“ ბომბი ბაირამობად მოგვეჩვენება. ეს კიდევ აბოლებს და აბოლებს...

რას შერებ, გვხოცავ, შეჩემა-მეთქი, შევეყვრე. ბარაკამ ერთი გადამომხედა, კიდევ უფრო მძლავრი ნაფაზი დაარტყა და „დი ნახუიო“ — მომიგდო. მაგრამ კიდია რა — სიკვდილმისჯილებსაც კი აქეთ სიკვდილის წინ ერთი ღერის მონევის უფლება და ჩვენ რომ მოვნიოთ, რა მოხდებაო.

— მაღლა რომ ავალოთ, გადავრჩებით საერთოდ? — ამბობს და მიდი!.. ურტყამს და ურტყამს ნაფაზებს. მე კიდევ, მაზუთის უზამრამზად გუბემი ვდგავარ ღონი-ჯემოყრილი და ვუცქერე. ერთი შენი ჭკუაც-მეთქი და ამოვიღე მეც სიგარეტი. მოვაკიდებინე და კი მეშინია ან ფერფლი არ ააღდეს, ან ნაპერწკალი, ან რა და ან რა, მაგრამ ორივენი ქართლები ვართ და ჯიბრიანობა ჩვენი მოგონილია.

ის-ის იყო მოვნიეთ, ნამწვებსაც ზედ დავაფურთხებთ, რადგან დაბლა არ დაიგდებოდა და ზანზარიც დანიყო. ცხოვრებაში ერთხელ მაინც ხომ მდგარხართ მატარებლის სადგურის მონჯღრეულ, ალაგ-ალაგ ბალახამოსულ ბაქანზე პროვინციაში? სადგურში მატარებელი რომ შემოდის ხოლმე და ყველაფერი ისე ზრიალებს, ადამიანს კბილის კანკანი გიტყვდება. დაახლოებით ეგრე აზანზარდა ყველაფერი. აი, ახლა დაგვერხა-მეთქი, დავიყვირე და ამგარიშმოცემლად გავიმოტე მაზუთის წუმპეში. ბარაკამაც იგივე ქნა. ვნევართ, პირიდან მყრალ, შავ სითხეს ვიფურთხებთ, ერთმანეთს შევცქერით და რატომღაც ორივეს გვგონია, რომ თუკი სადღაც ჯურღმულში მაზუთი გავი-

შოტებით, ეს თავის გადარჩენაში რამენაირად დაგვეხმარება.

როდის-როდის ზრიალი შეწყდა და ძლივს წამოვდექით. ერთიანად შავები ვართ და კი არ ჩამოვდის, ჩვენი ტანსაცმლიდან ჩამოინელება მაზუთი. მაღლიდანაც ხმაური თითქოს შეწყდა. მივაყურადებთ, სიჩუმეა, კიდევ მივაყურადებთ, ისევ სიჩუმეა... ჯერ ბარაკამ თქვა — ვააო და მერე მეც ავყვი. ვართ ერთი ათი წუთი აეგრე და ვაა-ვააო გავიძახით. წამო, ავიდეთო, მითხრა და დაიძრა კიდევ. მეც წავყვი. სანამ ჯურღმულში ჩამოვიდოდით, ჩამოსავლელთან და მთელი ჯურღმულის გაყოლებაზე რატომ 100 ადამიანი მაინც არ იყო ჩვენსავით შემოხიზნული. ახლა კიდევ ადამიანის ჭაჭანება არსადაა. აქ რომ ჩამოგვიყვანეს, ის პოლიციელებიც კი არსად ჩანან. ისეთი სიჩუმეა, შეიძლება, გაგიჟდეს კაცი.

ამოვდით, გავვდით ბაქანზე და ნამდვილი სოცრება იქ დაგვხვდა. იქ, სადაც ცოტა ხნის წინ კაცის დასადგომი ადგილის მოსაპოვებლად ხალხი ერთმანეთს კეფაში უტყავუნებდა, ერთი სულიერიც კი არსად ჩანდა. შეგვეშინდა და რა შეგვეშინდა, მაგრამ რა უნდა ქნა?.. მაღლა გვინდა ასვლა და გვეშინია. თუ იქაც არავინ იქნება, ნასულია ჩვენი საქმე. ორი კაცი ასე ერთად და ხმაშენყოლილად როდის გაგიჟებულა? სულ იქ ხომ არ ვიქნებოდით?! ამოვიარეთ ეს კალატორის კიბეები და ეგრე შიშ-კანკალით ამოვდით მაღლა.

უკვე კარგა გვიანი იყო და ბარაკას ტელეფონზე ღამის 2 საათი გაშვანშვალე-ბულიყო. მეტროს ფოიეში მთვლემარე პოლიციელმა ჩვენს დანახვაზე ერთი ხმამაღლა შეჰყვირა და ხელი იარაღისკენ

წაიღო. ახლაც გაგვასხენდა რომ ერთიანად შავები და მაზუთში ამოსვრლები ვიყავით. რუსები სად არიან-მეთქი — ვკითხე პოლიციელს. რა რუსები, თქვენ ხომ არ აკაჩავებთ — გვიბასუხა გაოცებულმა — ვაბზე, ვინ ხართ და ამ დროს აქ რა გინდათო — დააყოლა.

რა უნდა გვეთქვა?! ვიდეით გახვევებული და შევცქეროდით ჩვენზე არანაკლებ გაოგნებულ პოლიციელს.

— დღეს თბილისში რუსების ჯარი არ შემოსულა? — მაინც ველარ მოითმინა და ჰკითხა ბარაკამ.

— რა რუსის ჯარი, რის რუსის ჯარი, ეგეთი რა მოსნიეთ, ან რას გავხართ? — გვიპასუხა.

ამასობაში მეტროს დამცველი პოლიციელის მიერ უჩუმრად გამოძახებული პოლიციის ოპერატიული ჯგუფის ბიჭებიც მოვიდნენ. პოლიციის ძირძველი წესის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ერთად აყვანილ წყვილ კრიმინალებს სხვადასხვა მანქანაში სვამენ, რათა დანაშაულის მათთვის მისაღები ვერსიები გზაში არ მოიფიქრონ. ჰოდა, როდესაც პოლიციის სხვადასხვა მანქანაში გვტენინდნენ, ჩემზე ადრე გონს ბარაკა მოეგო, პატრულის მანქანის შუშმა ჩამოსწია და ხმამაღლა დამიყვირა: „ხომ გეუბნებოდი — არ დავლიოთ ეს რუსული ლუდი-მეთქი, რაღაცას ურევენ ეგ დედამოტყუნებელი!“ ესლა თქვა და მანქანაც დაიძრა.



ინა არჩუაშვილი



სექსის გაკვეთილები

— ერთი მყავდა ბოლოს, უფრო კი, ალბათ, იმას ვყავდი. „სექსის გაკვეთილებს“ ეძახდა ჩვენს ერთად ყოფნას; „მასწავლებელი“ ის იყო და ზარსაც როცა უნდოდა მაშინ ანკრიალებდა — ხან „გაკვეთილის“ დასაწყისშივე, ხან შუაში, ხან კიდევ ბოლოს, ერთი სიტყვით, როცა როგორ ხასიათზე იყო. ზოგჯერ დროსაც გადააცილებდა, მაგრამ მესმოდ მისი, — ისეთი დაღლილი და განერვიულებული მოლოდინი სამსახურიდან. არასოდეს მიკითხავს, სად მუშაობდა. გასისინებული შავი „მერსედესი“ ჰყავდა თავისი მძლოლით და ჰალსტუხის გარეშე არ დადიოდა. არც ოჯახის შესახებ დამისვია შეკითხვები. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ სხვაგანაც ჰქონდა სახლი. იქ კი, სადაც მე მივყავდი, არავინ ცხოვრობდა.

ჩემთვის მთავარი იყო, რომ კარგად მიხდიდა და კარგადაც მექცეოდა. მეც წინასწარ დადებულ პირობას, რომ სანამ მასთან ვიქნებოდი, სხვისკენ არ გავიხდებოდი, პატიოსნად ვასრულებდი. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ზოგჯერ ღამითაც ვრჩებოდი მასთან. ერთი-ორჯერ საქმელიც გავუკეთე. საქმელი რა, კარტოფილი შევუწვი და სუფრა გავუწყვე. ისე, სულ გამზადებული, პარკებში ჩაწყობილი საქმელი მოჰქონდა სუპერმარკეტიდან. ღვინოს არ ყიდულობდა, დიდი კენახი ჰქონია და თავისი ხელით ნურავდა თურმე, თანაც რამდენიმენაირს. სიმართლე რომ ვთქვა, ვაზებთან ჩაკუნცხული ვერ წარმომეგინა, მაგრამ რადგან მეუბნებოდა, ვუჯერებდი. თან მიყვებოდა კიდევ რა ჯიშები ედგა და რომელ ღვინოს რისი არომიტი ჰქონდა. მე არ მაინტერესებდა, მაგრამ მაინც ვუსმენდი. ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა, მეცოდებოდა, რომ არ მომესმინა. საერთოდაც, ერთ რამეს ვამჩნევდი, — ხშირად მეცოდებოდა, მაგრამ მიზეზი ვერ გამეგო. ღვინო კი მართლა ჩინებული ჰქონდა — დანმენდილი, მოტკბო, შამპანურივით შუშხუნა.

შეგჭამდით, დავლევდით და მერე ინყებოდა „გაკვეთილი“. მიკვირდა, მისი ჩაცმულობის პატრონმა ასეთი თავაშვებული სექსი რომ იცოდა. თვითონაც ბოლომდე იხარჯებოდა და მეც სიქას მაცდიდა. ვგრძობდი, მოვწონდი, „უროგო მონაფე არ ვიყავი“, მაგრამ ერთი სააღერსო სიტყვაც კი არასოდეს უთქვამს ჩემთვის, ერთი კომპლიმენტი წამლად; ვიცი რატომაც, — ეშინიათ ასეთ კაცებს ჩვენნაირი ქალების, არ შეგვიყვარდეს, არ აგვეკიდონ ან რამე მსგავსი არ მოხდესო...

ასეთი გაბმული და უცნაური კვენესა, მაგ დროს, ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია. თან ხმა როგორ ეცვლებოდა?! ჯერ, თითქოს, ქალივით ქვითინებდა, ბოლოს, გეგონება კატა კრუტუნებსო. უკანასკნელად რომ გააკანკალვდა, მისავათებელი გვერდზე გადაბრუნდებოდა და სასწრაფოდ, ტრადიციულ ნახევარსაათიან ძილს გამოაცხობდა. ძლივს ვიკავებდი თავს ფხუკუნისგან, ისეთი სასაცილო იყო, თან კი ისევ მეცოდებოდა რაღაცნაირად, და ისევ არ ვიცოდი რატომ.

სანამ ეძინა, ჩემი ხელი ჩაბლუჯული უნდა ჰქონოდა. მთხოვდა ხოლმე, რომ გვერდით ვწოლოდი და ამისთვის ფულს მიმატებდა. არ ვიცი, ეს რაღა იყო, — შეიძლება ბავშვობაში შეამინა ვინმემ, ან დიდობაში გადამიგნა რამე სტრესი და მარტო სექსის შემდეგ ემართებოდა ასე. აბა, როგორ არ შემცოდებოდა ილიაში ამოღებულ ჩემს ხელსა და მის მობლუნძულ სხეულს რომ დავყურებდი?! კითხვით კი არაფერი მიკითხავს. ვიცი, კაცებს არ უყ-



ვართ ასეთ რამეებზე ლაპარაკი. ფულიც რომ არ მოეცა, მაინც არ ავდგებოდი. ნახევარი საათი რა ისეთი დროა, როცა აღამიანი გულით გთხოვს. რაც მთავარი იყო, სიგარეტის მოსაწვავად ცალი ხელი თავის-უფალი მქონდა.

უფრო უცნაურად მე ის მეჩვენებოდა, რომ მართლა ზუსტად ნახევარ საათში იღვიძებდა ყოველთვის; ხელს პატიოსნად დამობრუნებდა და კიდევ ერთ, ჩვევაში გადასულ, მანვნის ქამის რიტუალს ასრულებდა. ზმორებით წამომდგარი თვალეხს მოიფშვინებდა, ტუჩის კუთხეებში გაბმულ ნერწყვის ნებოვან ძაფებს თითით დაწყვეტდა და მაცივრიდან გამოღებულ მანონს, ცხოველური სიხარბით, პირდაპირ ქილიდან სვლეპდა. ამ დროსაც მეცოდებოდა.

წელიწადზე მეტხანს ვიყავი მასთან. ბოლოს უკვე ისე მომეჩვენა, მეშინოდა დედა არ დაეძახა. ფულს კი მიხდიდა ხელფასივით, წინასწარ, არასოდეს დაუგვიანებია, მაგრამ მომბეზრდა. ბოლო დროს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სამუდამოდ ვკარგავდი თავისუფლებას. ამიტომ ავდექი ერთხელაც და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვუთხარი, მორჩა ჩვენი ამბავი, ვეღარ შეგხვდები-მეთქი. შეცბა, თეთრი ფერი დაედო სახეზე.

სიმართლე რომ ვთქვა, მის რეაქციაზე ცოტა მეც დავიბენი. მდღემარეობიდან გამოსასვლელად ვითომ გახუმრება ვცადე, სინამდვილეში კი მაგარი იდიოტური რამე ვუთხარი — რა იყო, ხო არ შეგიყვარდი-მეთქი? არაო, ძალიან ბუნებრივად მიპასუხა უკვე ფერადბრუნებულმა, უბრალოდ, შეგეჩვიეო. ისეთი გულწრფელი იყო, ლოყაზე ვაკოცე, პირველად მთელი ამ ხნის განმავლობაში, როგორც აღამიანმა ადამიანს და იმ იდიოტურ ნათქვამს, უფრო უარესი დავამატე: ყველა გაკვეთილი ხომ ოდესმე მთავრდება-მეთქი.

იმის მერე სამი თვე გავიდა. აღარ ვმუშაობ, გული აღარ მიმდის. ფული ჯერ-ჯერობით მაქვს, მაგისი მოცემულიდან დანაზოგს ვაკეთებდი. რომ გამომეღევა, არ ვიცი რას ვიზამ.

სულ ვფიქრობ, სად არის, როგორ არის, ვის ხელთან სძინავს-მეთქი. საერთოდაც, ვგრძნობ, რომ ავირიე, გოგოებიც მეუბნებიან, ძალიან შეიცვალეო. თუ ეს ის არის, რაც წამიერად გამკრავს ხოლმე გულში, მაშინ, დავლუპულვარ და ეგ არის!

ან კიდევ, რა ვიცი, იქნებ სწორედ ახლა უნდა გადავრჩე?!
მოლი

(ალინას და ანნოს, დიანას და ელენეს)

— მამ და მოლი ვართ სახლში. ალბათ უკანასკნელ საღამოს ვატარებთ ერთად. ფანჯრის რაფაზე იდაყვებით ვარ დაყრდნობილი და ეზოში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებ. მიჭირს დიდხანს ფეხზე დგომა, მაგრამ მაინც არ ვწვები. წინ ისედაც უსაშველოდ გრძელი ღამეა. განსაკუთრებით იმ გაკნაჭულ გოგოს ვადევნებ თვალს, ყველაზე მეტს რომ ჭყიპინებს და კალიასავით დახტის. ჩემი თავი დამიდგა თვალწინ,

ჩემი ბავშვობა. უცებ ისე ვეთიშები რეალობას, რომ ტკივილი საერთოდ მაგინყდება.

მეც ამ გოგოს ხელა ვარ და ის დღეა, როგორც დედაჩემმა თქვა მაშინ — ქალიშვილობაში ჩემი „ფეხის შედგმის დღე“; დღე, რომელიც დიდი შიშითა და ცრემლების დაპაღვლით დაიწყო, მაგრამ დღესასწაულით დასრულდა.

ეხლანდელი გოგოებივით კი არ ვიყავი, ყველაფრის აზრზე რომ არიან — წარმოდგენაც არ მქონდა მანამდე მსგავსი რამე თუ არსებობდა. არც დედაჩემს გავუფრთხილებივარ წინასწარ. როგორც მერე მითხრა, იმიტომო, რომ შენი სხეულისა და საქციელის შემხედვარე, ჯერ საკმაოდ მოუმწიფებელი იყავი და, ვფიქრობდი, რატო ჩავუდო თავში ამის აზრი, ბავშვობა რატომ ჩავუშხამოო; თანატოლ გოგონებთანაც, კლასშიც და ეზოშიც, ნაკლებად ვმეგობრობდი, რომ იმათთან მაინც რამისთვის მომეკრა ყური. მართო ერთი დაქალი მყავდა — ჩემი კლასელი და მეზობელი, ჩემსავით გაჩხიკინებული და ქალაბიჭა თიკა, და ისიც ჩემზე შტერი იყო ასეთ რამეებში. ერთნაირი ბედისები კი აღმოვჩნდი, მერე ამასაც ჩემსავით აერია ცხოვრება. სამი თუ ოთხი ქმარი გამოიცვალა მანამდე და არც ერთთან არ გაუმართლა, არც შვილი გაუჩნდა. ეხლა არც ვიცი სად არის. დიდი ხანია აღარ შევხვედრებივართ; ჩვენმა მეგობარმა ბიჭებმა კიდევ, ალბათ, ჩემზე და თიკაზე უკეთესად კი იცოდნენ ქალური საიდუმლოებები, მაგრამ ჩვენი თანდასწრებით ასეთ თემებზე არასოდეს ლაპარაკობდნენ.

ჯერ გათენებული არც იყო, ტირილის ხმაზე გიჟივით რომ შემოვარდა ოთახში ფერდაკარგული დედაჩემი. საერთოდაც გიჟი დედა იყო, დაფეთებული. რომ მოეუყვიე რაც დამემართა, ფერი დაუბრუნდა, გამოიადარა. ჩამკოცნა და ღიმილ-მორეულმა მითხრა: ქალიშვილობაში შეგიდგამს ფეხი, საჭირალი არაფერი გაქვს, ერთი ეგ არის, ხანდახან ფეხბურთის თამაშისა და ხეებზე ძრომილისგან მოგინვეს თავის შეკავებაო. მერე სანოლზე ჩამომიჯდა და ყველაფერი დანვრილებით ამიხსნა, დამარიგა, ამ დროს როგორ უნდა მოეცეულიყავი. მეც რადგან დავრწმუნდი, რომ მუცელში ნაწლავებს არავინ მიჭრიდა და არც სასიკვდილო მჭირდა რამე, თანდათან დავმშვიდდი. თუმცა კარგად მახსოვს, გულისგულში, ჩუმად, მაშინ პირველად როგორ ვინატრე ბიჭობა.

ცოტა ხანში მოთენილს და ნანერვიულს ისე ჩამეძინა. რომ გავიღვიძე, მზე უკვე კარგად ამოწვერილიყო. ტუმბოზე მდგარი ჩემი ნითელი მალეიძარა, რომელსაც ფეხები უჯრიან ფურცელზე სახელდახელოდ დანერილ დედაჩემის წერილზე ედგა, თორმეტს უჩვენებდა. წერილში კი ეწერა: „დე, დღეს სახლში დარჩი, სკოლაში ნუ წახვალ, ნაიკითხე ან ტელევიზორს უყურე. საჭმელი მაგიდაზეა. მე და მამა რაღაც საქმეზე გავდევართ და მალე მოვალთ.“ რაღა დროს სკოლა იყო, მალე ალბათ გაკვეთილებიც დამთავრდებოდა.

საჭმელი კი ვჭამე, მაგრამ ვერც წიგნს და ვერც ტელევიზორს გული ვერ დავუდე. უსაქმურობისგან ოთახიდან ოთახში დავიწყე ბოდიალი, ახალ მდგომარეობას ვეჩვენე. ხასიათიც წელ-წელა გამომიკეთდა.

მერე ისევე ჩემს ოთახში შევედი და ფოტოალბომის თვალთვლივით დავინყე. უკვე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ამ რამდენიმე საათში მართლა გავიზარდე, დაეძალდი და ორიოდ კვირის წინ გადაღებულ ფოტოებში ჩემი თავი ძალიან ბავშვური მეჩვენებოდა.

სადღაც ოთხი-ხუთი საათისთვის კარში გასაღები გადატრიალდა და დედაჩემი და მამაჩემი ხალისიანი ლაპარაკით ერთად შემოვიდნენ სახლში. დარწმუნებული ვიყავი, მამასაც აუცილებლად ეცოდინებოდა ჩემი ამბავი. დედა მას არაფერს უმაღავდა და რაღა ამას დაიტოვებდა უთქმელს? მეც დამავინყდა, რომ მეთხოვა, ნუ ეტყვი-მეთქი. დედა კარებიდანვე შემეხმინა, ცოტა ხანში კი ჩემს ოთახში შემოვიდა. უჩვეულოდ კარგ ხასიათზე იყო. ვიგრძენი, რომ რაღაც ხდებოდა. მართლაც, მოფერებას და ამბების გამოკითხვას რომ მორჩა, ყურში საიდუმლო ხმით ჩამჩურჩულა: აბა, საყვარელო, ახლა კი სიურპრიზისთვის მოემზადე; ცოტა ხანს კიდევ დარჩი შენს ოთახში და როცა დაგიძახებთ, გამოდიო. მე თავგაბატივით გამოვიდე, მამასი მრცხვენოდა, მაგრამ ბოლოს მაინც სიურპრიზის ინტერესმა გადაამძალა და დავთანხმდი.

გული გადამელია ლოდინით. დაახლოებით ერთ საათში ჯერ სიმღერის ხმა შემომესმა, ედიტ პიაფი მღეროდა. დედასგან ვიცოდი მისი სახელი და გვარი, თან ხმაც სხვა მომღერლებისგან განსხვავებული ჰქონდა და ადვილად დასამახსოვრებელი — ისე, დედაჩემის ბებიაც ფრანგი იყო, მისი ხათრით გახდა დედა ფრანგულის სპეციალისტი — მერე კი დედა და მამა ერთად შემოვიდნენ და თვითონ გამიყვანეს სასტუმრო ოთახში, სადაც ჩვენი პრიალა, ოვალური მაგიდა ტორტი, ხლითა და სხვადასხვა ტკბილეულით განყოფილი დამხვდა. იქვე იდგა გაუხსნელი შამპანურის ბოთლი და სამი მალაღი ბოკალი; მაგიდის შუაში კი, ორნამენტებიან ლარნაკში, ოდნავ პირდაღებული ნითელი, ტანმალაღი ვარდები ეწყო. ეს ვარდები და ნამცხვარი, პატარა მადლუაზელ, ამ ყმანვილმა მოგართვათ — კეკლუცად მითხრა დედამ და მამას სიყვარულით სავსე თვალებით შეხედა; მამამ გამიღიმა, რევერანსი გამიკეთა და ხელზე მეამბორა. მე კი მხოლოდ განითვლება მოეახერხე.

ამის შემდეგ რამდენიმე წუთით თვალების დახუჭვა მთხოვეს და ორივენი თავიანთ საძინებელში გავიდნენ. ძალიან დაბნეული ვიყავი. ვერაფრით მივხვდარიყავი, რას უკავშირდებოდა ეს სადღესასწაულო სუფრა და ჩემთვის მომზადებული სიურპრიზი. როცა გამახელინეს, ისევე მაგიდასთან, ჩემგან ოდნავ მოშორებით იდგნენ. დედა საკიდზე ჩამოცმულ ახალთახალ, იისფერი ატლასის კაბას და ზუსტად იმავე ფერის პრიალა, საკმაოდ მალაქუსლიან მაშეებს აკონიალებდა ხელებში, ხოლო მამაჩემს წინ დაეყენებინა თითქმის ჩემსიმაღლე, მწვანეთვალე და შავთმიანი ულამაზესი თოჯინა, რომლისთვისაც მზრუნველად, მორიდებით ამოელო ილიაში ხელები. უცებ მამამ თოჯინას ოდნავ წინ უბიძგა და წარმოუდგენელი რამ მოხდა: ის ფრთხილი, მოკლე ნაბიჯებით ჩემკენ ნამოვიდა! ვიდექი, გამტერებული ვუყურებდი ამ საოცრებას და

სიხარულისა და აღტაცებისგან ხმას ვეღარ ვიღებდი. მაგრამ დედამ მალევე მომიყვანა გონს, ხელი მომხვია და თოჯინასთან ერთად ჩემს ოთახში გამაქანა ახალ კაბასა და ფეხსაცმელებში გამოსაწყობად, სადაც კიდევ ერთი სასწაულის მოწმე გავხდი: სარკეში რომ ჩავიხედე, აღმოვაჩინე, რომ ჩემი ბიჭური ტანისა და სიგამდრის მიუხედავად, ორივე ძალიან მიხდებოდა.

სანამ ჩვენ ვიპრანჭებოდით, ამასობაში მამას შამპანური გაეხსნა და ჭიქების მისაჭახუნებლად გველოდა. მხოლოდ მაშინ, დალოცვისას გამიხილა დედამ ზემისა და სიურპრიზის მიზეზი: თურმე, საფრანგეთის იმ მხარეში, საიდანაც ჩემი დიდი ბებია იყო წარმოშობით, წესი ყოფილა, რომ გოგონას ბავშვობასთან გამოთხოვება და „ქალიშვილობაში ფეხის შედგმა“ თოჯინის ყიდვითა და ტკბილეულის სუფრით უნდა აღენიშნათ ოჯახში, რაც, სამომავლოდ, მისი ბედნიერების საწინდრად ითვლებოდა; სწორედ ასე მოქცეულა თავის დროზე დიდი ბებია; მანამდე, ალბათ, მისი დედა და ბებია, შემდეგ ჩემს ბებიას მოუწყვია ზეიმი დედაჩემისთვის და ახლა უკვე ჩემი ჯერიც დამდგარიყო.

თავისი ვალდებულება ჰქონდა დაქალბულ გოგონასაც: მას პირობა უნდა დაედო, რომ გათხოვების შემდეგ, რა თქმა უნდა, ქალიშვილის ყოლის შემთხვევაში, ტრადიციას არც ის დაარღვევდა და დღესასწაულად უქცევდა შეილს ამ დღეს. იმდენი ახალი ინფორმაცია მივიღე ერთი დღის კვალობაზე, რომ კარგად ვერც გავიზარე, რას მოითხოვდა დედა ჩემგან, მაგრამ პირობა ნამდვილად უყომანოდ და სიხარულით დავდე.

იმ საღამოს ბევრი ვიცეკვეთ სამივემ. მამა ხან დედას კავალური იყო, ხან ჩემთან ცეკვავდა, ხან კი მე და დედა ვბრიალებდით ერთმანეთთან ჩახუტებულები და ბედნიერები.

მოლი სწორედ ის მწვანეთვალეა თოჯინა, დედამ და მამამ რომ მაჩუქეს. აგერ უკვე რამდენი წელია ერთად ვცხოვრობთ. ძალიან შევეჩვიე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი აღარ არიან. ახლობელი ადამიანივითაა ჩემთვის, მაგრამ უკვე მტკიცედ მაქვს გადანყვეტილი მისი გაჩუქება. სულაც იმ პატარა, გაკნაჭულ გოგოს ვაჩუქებ ეზოში, ჩემი პატარაობა რომ გამახსენა. გავიგებ სად ცხოვრობს და სახლში გავუგზავნი; ან დაუძახებ ზევიდან, ამოვიყვან და სანამ ის კიბეებზე ამოვა, მე მოლის მოვმართავ, რომ თავისი ფეხით მივიდეს მასთან, როგორც მაშინ, მამამ რომ ხელი გაუშვა და ჩემსკენ წამოვიდა. დარწმუნებული ვარ, ძალიან მოეწონება.

ყუთში ჩასადებად და ბნელ თაროზე შემოსადებად მეცოდება. არადა, დატოვებით მართლა ვერ დავიტოვებ. მისი დანახვა ყოველთვის იმას გამახსენებს, რომ დედაჩემისთვის მიცემული პირობის შესრულებას ვეღარ შევძლებ. სიმართლე მხოლოდ გულში გავიგე, საავადმყოფოდან გამომწერის წინ მითხრა ექიმმა: სიცოცხლე კი შეგიწარჩენეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, შვილი აღარასოდეს გეყოლებო.



სასახლის ბაღთან

თითქოს თავი დაიხსნაო
სახრჩობელის თოკიდან;
გლიცინიამ ღვინისფერი
მტევნები გადმოკიდა.

გეგონება – შრიალია
აბრეშუმის ფართალთა,
ლამის ცაში ავისროლო,
გული ამიფართხალდა.

ათი ბადე მოქსოვილა,
ერთში უნდა გავება;
ვერაფერმა, გაზაფხულის,
ვერ შესძლო შეკავება.

ქიპილაობა სანთროსთან

როგორ გამომიტყუე,
რა სურვილმა მშობა?
ძვირად უნდა დაგისვა
ჩემი გამოხმობა.

რა წამალი წამისვი,
მოვიწესებ წამსვე,
სვეგამწარებულნიც კი,
არსად ვგავარ წამსვლელს.

სისხლი გამდის კოჭებში,
ისრებს მესვრი ესრე...
რა ხარ, თავი ვერაფრით
რომ ვერ მომაბეზრე?!

გაუთავებლო და
წასაგებო ომო,
ყველაფერს რანაირად
გაწვდევ, დავისსომო?!

სამოს იმედი

თამაზ შილაკაძეს

რამდენი გვახსოვს დღე გულსაკლავი,
წუხილი, გლოვა ღმერთმა გვაკმაროს,
ჩამოთვლაც მიჭირს, იმდენ საფლავის
ჭირისუფალი ხარ უანგარო...

ფიცხი, ვერასდროს ჰგუობდი ნიღაბს,
შეუდრეკელი, სულით მდიდარი...
სიყმაწვილიდან ასეთი იყავ –
ხიფათთან, ჭირთან დაურიდალი.

ძმებმა რაც უნდა გთხოვონ, გავალონ,
უსრულე, მოგდგამს წინაპრის ჯიში...
ათასჯერ დანის პირზე მავალო,
არ იცი, რაა დაღლა და შიში.

მინახავს, ძალას რომ იკრებ მზისებრ,
წლები გადის და რჩები ჭაბუკად...
მტერმა თუ თავი აიშვა ისევ,
შენი თვალბის ცეცხლი დაბუგავს.

ნუმც დაგველევა ნათელი დილის
ხარობს ვაზი და შრიალეხს ყანა...
თავმოსაწონი ექნება თბილისს,
სანამ შენდარი ბიჭები გვყვანან.

სამოგავლოდ გამიზნული

ნათია სიხარულიძეს

ეგებ გამოვდგე ნიჩბად, ფინალად...
სხვა ბედი მელის, ერთხელ გაჩენილს,
დავეუცდი, ახლად აღმოსაჩენი,
ვინმემ საჩემოდ თუ მოიცალა.


მოუვლის, რაც მე დავდგი ზვინებად...
იქნება იგი კეთილი, მორცხვი,
მოისმენს სუნთქვას უთქმელი ლოცვის
და ლექსის ფასი ეცოდინება.

ქველ გზაზე

მიზოზინობს ზამთარი,
გეზომები, თარგო!..
ვკვეთ მოსარგებ სტრიქონებს –
ფორმა არ დავკარგო.

ვროკავ, სანამ საჩემომ
ჩამორეკა ზარმა,
კისერს თვითონ მოიტყხს,
ვინც დამიდო სარმა...
ეგებ შემრჩა მაგია,
ჭირმორეულს, ჭარმაგს...
დასაკარგიც, რომ ითქვას,
არაფერი არ მაქვს.

ჭრელს ვალაგებ ნიჟარებს –
ორსახოვანს, ორმაგს...
რჩეულებიც გვირჩევენ:
მთავარია ფორმა!



ემზარ კვიციანი

ეპიკურის ავტობიოგრაფიული დაგვიანება
(რაჭის გახსენება)

მასხოვს ზვრები ხვანჭკარისა,
მძლავრი ბარაკონი.
მუხის ჩრდილი. ადგილები –
სააგარაკონი.

დუნე როგორ იქნებოდა
ის ცა და დუნია?!
რას დარბოდა!..
სურათზე ჩანს –
ჩემი დათუნია.

მწვანე წენგო. კროლვა კაკლის.
ხელი გამეწება...
წლებს, მუხანათს, დედა-შვილის
მოწყვეა დამინება.

იმათ მერე, მწუხარებავ,
მწენე და წამები...
დარდისაგან დავილიე,
დავალ წანამები.

დათუნა. ღამე. სასაფლაო

მასხოვს ცივი, უბნელესი დეკემბერი.
უეცრად, ღამის ათ საათზე, მოინდომე –
საცოდავი დედაშენის საფლავი გენახა.
მარტო რას გაგიშვებდი, გამოგედევნე.
მინისქვეშა გადასასვლელთან, ჭავჭავაძეზე,
გაფაჩერეთ ტაქსი. მოვიკეტეთ კარები;
შენ – წინა, მე – უკანა. დავიძარით.
წინ გიყვარდა დაჯდომა, გრძელი ფეხები
რომ გაგემართა, თავისუფლად გეგრძნო თავი.
მძლოლმა რაღაც იგუმანა. გაკვირვება არ დაიმჩნია,
საბურთალოს სასაფლაო რომ ვუხსენეთ. გაგვაქროლა.
შევედით გალავანში. შენ განეკი ლაბრადორის ლოდზე.
ალარ ვიცოდი, რა მექნა, დამბურძგლა, გამაჟრჟოლა.
სამმა წელმა გაიარა იმ გამოთმავი ღამის მერე.
ახლა იმ ლოდქვეშ წევხარ, მაშინ რომ იწეი
და ცივ, დანისლულ ვარსკვლავებს ასჩერებოდი.
იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ნება დამრთე –
შენს მკლავზე ხელი დამედო, ფრთხილად მოგფერებოდი.
არ მინახავს სიყვარულის უფრო ძლიერი გამოხატვა,
დამინებულ, არყოფნაში აცრემლებულ დედას რომ მიაგე.
სიტყვა არ გვითქვამს. ჩუმად გამოვთვალე დრო.
წამოგაყენე და წამოვედით, დავეშვით თავქვე.
შენ ხარ ის ბოღმა, ყელს რომ ებჯინება, გუდავს.
რა მიყავი, შავ, გალიგველ სამარეს როგორ დავზომე?!
რას წარმოვიდგენდი, ასე გამფატრავდი,
ფოტოდ დამდებდი...
ვერ მოვთოკე დანაწებული, დაძიგნილი ნერვები,
თორემ რა გასახსენებელი იყო შიშინა,
პირჩაშავებული ღამე?!

ადონისის დაღუპვა

თამაზ ჩხენკელს

ადრეც ნოემბრის მოწყვეი არილს,
უცხო იხილე წიალი...
უცნაურია, არყოფნის კარიც
ნოემბერშივე შეაღე.

ეფერებოდი ნაყოფს სუროთა,
ინამე ის ნახევარი;
„გუგულთა ქვეყნის“ ნახვა გსუროდა,
იქ შეგიძლება მძლევარი.

იქ „სიმურის წყლის“ ისმის ჩქაფუნი,
ტრიალებს მზე წინაპართა...
ტახის ეშვს როდი შეხვდი ძაბუნს,
ცას სული შენი ჩაბარდა.

ფოთოლცვიანაში გაფიქრებული

მეჩვენება, მაგნოლიას
გადაუფრენს გნოლი;
გადავიღის, თეთრ ჭავლებზე,
ჩრდილი, ანათროლი.

სხივებს მზისას, ძნებად შევკრავ,
რაგინდ იყოს ძნელი...
მეც მომინდა, ფრთებს ვიქნევედ,
დანით ასაქნელი.

ერთსაც გავისხენებ: თუკი
საამქვეყნო არ ხარ –
მისწრებაა შემოდგომის
ოქრო... დასამარხად.

ქველი პოეტისი მადლი

ლექსის და ქალის სხვა ჰქონდათ კრძალვა,
იყვნენ ალაღნი, სამეგობრონი;
ასეთად დარჩა კარმელი, შალვა
და აგარელი, თუნდაც გობრონი.

მათში სულმოკლე არვინ ერია,
ერთმანეთისა კლავდათ ზიანი...
ღვიძლ ძმებად, გოგლას და ვალერიანს,
ჰყავდათ პაოლო და ტიცინი.

მოსაგონარი, ავნიოთ ჭიქა,
კვირტი დაინვა მათი გენია,
ისინი, აგიაშვილმა ნიკამ –
მზეჭაბუკებად მოიხსენია.

დაგროვილ ნემოს პირქარი გაგვის,
უმთავრესია, მათი ხმა გვესმას;
შორს ჩვენგან ყველა უნიჭო, ბლაგვი,
ფხა აიშალოს ქართულმა ლექსმა!

პოეტის ფოტო

უნცრუათ გაბრიელავ,
ამ ცივ ღამეში ელავ...

გაბრიელ ჯაბუშანური –
დიდშუბლა და დიდთვალეა,
გამოტანჯულად ილიმის,
სახეზე უჩანს წვალეა.

ბნკარების მესმის წკანწკარი,
ნუთუ არა გვაქვს მერმისი;
ხევსურთა გამოცემული,
ნიგნი მაცრემლებს მე მისი.

გაღანაცვლება

თვალეებს მტკენს თვლემა, მიწა პირდაპირ
ძილში მოვილო ტყაპანი,
დავინებდე სიზმრებს, საცა ჯერ კიდევ
ცოცხლობენ მამა-პაპანი.

დავიძირები მოსარკულ ფსკერზე,
ავიცდენ შხამებს, ნარ-ეკლებს;
გალეულს, მოქნილს, დავიქნევე სხეულს –
იმ ხილვებს ბოლო არ ექნეს.

იქ არვინ არჩევს უცნობს და ნაცნობს,
ბინდო, სხვაგვარად ინთები...
გაულწეველი, უცხო ნაგები,
დამითრევს ლაბირინთები.

ბარემ ზმანების დავყვები წესებს,
ბედი რას აღარ მისევდა;
რამდენჯერ უთქვამთ – სანუთრო ესე,
სიზმარი იხილავდა.

ნათურის შუაშა

ამ საწყლებს ნესტი, სიცივე გისევს,
მოფუსფუსეთა ცქერა გიტაცებს...
არსად ცოცხალ მწერები ისე
უსაფრთხოდ, როგორც ჩემს მაგიდაზე.

ეს ურჩევნიათ ღამეს, მთვარიანს,
შენც შენებურად ეთამაშები;
ემშაკმა უწყის თუ სად არიან –
გამოჩეკილი ანუ ნაშობი.

რად უნდათ შენი მოვლა და კვება,
მოხვედრილი ხარ რა სასწაულში!..
ბრუნავენ, ყველა მისი დღით კვდება,
ფრენას თუ ხტუნვას როგორ დაუშლი?!

არას სჩადიან აუგს, სანუნარს,
გსურს მოეფერო ერთს, პანანუნას;
ნეკზე შეგაბო საცეცის ღერო,
უკანასკნელად მოგიცაცუნა.

სიკვდილის მიორე დღე

წყეულმა რა აკეთა,
რა დაგმართა აგეთი –
შუშაგადაფარებულს,
შავ ჭურჭელში ჩაკეტილს?!

ნიკაპს, ლოყებს, გაპარსულს,
ფერი როგორ წაერთვა!..
არაფერი საერთო
აღარა გაქვს ჰაერთან.

რა უეცრად გადიქცა –
სახლი შენი ხეყუთად,
ცივს, დახუფულს, დაგხედე
და სული შემეხუთა.

გასული ხარ ბოლოში,
ქვის მიგელის ბალიში...
საამდღეოდ, ამდენი,
ნუთუ ღირდა ჩალიჩი?

რკინის ღობე მევლება,
მეც არ ამოვიხაპო...
ნათელს, მზისას, ნუ ღებავ,
არ ამეკრა, ნიღაბო!

ღამინაპული რაინდები

სისხლის მორევში ხმალდახმალ
გადაშვებული სიდი!..
წარმოიდგინე, განსაჯე –
დაუდგებოდი რითი?

თავისკენ ეზიდებოდა –
იბერიელი, მავრი...
მხედრებით შემოჯარულმა,
ვისი იყარა ჯავრი?

უმამაცესად, აქამდე,
ხსოვნას შემორჩა გმირად,
მოჭანგულს, განადიდებდა –
რამდენის ჩანგი, ღირა...
ნაჩეხი სახე იმისი,
ვერარამ ვერ დაძირა.

ფოლადისნისკარტიანი,
ვის დააჯდება ძერა?
მინამ გატენა ის ბუკიც,
როლანდმა რომ ჩაბერა.

შემზარავია, უმზერდე –
შუბნაკრავების ზღართანს...
დალამდა, რალამ შემართოს –
მაჯები მეომართა?!

გულანშაროს სტუმარი

შავად შემოსილია,
არ უყვარს ჭრელა-ჭრულა,
ქალაქს კვეთს ავთანდილი,
გადაცმული ვაჭრულად.

იფიქრებდი, ზღვის პირად
ირხევაო კედარი;
დღემდე ახსოვთ დამნახველთ,
უცხო შესახედარი.

ზაფხულის გააღვივანი

ცაო, მასმინე შენი ჩურჩული,
ვისა და რას ვეურჩო...
მიღიმი, თეთრი ღრუბლების მიღმა,
თვალისმომჭრელად ლურჯო!

ღვთიმობლის კაბის ედრები კალთას,
წამოშლი გულში ნადებს...
ისხარის დარად მესხურე, ის ხარ,
გაფრენის ჟინს რო ზადებს.

ვერსად ვიხილავ ნაფლეთს, შენსავით,
დაფოთლილს გავდეს ჯადოს...
წყაროვ ნათლისა, მომმადლე ძალა,
სიკვდილსაც აღვმეტოს.

ვლოცავ თეთრ მხედარს, გველეშაპს შუბი
ხახაში ვინც გაურჭო;
მინანქრის ფონად გამოდგებოდი,
ცაო, ზღაპრულად ლურჯო!

მაისი თაბილსი

ბოლი ასდით ბალ-ვენახებს,
ათასფერად დაღებულს...
შენი ხმა არ გამოიგია,
სად ფათქუნობ, მძლევერო?!
აკაციათად გადმოკიდა
თეთრი ბაირაღები –
მკერდმოხატულ გაზაფხულის
სამუდამო ტყვე ვარო.

* * *

კვლავაც დაველოდები
სურნელს, ქარის მონატანს;
იცრიცება, იმტვრევა –
გაზაფხულის სონატა.

ძენა დაიძენება,
სუსტი, მწვანე ფოჩებად...
დააცხუნებს, მომინებს –
ჩრდილში გადაჩოჩება.

აპრილს ვკეცავ, ფეხმარდი
დღეებია, სამარტე...
მზე იალებს, იოლად,
არ მინდა დავსამარდე.

**გაზაფხულის გაცილება
(წელიწადის დროთა სრიალზე)**

მიდის გაზაფხული და
გზად ყვავილებს იფენს...
ველარასდროს იხილოს,
მან, ნაყოფი მწიფე.

გაგვეცალა, სიცოცხლეს,
სული თუმც ჩაბერა...
გადავიღის მთებს, მწვანეს,
თეთრი პრიმავერა.

შენაცვლოს – ცხელ ზაფხულს
დარჩენია ისლა;
დააცხუნებს, ტოტებმა
ხილი რომ დაისხას.

მოვა ჭრელ ნატერფალზე
დაახანებს განა –
შემოდგომა მიხედავს
ვენახსა და ყანას.

დაიდგება ტაბლაზე
ღვინიანი დოქი...
ვლოცავთ, ხატთან უფლისა
კი ვართ დასაჩოქი.

ვჩქარობთ, ზამთრის ქარბუქებს
მზად დავუხვდეთ ვინძლო;
ჭირ-ნახული მტერ-მოყვრის,
გვეკონდეს სამასპინძლო.

ყველა თავის წილს ითხოვს,
ვართ ძვლებდაღენილი...
თოვლის საბანს ვიხურავთ,
გადაგვარჩენს ძილი.

გაჭრა მომესურვა

ველარაფერს მიშველის
ჭმუნვის მიმომალვანი,
მიყვარს ლაღვა ღრუბლების,
მომენატრა ალვანი.

ცხვარს თუ მიმოდენიან
გათოშილი თუშები...
დავიამო ეგების
წყლული, მოუშუშები.

არას პატრონს ან ძნელად
დამამძიმებს ერესი...
ყმანვილმა ვერ ვივარგე,
რალას ვიქმ სიბერეში?!

ხეთა ჩრდილავი მანქანის ფარავა

შუალამისას უმზერ რეებს...
შუქნაკრავ ჩრდილთა ადათია –
აგურის კედელს მიმწყდარები,
მარაოსავით გადადიან.

გასროლილს, წრეზე, ლანდებს ხედავ,
ცა მავთულების ნაკანია...
ტოტებზე ცნობ და ფოთოლზედაც –
ნეკერჩხალს, ცაცხვს თუ აკაციას.

წლობით ნაგროვებ-ნაკრებია,
დაიმახსოვრე ჩრდილთა წესი;
გაიშლებიან, გაქრებიან –
რა უნდა ნახო უკეთესი.

**ბარი ჩვენს ქუჩაზე
(უძილობა)**

მთელი ღამე მოჭრიალე,
მოსაჭრელი ნაძვი ვარ;
ყურის ნიჟარებზე თითბრის
ბურთულეები მაცვივა.

მოქანცული, ამ ღრიანცელს,
არავინ გამარდიდა...
ვისმენ გრიალს, გამოვარდნილს,
ამერიკულ ბარიდან.

ჩარხული, ეს უბანი
შენად ველარ იგულო...
ვისმა ხელმა გამოგჩარხა,
იმ როკიდან, რიკულო?..

ტყავგადაკრულ ტამტამების
ყრუ ბაგუნი დაგროვდა,
შეჯახება მოკრიალე,
გახელებულ საკრავთა.

მუჭში ნამწყვედევს, ნაწყმედილი,
ღვიძლს, შინდისფერს, ვზილავდი...
ვინ მალირსებს ზილს, საძილეს,
რა მიატანს დილამდი?!

მარადი ქვრივი

გიყურებენ, გხედავენ,
მონაშეა ცაც ხო?!
მიეჩვიე, რომ ქმრები
კუბობში აწყო.

ერთს, მეორეს, ბოლო გზას
გაუყენებ: ჰერი!
ორმოციც არ გაივლის,
ყელს იღერებ, მღერი.

ოჯახს უნგრევ, ქმარს ართმევ –
ახლობელს თუ დობილს;
გადაჭრელებულია –
შენი გარდერობი.

მეჯლისებზე კუნტრუშობ,
ჭალის უმზერ ციალს;
თავს იქცევ და იზრდება
შენი კოლექცია.

**უნივერსიტეტის ამხანაგი
(სიჭაბუკის ფოტო შემეფეთა)**

ცეცხლად ენთე. ეს საწუთრო
გაუტანელია.
წლებმა ვაჭით დაგანელეს,
ემზარ დანელია!

ჯავახეთის ხრიოკებზე,
მწვანეს ვშლიდით კარავს...
ალბათ ვერც შენ დაუძვერი
დროს – ულმობელს, მპარავს.

გაგძარცვა და თან წაიღო,
ხარბმა, რაც ინება...
ერთ ბიჭობად, მარტო შენი
ღირდა გაცილება.

დეკემბრის ქარში

ჭრელ ფოთოლთა დადგა ტბორი –
ჩემი ცა და ფუძეა;
რით გადვიხდი, შემოდგომას
რა პატივიც უცია.

გამეპარა, თითებშუა,
ის ნეტარი სამი თვე...
განყდა სიმი, ვერ ვპასუხობ –
სიამეს სიამითვე.

ისევ შევრჩი შიშველ ჭალებს,
მოვიწყენდი, აბა, რა!
გასრილდა, ჩემი თავი
ზამთარს გადააბარა.

**ქიფი ზუზღიღვი
(სიყმანვილის ჟამი)**

არას მარგებს აყვიობა,
ავყე გულის ფანცქალს,
გამახსენდა სამეგრელო,
წნელის რუხი ფაცხა,
პილპილების, შებოლილი
სულგუნების აცმა...
დაცხავებულ კედლებშიაც
შემსუთველად დაცხა,
არაფერი შეედრება –
შემოდგომას, მაძლარს,
სმას ხელჩართულს და ლაღობას
მოინატრებ ანლა,
დავიწყე ფაცხა-ფუცხი,
იმად დარჩი, რაც ხარ!
რალა შეგცვლის, რა აზრი აქვს –
დატუქსვას და ცაცხანს?!

მცირე წინათქმა

ხელთ არაფერი მჭერია სხვა მე,
არ მიყვარს ხვეწნა და შევაჭრება
და ჩავუფინე მონათხრობს ღამე –
ვარსკვლავებიან, ცოცხალ ნაჭრებად.

არ ვარ პირმოთნე და აბეზარი,
დაიძარ, ხატო, ხატზე მიწულლო!
ცის თვალთ, რასაც ხედავ, ეს არი,
მეტს ვერას შევძლებ, რომც დამიწუნო.

ლაშა იმედაშვილი

ქართული მანონი

საქართველოს მწერალთა კავშირის პარტფეფუს საიდუმლოდ

განცხადება

ამ ბოლო დროს საქართველოს საბჭოთა მწერლებს შორის ადგილი ჰქონდა ამკარა პოლიტიკურ მტრულ შეხედულებათა აგიტაციას, რაზეც ჯერ ყურადღება არავის მიუქცევია და რასაც, ჩემი აზრით, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. 15-ში თუ 16-ში სალამოს მიხ. ჯავახიშვილი მიმტკიცებდა, რომ არსებობს ხუთი კატეგორიის სისხლი. მისი შეხედულებით ყველაზე საუკეთესოა პირველი კატეგორია, რომელიც აქვთ ინგლისელებს, გერმანელებსა და მასთან ერთად გექონია ჩვენც — ქართველებს, თუმცა ადგილი აქვს აღრევას და გვხვდება პირველთან ერთად მეორე და მესამეცო, მისი აზრით მე-4 და მე-5 კატეგორიის სისხლს, რომელიც ინდოელებსა და სხვა შავკანიანებს აქვს, არ შეუძლია შექმნას არავითარი კულტურა — ისინი ველურები, ხოლო ყველაზე საუკეთესო არის პირველი კატეგორია, რომელიც ქმნის კულტურას, ხოლო ამის ქვემოთ ნაკლები და ნაკლები სისხლია, რომელიც კულტურას ვერ შექმნისო. მან დაასახელა სხვათა შორის რამდენიმე და როგორც მასხოვს, მათ შორის მიულერის თეორია ამ საკითხებზე, რომელსაც ის თავის საუბარში ეყრდნობოდა. ამ ჩვენს საუბარს მაშინ ყურს უგდებდა ვასო გორგაძეც. როცა მე მიხეილს საპირისპიროს ვუმტკიცებდი, მიხეილს მოჰყავდა მაგალითები ვითომ ისტორიიდან, თითქოს ინდოელებს ჰქონიათ ობიექტური პირობები კულტურის შესაქმნელად, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ვერაფერი ვერ შექმნესო. მაშინ მეგონა, რომ ეს მიხეილ ჯავახიშვილმა შემთხვევით ნამორომა, მაგრამ ამა თვისვე, როდესაც ის იყო თამადათ ზანკეტზე აზერბაიჯანულ მწერლებთან შეხვედრის დროს, მიხეილმა იგივე აზრები გაიმეორა დაახლოებით. როგორც მე შორიდან გაეიგონე დაახლოებით შემდეგი აზრი გამოთქვა: რომ სისხლს დიდი მნიშვნელობა აქვს და ახალი თეორია ამტკიცებს, რომ კავკასიის ხალხებს დაახლოებით ერთგვარი სისხლი აქვთო. აქ იყვნენ მაშინ ამხ. დემეტრე და სხვა ამხანაგებიც ხელმძღვანელობდნენ. მიხეილ ჯავახიშვილი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ თურმე მას პირადად გაუსინჯავს სისხლი და აღმოსჩენია პირველი კატეგორიის სისხლი, ე. ი. ვარდისფერ-საუკეთესო. მამ და ამიერიდან აღარაფერი სთქვას ჩემზე პალო იაშვილმა სისხლის შესახებ, რადგან მე ნამდვილი წმინდა, პირველი კატეგორიის სისხლი აღმომაჩნდაო. ეს მე მიმანჩნია კლასიკურად მტრული შეხედულების აგიტაცია და სავესებით ლეგალურ ფორმაში, რაზედაც საჭიროა ყურადღების მიქცევა და შესაფერისი დასკვნების გამოტანა, რომ ბოლო მოელოს რასიული თეორიის აგიტაციას.

ი. ლასხიშვილი.

ანდროს მანონი არ უყვარდა.

გასაკვირია, ღმერთმანი, ან ანდრო რა კავშირშია ამ ყველაფერთან, ან მანონი, ანდა ანდრო, რომელსაც მანონი არ უყვარდა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სხვა ქართველებისგან განსხვავებით, რომლებიც მანონს ნაბახუსეზეც კი მიირთმევენ, ანდროსთვის ეს გრძობა უცხო და უხერხულიც კი გახლდათ, შესაძლოა ბევრი რამ გაცილებით გასაგები გახდეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ გარემოებებში გარკვევის შემდეგ.

ანდროს, როგორც უკვე ითქვა, მანონის თითო კოვზის გადაყლაპვა უდიდეს სატანჯველს ჰგვრიდა, მაგრამ მეუღლეს ხათრს ვერ უტყებდა და ექიმის მითითებას ზედმინევით ზუსტად ასრულებდა. ამ ექიმს კი მიაჩნდა, რომ მანონი, სხვა ყველაფერთან ერთად, იგულისხმება ათასგვარი დანამატები, უშვილობისგან განკურნების უეპარ საშუალებას ნარმოადგენდა. არადა თუ რამე ემუქრებოდა ანდროს ახალშექმნილ ოჯახს, სწორედ რომ უშვილობა იყო. მართალია, ანდრო ამ საქმეში თავს უდანაშაულოდ თვლიდა, მაგრამ მამაკაცის სიტყვებს ყურადღებას არავინ აქცევდა და, როგორც ქართველებს ნესად აქვთ, ყოველივე ჩასიძებულ ანდროს ბრალდებოდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ ანდროს, სხვა ნამდვილთან ერთად, დღის განმავლობაში ორი ქილა მანონისთვის უნდა მოელო ბოლო. განსაკუთრებით მანონის თავზე მომდგარი ნაღების შექმა უჭირდა, რაც, ისევ და ისევ იმ ექიმის მითითებით, უშვილობისგან თავის დაღწევის



ევის უტყუარ საშუალებად ითვლებოდა ნაღების ჯადოსნური თვისებების გამო. სხვა რა გზა იყო და ბედს დამორჩილებული ანდროც დღის განმავლობაში ორიოდ საათს კარგავდა ორიოდ ქილა მანონის შექმნაში.

თუმცა ამჯერად რამდენიმე კოვზი თავის ნაღებიანად ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩაყლაპა, რაც გვარიანად გაუკვირდა, მაგრამ ამ უცნაურ შემთხვევას ახსნა მალევე მოენახა და ყველაფერი მანონის ქილაზე შემოკრულ ქალღმერთის ნაგულად დაბრუნდა, როდესაც სამზარეულოში მარტოდ მჯდარი ანდრო ყურადღებით ეცნობოდა, რა თქმა უნდა, ჭამა-ჭამაში.

მაინც როგორ უნდა მოხვედრილიყო ეს განცხადება, უფრო კი დანოსი, ქართული მანონის ქილაზე?

ანდრო ნამოდგა, მაცივრის კარი გამოაღო, მეორე ქილა გამოიღო, რომელსაც თავზე ასეთივე, ფერგადასული ფურცელი ჰქონდა შემოკრული და რომელიც, ანდროს აზრით, უკვე ნაკითხული დანოსის გაგრძელება უნდა ყოფილიყო:

მე მომხდარი ფაქტის დაფარვა მაინც არ შემეძლო, ვინაიდან ეს პარტიის საქმისადმი ლალაობა იქნებოდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ გაუძნელდება გამიგოს მე და გაიგოს ის ფაქტები, რომლის შესახებაც მე ამ განცხადებაში ვწერ, რომ აქედან სათანადო დასკვნები იქნას გამოტანილი.

ილო ლასხიშვილი.

ქართული მანონის პატარა ქილას დიდი ამბის დატევა უჭირდა, არადა, ინტერესი თუ ცნობისმოყვარეობა თავისას ითხოვდა. ნათლად ჩანდა, ამ ფურცლებს უკან მივიწყებული საიდუმლო იმალებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილს ადრეც ეწოდებოდა. სხვა მწერლების ნიჭის გამო, ხელისუფლება — ამ მწერლების გამო, რომლებსაც თავისიანად თვლიდა ნათლაგდენ, ალბათ ხვდებოდნენ, უფრო კი იცოდნენ, რაც გულის სიღრმეში ავი თვალისგან მოსარიდებლად მომავალი თაობისთვის ჰქონდა გადასახული: ქართული მწერლობა მოსკოვის ნაბუშარია!

ყველაფერი უმნიშვნელო რაღაცად იქცევა.

მწერლებმა კომისია შექმნეს გამომცემლობა „ფედერაციის“ საქმიანობის შესასწავლად. ამ კომისიას ისე არ შექმნიდნენ, რამე ეჭვი რომ არ ჰქონოდათ. ერთ მხარეს მიხეილი აღმოჩნდა, მეორე მხარეს ეს ჩვენი დანოსის ავტორი. კომისია წინ მიინევდა და გამომცემლობის მთავარ ბუღალტერ ცქიტვიშვილს გასაქანს არ აძლევდა. საქმეს ცუდი სუნი აუვიდა, საცაა ერთ-ორი კაპიკის დანაკლისიც ამოჰყოფდა თავს. ეს ჩვენი დამსმენი შემოქმედებასთან გახლდათ მწყრალად, თორემ დანოსების წერა მეტ-ნაკლებად გამართულად ეხერხებოდა. ის პირველი მანონის ქილა, უფრო სწორად, ქილაზე გადაკრული ფურცელი იყო, თავის გადასარჩენად დაწერილი განცხადებას ნარმოადგენდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ამ კაცის გაგებაც შეიძლება, ძნელია მწერლისთვის ციხეში ჯდომა.

დანერით კი დანერა, მაგრამ მასხრად აიგდეს და ყური არ ათხოვეს.

— ეს რა დაგინერია, კაცო?! — გაიცინა მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა დავით დემეტრაძემ და განცხადება მაგიდის კუთხეში ისე ჩამოსდო, რომ ავტორს,

სურვილის შემთხვევაში, მისი ალება შესძლებოდა.

— რაც იყო, ის დაგინერე. — მკვახედ უპასუხა ავტორმა.

— მამ ვარდისფერი სისხლი მაქვსო? — ჩაეძია დემეტრაძე.

— აღარც მალავს და თავსაც იწონებს.

— არა, ეს მაინც რა დაგინერია, კაცო. — ისევ გაიცინა დემეტრაძემ და იქვე დაამატა. — სანდრო ეული მოგვარეთ, ეს სანიანგო მასალა უნდა გადავცე.

— მოვითხოვ, მსვლელობა მისცე ჩემს განცხადებას.

ნათლად ჩანდა, ილო ლასხიშვილი განცხადების უკან გატანას არ აპირებდა და, ერთი შეხედვით, გვარიანი ნაწყენიც ჩანდა. წყნის მიზეზი კი ნამდვილად ჰქონდა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, პირველი დღიდან კავშირის წვერი გახლდათ, სწორედ იმ დღიდან, როდესაც გასაბჭოების ხუთი წლის თავზე მთავრობამ ნამდვილი მწერალთა კავშირი გააუქმა, პროლეტარული მწერლები თავი გაუქმებული ახალი გაერთიანება შექმნა და სათავეში პირველი თავმჯდომარე, სილიბისტრო თოდრაია ჩაუყენა. შესაძლოა პოეზიაში ორივე ფეხით კოჭლიც კი იყო, მაგრამ პარტიის სწორ ხაზს გამართული ნაბიჯით მიუყვებოდა, ცდას არ აკლებდა და ხელისუფლების განწყობას ლექსით ეხმიანებოდა, თუმცა ლავრენტის სიყვარულში კალე ბობოხიძეს მაინც ვერ შეეძრებოდა:

*და კავკასიონს მრავალეროისს,
რა დიდებული დღენი ეღირსა,
აქ სტალინურად იბრძვის ბერია,
მსგავსი ძლიერი ელვა მებისა.*

ვერც შალვა აფხაიძეს აჯობებდა:

*დღევრძელობა და დიდება შენს
ხუროთმოძღვარს ბერიას,
ვისი სახელიც უკვდავი ხალხს
გულში ჩაუნერია.*

ვერც დავით გაჩეჩილაძეს გადაასწრებდა:

*სტალინის ფიქრით, აზრით, სახელით,
წინ ვაუკაცურად გვიძღვის ბერია.*

და ვერც რაუფენ გვეტაძეს დაჩაგრავდა:

*დილის მხესავით მუდამ მგზნებარე,
ახალ თბილისის მშენებელია,
ახალ თბილისის ავტორი არი,
ქართველი ხალხის ბურჯი ბერია.*

მაგრამ ერთ-ორი თბილი სიტყვა ილოსაც ჰქონდა დანერული:

*მზე მინაზუა ჩამოტანილი,
წინ მიგვიძღვება ჩვენი ბერია
და გზას გვინათებს დიდი სტალინი.*

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველებს მეტისმეტად ყვარებით ლავრენტი. სულ შეუქმნიათ 55 ნაწარმოები, აქედან 41 პოეტური ქმნილება, 5 პროზაული და ცხრაჯერ კრიტიკოსებსაც ნაცდენიათ კალამი. ყველაზე მეტი ლექსი — 19 — კალე ბობოხიძეს შეუქმნია. ეს ის კალეა, პოეზიის ობოლ ხიდზე ქალებს რომ მისდევდა კანკალ-კანკალით. მოკლედ, ამ დიდ ხალხში ყოფილა გარეული ჩვენი ილო, ასე რომ, სიტყვა მასაც ეთქმოდა.

თქვა კიდევ. ანდროს მანონის მეორე ქილა, უფრო სწორად, ამ ქილაზე გადაკრული ქალღმერთის ნაგული ლასხიშვილის იმ განცხადების ნაწილს ნარმოადგენდა, რომელიც მწერალთა კავშირის უყურადღებობით გულნატკენი დამსმენი ახლა უკვე პარტიის ცეკას სთხოვდა მიხეილ ჯავახიშვილის დასჯა-განადგურებას. მეო, ჩიოდა ილო, საიდუმლო ბრათი ვახსლე დემეტრაძეს, მან კიდევ ეს ამბავი საქვეყნოდ გამოიტანაო, ჯერ თავად ჯავახიშვილს გააცნო ჩემი განცხადება, მერე კიდევ უპარტიო ფდენტსაც წააკითხაო, მოკლედ მასხრად ამიგდეს და თქვენს იქით გზა არა მაქვსო, როგორც გადაწყვიტავთ, მეც ისე მოვიქცევიო.

წესი კრების გამართვას მოითხოვდა. „საქართველოს მწერალთა მასამ ნამოაყენა შესანიშნავი ხელმძღვანელი ამხ. ლ. ბერია. ჩვენ ვიცით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგთან ერთად რა დიდი ყურადღებით ეპყრობა ამხ. ბერია მწერლობას, მთავარი ხელმძღვანელი ჩვენი მიღწევებისა არის ლ. ბერია“.

არ გაჭრა მიხეილის თავის მართლებამ. სხდომის დასკვნა ილოს განცხადების შესაბამისი გახლდათ: „მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯამუში და დივერსანტი, გარიცხული ქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული“.

ამ ყოველივეს მონდომებით, უფრო კი სიყვარულით, ხელმძღვანელობდა ჯალათი ახუნდოვი. თეთრ ჩერკესკას ატარებდა, რომელიც დღის ბოლოს ერთთავად სისხლით ჰქონდა მოთხრილი. ხელეშეკრულ პატიმრებს საბარგო მანქანაში ჰყრიდნენ, მანქანის მოტორს წინასწარ ამუშავებდნენ, რომ ყვირლის ხმა გარეთ არ გასულიყო, ამის შემდეგ მიჰყავდათ საბურთალოზე და გამზადებულ ორმოში ჰყრიდნენ. მიხეილისთვისაც ასე გაუკრავთ ხელები, სწორედ ამ დროს მოუხერხებია სუსლიკა ანდრონიკაშვილის ასეთივე ჯალათ შულმანისთვის ყბაში ჟანგიანი ლურსმნის ჩარჭობა.

თუმცა მანამდე იყო ნამება, სიკვდილი კი შვება გახლდათ.

პირველი დაკითხვა თავად ბერიამ ჩაატარა. დაკითხვა ერქვა, თორემ ცემის იქით საქმე არ მიდიოდა. ბერია მარტო არასოდეს რჩებოდა პატიმართან, ალბათ შიშის გამო, ამჯერადაც ასე იყო. მწერალს სცემდა საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი ლევან აბაშიძე, ბერია იქვე იდგა და გულიანად იცინოდა. აბაშიძემ თავისი საქმე კარგად იცოდა, ჯავახიშვილს მხოლოდ ყურში უტყყამდა, დაბლა დაგდებულს სკამზე სვამდა და დარტყმას ხელახლა იმეორებდა. რაღა დიდი მიხედვრა უნდა იმას, რომ მწერალმა ყველაფერი აღიარა და საკუთარი ხელით დანერა მწყობრი და გამართული ჩვენება, ისეთი, როგორც მის სამწერლო ნიჭს შეეფერებოდა: „მე ვაპირებდი ამხანაგ ბერიას დაპატიმრებას, რა თქმა უნდა, განადგურების მიზნით“.

ეს ყოველივე ახალი მოთხრობის დასაწყისს ჰგავდა.

*ვაშა გ.პ.უ. — შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დანერული!
როგორც პოეტმა პოლიტიკურმა,
უნდა შეასრულო შენი ვაკვეთილი.
სოციალიზმის ყველა მავნებელი
დიქტატურის ტყვეობით იყოს დახვერტილი.*

როდესაც ბერია გაზეთში გამოქვეყნებულ ნაროშვილის ამ ლექსს ეცნობოდა, ქართულ მანონს მიირთმევდა და გაოფლილ ცხვირზე დაცურებულ, დართქლილ სათვალეს დროდადრო მალა, ისევ შუბლისკენ ქაჩავდა. სიამოვნება ამკარად დასტყობოდა, თუმცა კითხვის დასმას ვერაფერს ბედავდა და ეს ამბავიც დღემდე საიდუმლოდ დარჩა: ლექსმა ასიამოვნა ბელადი თუ ყველა ქართველისთვის საყვარელმა მანონმა.

ანდროც ქართველი იყო, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მანონი არ უყვარდა და უპირატესობას ევროპულ-ამერიკულ იოგურტს ანიჭებდა, მითუმეტეს გასაკვირი იყო მისი საქციელი, უფრო კი შეკითხვა, რომელიც ანდრომ, გარკვეული ფიქრის შემდეგ, გვიან ღამით გაზედა და ცოლს, მერე კი თითქმის ყოველს შემძლე სიფიდერს დაუსვა.

— ჩვენთან მანონი ვის მოაქვს?

— შენთან არ ვიცი, მაგრამ ჩემს სახლში მანონი იმას მოაქვს, ვისაც მოჰქონდა. — მოჭრა სიფიდერმა და ანდროს კიდევ ერთხელ მიუთითა საკუთარი ადგილი.

— ნორა ჰქვია, ლტოლვილია, წყნეთში ცხოვრობს. — ოდნავ შეარბილა ცოლმა.

— საოცარი პირდაპირ. — ჩაილაპარაკა სიფიდერმა, ადგილიდან წამოდგა და წინაპრების სურათს ახედა, ისე, თითქოს მათ სთხოვდა რჩევას, მეტად კი თანაგრძობობას: ნახეთ, თქვენს ოჯახში ვინ ბოგინობს და ხმის ამოღებასაც რომ ბედავსო.

უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ნელი სამართლიანად ამაყობდა საკუთარი წინაპრებით. თუკი რამე გააჩნდა ნელის, მის ქალიშვილს, მის ქმარს და ასევე მათ საგვარეულოს, ამ წინაპრების დანატოვარი გახლდათ. სოლოლაკში მდებარე სახლს ქალბატონ ნელის მზრუნველი ხელი დასტყობოდა. ძვირფასი ავეჯი, რომელიც სხვადასხვა დროისა თუ ეპოქის გამო, უფრო ჩამორთმეულ-მითვისებულს ჰგავდა, ვიდრე შეძენილს, მტკრისგან, ასევე ქალბატონ ნელის მიერ, დღემდე ორჯერ მაინც გულდაგულ იმზინდებოდა. განსაკუთრებული ყურადღებით წინაპართა სურათებს ექცეოდა, რომლებიც მისაღები ოთახიდან შესცქეროდნენ შემოსულ სტუმარს, ცხოვრების ამბობას ახსენებდნენ და წარსულის პატივისცემისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებდნენ, რა თქმა უნდა, ისევე და ისევე ქალბატონი ნელის ხმით.

იაგო დავითაშვილი, დროებით მაინც, ბოლშევიკური პარტიისგან დაფასებულ კაცს წარმოადგენდა. სამეურნეო თანამდებობაც არ გუენს და ენდობოდნენ კიდევ, თუმცა მერე, როგორც ჩვეუდა ჰქონდათ, რაღაცაზე აუხირდნენ და ბანაკებისკენ მიმავალ შორეულ გზას გაუყენეს. მისმა მეუღლემ, მწერალმა და კავშირის წევრმა, ეთერ დავითაშვილმა მეუღლის გადარჩენა სცადა და,

როგორც მაშინ მიღებული იყო, რამდენიმე საკეპარი ლექსი უძღვნა მშობლიურ მთავრობას.

განსაკუთრებით სერგო ორჯონიკიძეს დასტიროდა:

*ცრემლებს ვღვრი,
ვლოცულობ გულანთებული,
არ მჯერა, რომ შენ უკვე აღარ ხარ...
და ჩემს ეზოში დაფინს*

*ფოთოლი სტიროდა
უძვირფასეს სერგოს დაკარგვას.
არც სხვა ბელადები დავინწყნია:*

*დავეცერი პორტრეტს ორი ბელადის:
ლენინი ავად, სტალინი მასთან.*

ჩვეულმა ხერხმა ამჯერად არ გაჭრა და დავითაშვილების ოჯახს რეპრესირებულების დამლა დააჯდა, რაც ქალბატონი ნელისთვის დღემდე სინანულის მიძიება და სიამაყის ლალ გრძობას ერთდროულად ინწყნავდა.

მაგრამ ქართული მანვინის პატარა ქილას ყველა ამბის დატევა უჭირდა. სხვები სხვას ამბობდნენ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჩურჩულით.

როგორ იტყვოდა მიხეილის გვი შადური? სალამათ გარდანქმუნებო.

სილანს.
სმენა და გაგონება.
ასევე დავინწყობ.

სალამათ გარდანქმუნებო!
გასაკვირი არაფერი იქნება იმაში, რაც ახლა ითქმება, რადგან უმეტესობისთვის ეს ყოველივე ნაცნობი უნდა იყოს: მნიშვნელოვანი მოვლენის გასახსენებლად უმნიშვნელო ამბავიც გამოდგება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე დროის განსაზღვრაზე მიდგება ხოლმე.

ეს ამბავიც მაშინ დაიწყო, როდესაც ბათუმის პორტში ინგლისური გემი „ნეტერპინი“ შემოვიდა. გემს ათი მილიონი მანეთის ტყავის საქონელი ამერიკისკენ უნდა წავლენ, მაგრამ ამინდის გაუარესების გამო პორტიდან ვეღარ გააღწია და რამდენიმე დღით იქ დარჩნა მოუწია.

ბათუმში გვარიანად გათოვდა და ასევე გვარიანად აცივდა, შემოს ფასმა სამოცდაათ მანეთს გაუსწრო, ქალაქში ზღაპრული სიძვირე შეიქნა, სურსათ-სანოვავე სანთლით საძებნელი გახდა, ხოლო რისი მოძიებაც შეიძლებოდა, იმას ფასის გამო ვერ სწვდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამას ემატებოდა ისეთი ხალხი, რომელსაც ბათუმთან არაფერი აკავშირებდათ და ისედაც უსურსათო ქალაქი კიდევ უარეს მდგომარეობაში ვარდებოდა. მთელი ქალაქი შიშს ჰყავდა დაპყრობილი, ადგილობრივი ვაჭრები, „ვაგრომის“ საფრთხით, მალაზიის გაღებებს ვერ ბედავდნენ, ამ ყოველივეს თან ერთვოდა ადგილობრივი მილიციის უმოქმედობა, ასე რომ, სრული ქაოსის დაწყებას აღარაფერი აკლდა. იმდროინდელ ბათუმში ხშირად შეხვედებოდათ შიმშილისაგან გულშენუხებულ ხალხს, საავადმყოფოები დაუძღურებულ მოქალაქეთა მიღება-აღრიცხვას ვეღარ აუდიოდნენ, ფულიც ტყუილუმბრალოდ იხარჯებოდა, მარტო ქალაქის სამკურნალო დაწესებულებებს ამ ამბების მოსაგვარებლად ერთი კვირის განმავლობაში ასი ათასი მანეთი დაუხარჯავს, თუმცა საქმე ნინ ვერ წაუგვია და მოსახლეობისთვის, იშვიათი გამოჩენის გარდა, შვევა ვერ მიუცია. მიუხედავად გაუსაძლისი მდგომარეობისა, ბათუმური ტრადიციის თანახმად, მოსახლეობა მაინც გაემართა პორტში შემოსული ინგლისური გემის სანახავად.

სწორედ იმ დროს, როდესაც სხვები „ნეტერპინის“ სილამაზით ტკებოდნენ, ბათუმის კომერციული სასწავლებლის კურსისტკამ, ტარა ზუნდელმა, მშობლიური სასწავლებლის საპირფარეოში თავის ჩამოხრჩობა განიზრახა. ვინ იცის, რით დასრულდებოდა ეს ყოველივე, საპირფარეოში შემთხვევით ამხანაგები რომ არ შესულიყვნენ და ტარა სიკვდილის კლანჭებიდან არ დაეხსნათ. მორიდების, უფრო კი ბათუმში შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, ტარას თვითმკვლელობის მიზეზის გამოსარკვევად არავინ ჩასძიებდა და არც მოკვლევა დაუნიშნავთ, ალბათ იმიტომ, რომ მიზეზი ისედაც ყველასთვის ნათელი გახლდათ: ქალაქში გამეფებული შიმშილი, მეტად კი — უიმედობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმური ამბები, ტარას სევდიანი ისტორიის ჩათვლით, დღედაღამ ქალაქში გამოშავალ გაზეთებშიც დაისტამბა, ივანე ხმალაძემ ამის შესახებ არაფერი იცოდა, ერთი უბრალო მიზეზის გამო: დაპატიმრებული ჰყავდათ მოქალაქის მოტყუებისთვის, ანუ როგორც ხალხში ამბობენ, აფერისტობისთვის.

საქმე ისე ოსტატურად გახლდათ მოწყობილი, ჩანს, ხმალაძისთვის ეს პირველი შემთხვევა არ უნდა ყოფილიყო. ქალაქის კავშირში მისული ვინმე გრიგოლ არუთინოვი და ნარუდეგენია ყალბი მონმობა 786, რომლითაც კავშირის საწყობიდან უნდა მიეღო ასი კილოგრამი თეთრი ფქვილი, სულ თორმეტი ათასი მანეთის ღირებულებისა. დაკავების შემდეგ არუთინოვი გამოტყდა, რომ საბუთი გადასცა საკუთარმა სიძემ, სტეფანე მამედოვმა, მისთვის კი მიუცია ივანე ხმალაძეს მათგან სესხად აღებული იმ თორმეტი ათასის საფასურად, რომელსაც ეს უკანასკნელი დაიბრუნებდა და საწყობიდან ფქვილის გამოტანისა და რეალიზაციის შემდეგ. ხმალაძე, რა თქმა უნდა, ფულიანად გაუჩინარდა. ატყდა ძებნა და ვაი-ვიში. ხმალაძე დააპატიმრეს, მან დაწაშულთან ერთად ისიც აღიარა, რომ ასრულებდა ბუღალტრის თანამდებობას სასურსათო საბჭოს სასურსათო განყოფილებაში, ეს კი იმაზე მინიშნებდა გამოცდილ გამოძიებელს, რომ აფერისტი ხმალაძე მხოლოდ მოქალაქეთა გამოძალეთა არ კმაყოფილებოდა და სახელმწიფოს ვაჭყავებაც ჰქონდა ჩაფიქრებული. მიუხედავად ასეთი მძიმე ბრალდებისა, ივანეს ორ თვეზე მეტი არ გაუტარებია მეტეხის საპრობილეში, ერთი მარტივი მიზეზის გამო: ხმალაძე ჰქონდა კარგი გარეგნობა და განიცდიდა სინდის-ნამუსის სრულ უქონლობას, მოკლედ, მისწრება გახლდათ ახალი უშიშროების სამსახურისთვის, რომელიც ბოლშევიკების მოსვლასთან ერთად მტკიცედ იკიდებდა ფეხს საქართველოს მიწაზე.

თავიდან, როგორც ამ საქმეში გამოცდილი ხალხი ამბობს და როგორც ასეთი სამსახურებს თურმე სჩვეიათ, დამწყებ მუშაკს უმნიშვნელო დავალებებს ასრულებინებდნენ, როგორცაა, ენის მიტან-მოტანა, დანოსის შედგენა და სხვისი საუბრის ყურის გდება. ისე ჩანს, ხმალაძეს დავალება პირნათლად შეუსრულებია, რადგან ორივე ნლის შემდეგ მის წინაშე ახალი ამოცანა დაუსახავთ. მას უნდა გაეცნო და დაახლოებოდა ვინმე ეთერ დავითაშვილს. გაცნობას უშიშროება მოაწყობდა, დანარჩენი კი ხმალაძის მარიფათის საქმე იყო. რა თქმა უნდა, ამ ყოველივეს მომავალში გარკვეული თანხები და უსაფრთხო ადგილი დასჭირდებოდა შეხვედრებისთვის, რასაც ისევე და ისევე საიდუმლო სამსახური მოგვარებდა. ეთერ დავითაშვილი დედად გამოსაცნობ-სათვალთვალო არ უნდა ყოფილიყო, ერთი მხიარული, მწერლობაზე შეყვარებული, საჩუქრების მოტრფიალე ქალბატონი ბრძანდებოდა, რომელსაც კარგი ჩაცმა და მამაკაცთა ყურადღება იტაცებდა. კაცმა რომ თქვას, ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ოციოდე წლით უფროსი ქმარი ჰყავდა, რომელიც სამსახურში ალამ-ათენებდა და მეუღლის ამბები ნაკლებად აინტერესებდა. საიდუმლო სამსახურს თვალის სწორედ რომ მის პირველ ნახევარზე, იაგო დავითაშვილზე ეჭირა. არადა, ცნობით როგორ არ იცნობდნენ სოციალ-დემოკრატების ძველ წევრს, რომელსაც ხელი არაერთხელ გაუმართავს პარტიული მუშაკებისთვის, როდესაც სხვებს ამ დახმარებაზე უარი უთქვამთ. გარდა ამისა, იაგო ბრძანდებოდა მგზნებარე ორატორი, ხალხის ესმოდა და ამ ხალხის ენაზე საუბრობდა:

„გაცნალკევებული მუშაობა ვერ შეედრება საერთო მუშაობას. მაგალითად, კერძო მშრომელი მევენახე ღვინოს მიჰყიდის ვიღაც სირაჯს. ეს უკანასკნელი ცდილობს მხოლოდ ფული მოიგოს, მშრომელი მევენახე ცდილობს ვენახს კარგად მოუაროს, კარგი ღვინო დააყვიოს, ფაქიზად უფლის ჭურ-მარანს. სირაჯი ნაიღებს ღვინოს, ჩაახსნამს უსუფთაო რუმბებში, მიაგორებს ბინძურ ალაგას და ვინ იცის, რას არ ჩაურევს ღვინოში. სულ სხვაა მშრომელ მევენახეთა კავშირები და ამხანაგობები, აქ სრული სამართლიანობა იქნება დაცული“.

იაგოს სიტყვის გარდა საქმეც ბევრი ჰქონდა გაკეთებული. კირიონის მკვლელობის შემდეგ, პარტიის დავალებით, ქუჩა-ქუჩა დაიარებოდა, ათასგვარი ბინძურ ჭორებს აცრელებდა და პატიოსან ხალხს ჩირქსა სვებდა. შეხვედებოდა ვინმე ნაცნობს ბერიას მოედანზე, სადაც ხშირად უწყევდა ხოლმე სიარული სამსახურის სიახლოვის გამო და გაუბამდა ამგვარ საუბარს.

— ხომ გახსოვთ, როგორ ვიღვწოდი ქვეყნისთვის?
— გვახსოვს, როგორ არა.
— მე ვიყავი სინოდალური კანტორის მუშაკი, საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს ყოფილი მდივანი, ჯანი და ახალგაზრდობა სამშობლოს ძლიერებას შევნიერე, მარცხენა ხელი სწორედ მაშინ დაკარგე, როდესაც მინისძვრის დროს, კანტორაში კედლიდან ჩამოვარდნილი ხატის გადარჩენას ცდილობდი, მერე? განა დამიფასა ვინმემ, ახლა დადიან და ჩემზე ათასგვარ სისაძაგლეს იძახიან.

— ადამიანის ენას ძვალი არა აქვსო, ამბობენ.
— არასოდეს დამიმალავს, რომ კირიონის

აშკარა წინააღმდეგი ვიყავი კათალიკოსად არჩევის დროს, სადაც ხუთასამდე დეპუტატი იყო თავმოყრილი და საკათალიკოსოდ ორი კანდიდატი ჰყავდათ წარმოდგენილი, კირიონი და ლეონიდე.

— თქვენ ალბათ ლეონიდეს უჭერდით მხარს?
— ვუთხარი კიდევ კირიონს, შენი წინააღმდეგი ვარ-მეთქი, ფარდა ავნიე და შავი კენჭი ისე ჩაუვლე. — მერე? — მაინც აირჩიეს. — როგორღა მოახერხეს? — დააკენებსა და მღვდლებს შორის მომხდარმა კონფლიქტმა იხსნა. — ვერაფერი გავიცი. — შემოსავლის ორი მესამედი დააკენებს უნდა მიეღოთ, დანარჩენი მღვდლებს და ფულზე პასუხისმგებლობა მათ ეკისრებოდათ, ეს დადგენილება არ დამტკიცა ლეონიდე და ამიტომაც ასზე მეტი ამომრჩეველი ჩამოშორდა, ამ შემთხვევით გაიმარჯვა კირიონმა.

— თავი რად მოიკლა?
— უკურნებელი სენი სჭირდა, ათაშანგი, მარტყოფში წავიდა, ღამით თავისით დაიცა რევოლვერი, რომ სირცხვილსა და ავაღესენებას გადარჩენილიყო. — ვითომ ეგ დასაჯერებელია? — დასაჯერებელი რომელია, ვენეროლოგმა, ალექსანდრე დიასამიძემ მითხრა, ჩემი პაციენტი იყო, მიკვირს ან აქამდე როგორ



გაუძლო ამ სენს, მაგარი აგებულების კაცი ყოფილაო.

— მერე, ეგ საქმე გამოიძიეს თუ არა?
— ჩემს შესახებ გაისმა მითქმა-მოთქმა, ვითომც მე ვრეულიყავ ამ საქმეში. იძულებული გავხდი, ნოე რამიშვილთან მივსულიყავი, რომ ეს საქმე გამოეძიებინათ, რამიშვილს ვერ მივაგენი, მისმა იურისტმა კი მითხრა, თუმცა ჩვენ სოციალისტებზე ვარო და ამ საქმეში არ ვერვით, მაინც კარგად ვიცით ყველაფერი და ამ საქმის გამოძიება არაა საჭირო, რომ ჩვენი ხალხი და სამღვდლოება არ შერცხვესო, ასე დაუბარებია ნოე რამიშვილს.

— ეგ ამბები აღწერილი თუ გაქვთ?
— როგორ არა, აღწერილი მქონდა, მერე დავეკარგე და ახლა აღვადგინე, გადავბეჭდავ და გამოვამზებურებ. — რა თქმა უნდა, დავითაშვილს არაფერი დაუსტამბავს, ან კი რად უნდოდა, ისედაც მარჯვედ ახერხებდა სხვისი დავალების შესრულებას. ასე რომ, ამ ინფორმაციის თუ განწყობის დამსახურება უნდა იყოს, რომ ეს ბნელით მოქმედი საქმე ხეირიანად დარც კი გამოიძიეს. იაგო დავითაშვილს განუელი სამუშაო ბოლშევიკებმა, დროებით მაინც, დაუფასეს და, ისევე და ისევე დროებით მაინც, ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამდებობა გარაფუნეს.

ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როდესაც ანანურის რაიონში მილიციის არხში შოშიაშვილის მეთაურობით აღმოაჩინა ყაჩაღების ბინა. სროლის დროს მოკლული იქნა ორი ყაჩაღი, შაქრო ქაფიაშვილი და კატო ჯანგირაშვილი, რომლებიც სამთავროდან ვაჟკაცურ სროლას აწარმოებდნენ. ყაჩაღების სადგომში აღმოჩენილი იქნა რამდენიმე თოფი და „სტერის“ სისტემის პისტოლეტი ვაზნებთან ერთად, ასევე მიმონერა სხვა ყაჩაღებთან.

შაქრო და კატო თავის ამერიკელ კოლეგებზე, ბონი და კლაიდზე ციკლებით ადრე დათარეზდნენ შარავ ზაზე და შიშის ზარს სცემდნენ როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობას. ბოლშევიკური ხელისუფლება ერთსაც კარგად იცნობდა და მეორესაც, საერთო საქმეშიც კი ჰქონდა და მათი დახმარებით მდიდარი მოქალაქეების დაყაჩაღებას ახდენდნენ, რასაც ექსპროპრიაციას ეძახდნენ. ყაჩაღები ნაქურდალის ნახევარს იტოვებდნენ, ნახევარი კი, იაგო დავითაშვილის

დახმარებით, სოციალ-დემოკრატთა ხაზინაში შეჭრინდათ. თუ რას ხმარდებოდა ამგვარი გზით მოგროვილი თანხები, ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს. სიხარბის ბრალი იყო თუ უჭკუობის, არავინ იცის, მაგრამ შაქრომ და კატომ პარტიის, იგივე ხელისუფლების დახმარებაზე ხელი აიღეს და დამოუკიდებლად განაგრძეს თავიანთი საქმიანობა. ყაჩაღობას არ იშლიდნენ და ბოლო ორი თვის განმავლობაში გვარიანად შეავსეს საკუთარი ოჯახის ბიუჯეტი:

დააყაჩაღეს ნიკოლაევის ქუჩაზე მდებარე მარია კრუტინოვას სახლი და ხელს გააყოლეს 7 000 მანეთის საოჯახო ნივთები.

კოსიკის ტყავეულობის მაღაზიიდან გაიტაცეს 3 700 მანეთის საქონელი.

საზოგადოება „კავკაზ და მერკური“ ამაოდ დაეძებდა 500 000 მანეთად ღირებულ ორ ხალიჩას, რომლის საწყობიდან გაქრობა ასევე განუყრელ წვეილს ბრალდებოდა.

ამ შემთხვევიდან სულ რაღაც სამიოდე დღეში თავს დაესხნენ ინიჟინერ კლემიციკის სახლს, საიდანაც გაიტაცეს ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი, ტყავეულობა და ტანისამოსი, სულ 1 500 000 ათასი მანეთის ღირებულებისა.

ბოლოს კი ექიმ ამიაკ ტერ გაბრიელოვს გასტაცეს ორი ხალიჩა, რომლის ღირებულება შეადგენდა 75 000 ათას მანეთს.

ადვილი გასაგებია ბოლშევიკების გულისწყრომა, რადგან ამ ყველაფრის შემდეგ პარტიულ ხაზინაში, იგივე მთავრობის ვიბეში, მაინც კი არ შესულა, ასე რომ, შაქროსა და კატოს ბედ-ილბალი გადაწყვეტილი გახლდათ, ხოლო მილიციული შოშიაშვილი მხოლოდ შემსრულებელი ბრძანდებოდა და ისიც სარწმუნოდ გამოიყურება, რომ ამ ყველაფრის შესახებ დანვრებიან არაფერი სცნობდა.

როგორც უკვე ითქვა, ყაჩაღების ბინაში, სხვა ბევრ რამესთან ერთად, მიმონერაც იქნა აღმოჩენილი, რაც ძიების საქმეს გვარიანად წინ სწევდა, მთავარი კი ის იყო, რომ ერთ-ორ წერილს იაგო დავითაშვილის ხელი დადტყო-ბოდა და რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისი ბინის მისამართიც ამწვენებდა. ამ მიმონერიდან ერთი საინტერესო ამბავი გამოდიოდა, შაქროცა და კატოც ძველებურად, ყოველი ყაჩაღობის შემდეგ, ნახევარს თუ არა, დისამედს მაინც დავითაშვილს უტოვებდნენ, ხოლო დავითაშვილი სათავისოდ იყენებდა ამ საქმეს და პარტიის სხვა მუშაკებს აღარაფერს უნანილებდა. ისე გამოდიოდა, რომ შაქროცა და კატოც, დავითაშვილის წყალობით, სულ ტყუილად დაუხოცავთ. სად მიჰქონდა ამოდენა ქონება იაგო დავითაშვილს, ძნელი სათქმელი გახლდათ. ამის დადგენა, ჩემს მეთოდებს თუ გავიხსენებთ, დიდ დროს არ დაიჭრდა, მაგრამ ისიც საყოველთოდ ცნობილი გახლავთ, ადამიანს სულის დათმობაზე მეტად ფულის დათმობა უჭირს და შესაძლოა დავითაშვილს ნამების შიშითაც არ გაეთქვა საზამლავის დასადგენად ხმალაძე გამოეყენებინათ, რომელიც უშიშროების მითითებით ეთერ დავითაშვილის საყვარლად დაინიშნა, დანარჩენი კი, როგორც უკვე ითქვა, ხმალაძის მარიფათის საქმეს წარმოადგენდა. გაცნობა შედგა პანაშვიდზე.

თბილისი დასტიროდა მსახიობ გიორგი იშხენელს, რომლის სიცოცხლე უდროოდ და მოულოდნელად ჩაჰქრა. აუარებულ ხალხს მოეყარა თავი, იყო საუბრები, მოგონება, აზრის გაზიარება და გულითადი სინანული.

— ვის შეუძლია დაივინყოს კეთილშობილი ანანიას განსახიერება გიორგის მიერ?

— ხომ გახსოვთ შალიკაშვილის „გადაჭრილ მუხაში“ გიორგი მორუავის როლი? იგი სიხოსოვა თავის ბატონს სახლში დაბრუნებას, სოფლის მიხედვას და ამ ხვეწნას იმდენად ძლიერად გადმოსცემდა, რომ მაყურებელიც მზად იყო, მასთან ერთად შეხვეწნოდა ბატონს.

— ჯერ კიდევ რუსეთში სწავლისას მისულიყო მასთან ერთი თვალსაჩინო თეატრის მოღვაწე და მიემართა შემდეგი სიტყვებით: გიორგი ნიკოლოზის ძე, გეხვეწებით, გემუდარებით, ნუ შეხვალთ ქართულ სცენაზე, რადგან თქვენ იქ დაილუპებით, რუსულ სცენაზე კი სახელი მოიხვეჭთ.

— ნამდვილად ასე იყო, მაგრამ გიორგიმ არ უღალატა ქართულ სცენას.

— დაიხ, დიდი, აუნაზღაურებელი დანაკლისა გიორგის დაკარგვა ქართველი ერისთვის.

ეს სიტყვები უკვე ხმალაძემ წარმოთქვა ეთერ დავითაშვილის გასაგონად. ქალმა მამაკაცის მწველი მზერა იგრძინო, გადამეტებულ ყურადღებას შეამჩნია და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, რაღაც უპასუხა, რა თქმა უნდა, გამომწვევი კეკელუციკით. ეს ჩვევა ჯერ კიდევ ყმანვილქალობიდან დასჩემდა, როდესაც კურსისტკა ტარა ზუნდელი ბათუმში

ჭრელი ფარდაში

მიცურს ტერფები შენს მოლიპულ მდუმარებაზე. ამ ჭრელ ფარდაში უფრო მაგრად გამოეხვიე, წელამდე გაზრდილ ბალახში რომ ვერ დაგინახო. მთაში ნაადრევ გაზაფხულებს ვერ გვპატიობენ კავკასიელი ქარები და კარის სანახებს ისე გულმშვიდად და უსიტყვოდ ანადგურებენ, თითქოს გზა მხოლოდ ამ მინდვრისკენ არ იხრებოდეს. ჩემი სხეულის გზა-ხაზები განოლილან და ნაბიჯ-ნაბიჯ, ხელის შეხებით კრიალოსანზე მარცვლავენ ლოდინს.

— ჩუ...
მე ქალი ვარ. არაფერი, სულ არა მითხრა. ჩუ... მე ქალი ვარ და ნურც დამინდობ! ხმელი ფიჩხივით მუხლზე ვიმტვრევ შენს უჩემობას. ვიხსნი თავსაფარს. ვიხდი ტუნიკს. ნაწნავებს ვიშლი. და იმ ფარდაზე, შენ რომ ნეცხარ მთების გადაღმა — ახლა მზე იწვის. ტანქვეშ დავიგეთ კავკასიის ნატანჯი მინა და ხნულეებს ჩვენი სხეულები ბელტებად ჰყოფნით, მე ჩეჩენი ვარ სანახევროდ, ეს უნდა მეთქვა და სიყვარული მე ასეთი, ასეთი ვიცი. მალა მთებიდან ჩამოყარეს ღრუბლებმა ჭირხლი, ვნებააშლილი ბორგავს დამე ამ ცხელ მინაზე. მე ჩეჩენი ვარ სანახევროდ — ეს უნდა მეთქვა, მოსვლას კი არა, ტკივილიან ნასვლებს ნაჩვევი. ჭრელი გველივით იკლაკნება ჭექა-ქუხილი. ვაცილებ ტერფებს გადამწვარ და ნაომარ დღეებს და ციციხლის ენა — მკერდზე ურცხვად რომ მეფერება და სისხლის ზღვები — გულებიდან ჩვენ რომ გადმოგვდის და მინის სუნი, ჩვენს სხეულებს გზას რომ უმოკლებს და სიყვარული, სანახევროდ ჩვენ რომ გამოგვდის... ამ ცხელ სხეულებს, ციციხლი, სისხლი, მინა არ ჰყოფნით და ამ ფარდაზე, ჩვენ რომ ვნევეართ, რატომღაც ერთად ახლა მზე იწვის. მე ჩეჩენი ვარ. არაფერი, სულ არა მითხრა. თავზე ვიხურავ. ვიცვამ ტუნიკს. ვიკრავ ნაწნავებს. კავკასიაში გაზაფხულებს არ გვპატიობენ ეს უცნაური ქარები და თუ ნახანძრალზე მინას სალბუნად უკვე ჭირხლი გადაეყარა, მივედივარ სწორი ნაბიჯებით, თუმცა ზურგსუკან ვგრძნობ, ნართმეული ოცნებები სულს რომ ღაფავენ.

და სიყვარული მე ასეთი, ასეთი ვიცი.

ჭუპარი

(თვითმკვლელთა შვილებს)

ამ ჭიალუებს დაბადება დაუგვიანდათ. პეპლის ჭუპრიდან გამოჩეკილ ადამიანებს ფრთამოგლეჯილი ოცნებები ერგოთ საგზლად და გათენებულზე — საკუთარ ხორცს ხარბად იჭამენ. გადამნიფებულ დედამინას სხვა რა შემორჩა, თუ არა ომებს დაბრალის კუზის ამოზრდა — ხმელეთის გასწვრივ ამოსული არქიპულაგი. ეს ნაწილ-ნაწილ მორღვეული კიდურები კი ყრია, გგონია, რომ ზავშობის სათამაშოებს ვილაცამ მჭრელი, ბასრი დანა სიგრძივ დაუსვა და დედამინა დაიმტვერა მათი ნახერხით. აქ სიკვდილია. საფეთქელს და საფეთქელს შორის, მიედინება წყალი მდორედ — გრძელ დერეფანში. თვითმკვლელთა შვილებს — გადარჩენა გვიგვიანდება, თვითმკვლელთა შვილებს — სიყვარულსაც არ გვპატიობენ გრძელ სიცოცხლეში და... მე, ვისაც სამყარო ამ ერთი უძილო ღამისთვის მეხვერა, ლოცვისთვის განკუთვნილ სეფისკვერს — გაყინულ თითებში ვმალავდი. მე — ვინც გაციებულ კოცონს ვასუნთქებდი სიცოცხლის საბერველს და ღამეს ვუყოფდი, შემზარავ, სისხლიან, უძილო მოლოდინს, მე — ვისაც არასდროს, არცერთი წუთით და წამით და საათით, ცხოვრება — ბორბლებზე შემდგარი ურჩხული, მარტოს არ მტოვებდა, მე — ვინც ეს დუმილი, უსისხლო, უსახლო, ვერაფრით გავათებ და წლობით ვატარე, სულელები, ჩრდილები, თვალბში მსტოვრებად.

შვიდი თაობის საზიდ ხურჯინს მოვატრევ ზურგით, ჭუპრებით სავსეს, და ხელები მეცხება მიწით. და როცა პეპლებს მოლოდინი ააფრთხილებ, ან როცა ფრთებით საიდუმლოს დაიფრთხილენ, ყველა ჭუპრიდან გადარჩენა, როგორც სათუო გზა, ისე ჩნდება, როგორც ექოს ჩავარდნა ჭაში. აქ სიკვდილია. საფეთქელს და საფეთქელს შორის მიედინება წყალი მდორედ გრძელ დერეფანში. თვითმკვლელთა შვილებს თვითმკვლელობაც გვეპატიება, თვითმკვლელთა შვილებს სიყვარულიც გვეპატიება, თვითმკვლელთა შვილებს დავიწყება გვეპატიება იმ სიცოცხლეში...



კატო ჯავახიშვილი

შენ — ვისაც ამ ერთი უძილო ღამისთვის არ შეგერჩა ძალები, სხეულზე ჯვარსა და სულში კი ლოცვების მაჩვევდი ტარებას. შენ, ვისაც გიცილებ და მაინც ამ გულში ტკივილად ძვალდები და მაინც ახლოს ხარ, ყოველთვის მარცხნივ და საგულე კარებთან. შენ — ვისაც ვერასდროს, ჩემი სიძულვილი ვერაფრით მოგწვდება, და ჯვარი დამასვი ასეთი შიმში და სასტიკი. ასეთი, შენ მაინც ჩემში ხარ, ტუჩებთან, ხელებთან, თვალბებთან, ღანვებთან, მოკვეთილ საფლავთან — ტუჩებით, ხელებით, ცრემლებით მაერთებ.

ამ ჭიალუებს დაბადება დაუგვიანდათ. აქ სიკვდილია. თვითმკვლელთა შვილებს შეგვიანდე, ღმერთო...

კართაგენი

ამოგიშენე ჩამოშლილი ციხე-კოშკები. ქონგურებიდან — კოკას პირი გადავუტეხე და შაოსანი დედასავით მომბლავის წლები: — ადექი.

ნაილე ჩემი კართაგენი. აქ, უნაყოფო დედაკაცებს მხარზე კოკებით მოაქეთ მარილი გადმოღმიდან, დასაწყლულებლად. მინა ისეთი პირმშრალია, ტუჩებს ილოკავს და ნახეთქებში მარილს იღობს მცირე ყლუპებად. ვადაგასული გრძნობებით დაობებულ და ცვილის სახლებში ჩაძინებულ ადამიანებს, ამოშენებულ თვალბებს მიღმა უჭირთ დანახვა და ლაბირინთებს ერთმანეთის ტანზე ხაზავენ — გადასარჩენად. აქ კი ისეთი სიმშვიდეა, თაფლისსუნთან თავშეუბნება, ორპირ და მარტოსულ ქარებს უცვლიან ჩემი ხელები და როდესაც გარეთ ვაჭრობენ ერთმანეთისთვის გაძვირებულ სამკაულებით, ვილაც მსტოვრები, შორეული ქალაქებიდან, აქ — მარილიან კრისტალებზე ღმერთი ბრუნდება.

ახლა ისეთი იოლია დგომა და თვლემა. ახლა ისეთი ძნელი არის დგომა და ფიქრი, რომ შეიძლება წუთებიც კი არ დაითვალონ — ჩვენს იქით.

ნაილე ჩემი კართაგენი. აქ უნაყოფო დედაკაცებს მხარზე კოკებით მოაქეთ მარილი გადმოღმიდან დასაწყლულებლად. გადაღმა თეთრი სხეულები იწყებენ ტიციცივს და სალამოსპირს ცვალებად მოღრუბლულობა აწუხებს მინას, როგორც რაღაც მოსალოდნელი, როგორც ლოდინის შემთხვევით და დროსთან დამთხვევა და ცვილის სახლში გამომწყვდეულ ადამიანებს — გზა უსაფრდებათ. აქ კი ისეთი გრივალაია, თაფლისსუნთან თავშეუბნება, ორპირ და მარტოსულ ქარებს უცვლიან ჩემი ხელები და როდესაც მინა იხსნება, როცა დრო მოდის და დახუჭვის არ გეშინია, როდესაც ხვდები, ქონგურები კვლავ ჩამოგატყდა და წლებმა მერე დაიწყებდა ამოიშენეს, შენს მარილიან კრისტალებზე ღმერთი ბრუნდება, რომ თქვა ისევე:

— ის „კართაგენი უნდა დაინგრეს“ და კართაგენი უნდა დაინგრეს, შენ რომ ნაილე.

კედელი

ასე ვიდექი. კედლებს შორის. ღრმა ბავშვობაშიც. ჩემს პორიზონტზე გადაჭიმულ ციხე-ქალაქში ადამიანებს სინამდვილე თვალბში ჰქონდათ და ხელისგულზე გასავლელი გზა ეტყოდათ. მარჯვენა მხარეს ჩურჩულდნენ ხორბლის ყანები, სალამოობით ცხელ ტაფაზე ვხალავდით დღეებს.

მარცხნივ — გზისპირა მდინარეში კენჭებს ვმალავდით, მერე სველ თითებს ერთმანეთის ტანზე ვიშრობდით.. გარეთ სამყარო იზრდებოდა, იზმორებოდა თავის ქერქში და ცივილურად იქნევდა ხელ-ფეხს, და მაშინ, როცა პირველ კედელს ბზარი გაუჩნდა, როცა ყანები გადაგვიწვია ვილაცამ ღამით, ჩვენ დავიკარგეთ, ისე, როგორც იკარგებიან, დიდ, ჭრელ საბანქვეშ გატრუნული ბავშვობის წლები, და ამ ქონგურებჩამოტვიხლ სიცარიელეს — მე მარტო შევრჩი. მერე წელ-წელა სხვა კედლებმაც დაიწყეს დაშლა. ცრემლით და კირით ამოვლეს ჩაშლილი გზები და საფლავებად გადაქცეულ ხორბლის ყანაში იქ, სადაც ქარი მოგონებებს პანაშვიდს უხდის ყოველ ღამით და მონატრებას ველარ ენევა თვალი, ეს როგორც, ღრმა უფსკრული უმთვარო ღამის, მე დამავინყდა, რომ ამქვეყნად სხვებიც არიან... მე დამავინყდა, რომ ამქვეყნად სხვებიც არიან და დამავინყდა, რომ ამქვეყნად კიდევ არიან — და კლდედ ვიქეცი.

გარეთ სამყარო იზრდებოდა, ვერ ეტეოდა თავის ქერქში და ცივილურად იქნევდა ხელ-ფეხს.. ციხე-ქალაქში გამვლელები შემოდიოდნენ, ფოტო-აპარატს ანათებდნენ ჩამოშლილ კედლებს და შენც ამ ხალხში, ჩემს სხეულთან შეჩერებული, როგორც რაღაცის დასასრული, ან იქნებ მაცნეც...

მე შენს წინ ვდგავარ, მანამ შენ თოფს ლულას უმოწმებ — გემლები თვალბინ... აქ, სადაც ჩემი კიდურები წლებივით ყრია, მე და შენს შორის, ასწლეული რომ გადაფარა. შენ აგურ-აგურ დაშლილ სხეულს აგებებ ტყვიას, რადგან გგონია, ზუსტად, გულში თუ მომახვედრებ გადამარჩენ და ხელისგულზე დატეულ გზებში ჩავრჩებით ერთად.

ნატყვიარები მტკიცა დილიდან, ჩემი კი არა, უფრო შენი, ჰო შენი, უფრო...

კაცნი

„წყალნი წავლენ და ნამოვლენ“. წყალნი მოვლენ და ვერ წავლენ. დაუღამდება ნანვალბ — დროს. კაცნი ბჭობდნენ და კვდებოდნენ. კაცნი ბჭობდნენ და ქრებოდნენ. ჩაეძინება ფერდობზე — ორ(ს) გაზაფხულს ვერ უძლებდეს წელში მოხრილი ზამთარი, ყინულის თეთრ სათითეში — ნემსივით გაძვრეს მზე. მოსინჯე, გვერდით სხეული მინისძვრისაგან ზანზარებს, თუ მამისონთან რიონი შემომავაუბეს ზედ. ჩრდილი გინდოდეს — მზე ნახო. მზე მოგენატროს — ვერ ნახო. ციციხლი მოედოს სანახებს — ცის. კაცნი ბჭობდნენ და ხარობდნენ. კაცნი ბჭობდნენ და ჰყვარობდნენ. მინას ცოხნიდნენ ხარები. ქრის ხმელეთიდან ქარი და ტალღებს მინისკენ მოათრევს, ბნელ მინარეთთან შაოსან ქალს გაუშლია თმა. ომებს აქ ხშირად იწყებენ, ბოლინოსა თუ თრიაქზე, მერე სამშობლო სულ უფრო ხორბლისოდენა ჩანს.

მინას ეძებდე — ცას შესწვდე. ცა მოინატრო — ვერ შესწვდე. ვერ შეელიო შესანი — ხელს. კაცნი ბჭობდნენ და დარდობდნენ. კაცნი ბჭობდნენ და ნატრობდნენ. თვალბებს უყრიდნენ უბეში — ხე(ვს) დაკარგული ტყეები, როგორც დამწვარი სახლები, ჩალურჯებული ტუჩებით — ელოდებოდნენ ბნელს. „წყალნი წავლენ და ნამოვლენ“, წყალნი მოვლენ და ავხდებით, რადგან სიზმრებსაც ჩვენსავე ბედისწერაში ვწერთ.

კაცნი ბჭობდნენ და კვდებოდნენ. კაცნი ბჭობდნენ და ... წყალს მოჰყვა —

დრო.

„ხვალ“

„ხვალ“ — შეიძლება აღარ დადგეს. სწორედ ამიტომ, დღეს მინდა მითხრა უჩემობაში გაბრუნებულ სიტყვას რამდენჯერ ვერ მოუძებნე სველ თვალბში თავშესაფარი. კვლავ ძველებურად საუბრობენ აქ ამინდებზე და ძველებურად კვლავ სიცოცხლეს არ გვპატიობენ, მანამ ქანქარას სამუდამოდ არ ჩაახშობს — ხმით ნატირალი. კაცობრიობა, ეს ვისაც სძინავს, მუდმივად სძინავს,

დადის და სძინავს,
 უყვარს და სძინავს,
 კლავს და ისევ...
 ამ ქვიშის დღეებს, როგორც მზეზე გამომწვარ სიტყვებს,
 ამტვერებს ქარში,
 საათზე კი
 დრო არ იცვლება.
 საქანელაზე ქანაობენ ბავშვები ისევ.
 მუხლისთავეებზე საფენით ატყვიან — დედა.
 ისევ იმგვარად შეუძლიათ დღეებს გაპარვა
 და შედედება.
 „ხვალ“ — შეიძლება აღარ დადგეს.
 სწორედ ამიტომ, დღეს მინდა გითხრა:
 ყველა მიზეზი, რის გამოც ეს უჩემო ყოფა,
 ყველა მიზეზი, რის გამოც ეს მოდება ხავსის
 სიტყვაზე, როგორც გადაქცევა მდინარის გასწვრივ
 ბებერი მუხის
 — არაფერს ამბობს.
 დამარცხებულ დროშასავით ფრიალებს კაბა.
 საქანელაზე ქანაობენ ბავშვები ისევ.
 კაცობრიობა, ეს ვისაც სძინავს,
 მუდმივად სძინავს,
 დადის და სძინავს,
 უყვარს და სძინავს,
 კლავს და ისევ...
 ამ ქვიშის დღეებს, როგორც მზეზე გამომწვარ სიტყვებს,
 ამტვერებს ქარში,
 საათზე კი
 დრო იცვითება.

უდაბნოს მტვერში მგზავრი ვინმე თუკი შემოგვდეს,
 წყალს რომ გაუნვდი,
 „ხვალ“ — შეიძლება ისევ დადგეს
 — ოღონდ. უჩემოდ,
 მოსალოდნელ
 დაბრუნებამდე.

სამხეცე

შენ ხომ არ იცი, რამხელა შეიძლება იყოს ჩემი სიძულვილი
 სიყვარულიდან — სიყვარულამდე,
 გაქცევიდან — დაბრუნებამდე,
 ერთადყოფნიდან — კარის გაჯახუნებამდე,
 მაშინ, როცა ცხოვრების გამას
 უკულმა მოუყვებინა ჩემი შეციებული თითები
 და სველ სინამდისეში მობეზრებული სოლფეჯიოსავით ისმის:
 — მი. რე. დო. მი. რე. დო.
 შენ ხომ არ იცი, რამდენჯერ შემიძლია შეგიძლო,
 როცა გაუთავებელ დაბრუნებებს შორის
 შენი მტვრიანი ქალაქიდან

ნერტილივით მოსჩანს თავისუფლება
 და ჩახლეჩილ იოგებში ჩაკარგული სიტყვები
 იღებენ ოქტავას,
 საკონტროლოდ.

მხრებზე სახლმდგომი კაცი მოდის გზად.
 ტბები აუვისია პირამდე ქვირითს.
 მინდვრებს შესევინა ალქაჯები,
 ზღაპრით მიაქვს ქარს ამბავი.

ტირის...
 და დღე იყოს ისეთი შორი,
 რომ თვალეში გიჩანდეს ცრემლები.
 და მე ვიყო ისეთი შორი, რომ უკან დაგიბრუნდეს მდინარე
 და ყანა იმდენი თავთუხით, იდგე და ვერაფრით ცელავდე.
 ირგვლივ კი, ათობით-ათასმა
 აჩრდილმა პირბადით იაროს...

შენ ხომ არ იცი, რატომ იკარგებიან ადამიანები
 უერთმანეთო სივრცეებში კი არა,
 ერთმანეთისგან შემჭიდროვებულ სივრცეებში,
 მაშინ, როცა ვნებადაცლილ სხეულებს
 ერთმანეთის პირისპირ სავარძლებში ათავსებენ
 და მდუმარებაში დაკარგულ ამოხვრებს შორის
 ღმერთის არსებობა ახსენდებათ,
 მოშინაურებული ნადირებივით
 პატრონის ხელს თვინიერად რომ ლოკავენ,
 და ხორცის გაგლეჯვის სურვილი კი ლაშებიდან
 დუჟად მოსდით.

გზაზე დაუღამდა ხილულსა თუ ბრმას.
 მინა შეციებულთ ერთნაირად გვიშრობს.
 მინა დაიბზარა, და ლოგინზე ბანგდალუღივით მიეგდო.
 შიში.
 და დღე იყოს ისეთი ახლო,
 რომ გვერდით ჩამოჯდომა მოასწრო.
 და მე ვიყო ისეთი ახლო,
 რომ წვიმას გათავაზობდე პეშვებით.
 და მევე ათობით-ათასი აჩრდილი მინაზე მინანერ
 მოლოდინს ათობით-ათასი წლების
 შემდეგაც ვერ აშრობდეს.

შენ ხომ არ იცი, რამხელა შეიძლება იყოს ჩემი სიძულვილი
 შეცდომიდან სინანულამდე,
 სინანულიდან გაქცევამდე,
 გაქცევიდან თავისუფლებამდე,
 მაშინ, როცა ოთხ კედელს შორის
 გამომწყვდეული მხეცივით
 იატაკს ვჩიქნი,
 გარეთ ჭექა-ქუხილის მოლოდინში ცა იბზარება,
 აქ კი, უცნაურ სიჩუმეში,
 მობეზრებული სოლფეჯიოსავით ისმის:
 მი. რე. დო. მი. რე. დო.

თითისწვერებზე გაიარე, ხომ მხედავ მძინავს.
 რამენაირად იქნებ ძილი არ დამირღვიო.

ნოდარ ჯალალონია

* * *
 თუმცა ბევრი მტერი ჰყავდა
 მართალ სიტყვას და სიკეთეს,
 სიმართლემ და სიყვარულმა
 მოგვიყვანა მაინც დღემდე.

მჯერა, ცოდვა-ბრალისაგან
 ისევ უფლის ნება გვიხსნის,
 რადგან ქვეყნად სიყვარული
 ნაკურთხია უფლის სისხლით.

* * *
 ყველა ლექსს და ყველა სიტყვას
 აქვს თავისი რიგი, წესი.
 ყველა თავის მკითხველს ეძებს,
 თეთრია თუ მწვანე ლექსი.

მე კი ვატყობ, სამშობლოთი
 რომ იწყება ყველაფერი,
 რასაც იგი მიკარნახებს,
 იმას ვწერ და იმას ვმღერო.

* * *
 ხანდახან ისეთ ლექსებს ვკითხულობ,
 ფშავ-ხევსურეთის ლექსი მშვიდება,
 მერე გადავძლი ვაჟა ფშაველას
 და ამღვრეული ფიქრი მშვიდდება.

* * *
 ახლა მივხვდი და გავიგე
 და მარტო კითხვა როდია,
 რომ ვიბადებთ ამ ქვეყნად,
 ტირილით რატომ მოვდივართ.

ამ წუთისოფლის შემყურემ,
 ბოლოს მივხვდი და გავიგე,
 სიცოცხლე ტვირთად გვარგუნა
 ბედმა და არსთა გამრიგემ.

* * *
 რადგან ღვთის, ერის რჩეულნი
 მოდიან ჩვენთან მგოსნებად,
 ძნელია საქართველოში
 პოეტობაზე ოცნება.

სხვებმა თავისი იფიქრონ,
 ითვალონ დრო და წამები.
 ჩემი სათქმელი ეს არის —
 „მოვედი, ვნახე, წავედი“.

* * *
 გვინახავს სკამის კაცების
 ქება და განამანია.
 მაგრამ დრომ ყველას სახელი
 არარაობად აქცია.

ხალხმა, ერმა და ქვეყანამ,
 მათი დარჩენა ინება,
 ვინც ცოცხლობს საქართველოსთვის,
 სამშობლოს ვინც ეწირება.

ყალბ სახელს, ტაშს და დიდებას
 არც ცა, არც მინა არ იღებს,
 ისევ დრო-ჟამი აწესებს
 ლამაზ წლებსა და თარიღებს.

* * *
 ისევ შური ერთმანეთის
 და ირევა მონასტერი.
 ვერ გაიგებ, ვინ ვინ არის,
 ვინ მოყვარე და ვინ მტერი.

არაფერი არ აწუხებთ
 თავის სკამის, კუჭის იქით.
 ისე, ვითომ ხალხზე ზრუნვა,
 ისე, ვითომ ხალხზე ფიქრი.

არის ყალბი ფაცი-ფუცი,
 აი, საქმე ამაშია —
 არის თვალში ნაცრის შეყრა
 და სიტყვების თამაშია.

* * *
 თუმცა განგების ძალით, ნებით,
 გაიყარა ჩვენი გზები,
 მაინც ისევ მენატრები,
 მაინც ისევ მესიზმრები.

ვატყობ, ნამდვილ სიყვარულთან
 უძლურია თურმე წლები.
 ვხედავ, ისევ მესიზმრები,
 ვხედავ, ისევ მენატრები.

ჩანს, სულს ისევ შერჩენია
 სიჭაბუკის დრო და წლები,
 რადგან ისევ მენატრები,
 რადგან ისევ მესიზმრები.

* * *
 ისევ მიდი-მოდიან, მეფეა თუ მესია,
 მაგრამ ქვეყნად არ კვდება ლექსი და პოეზია.

ბევრი ძეგლი ინგრევა — დროის განაწირები,
 მაგრამ ქვეყნად არ კვდება სახელები გმირების.

რადგან იმათ სახელებს ვლოცავთ და ვეფერებით,
 საქართველოს სჭირდება ლექსი და სიმღერები.

რადგან გვეამაყება სვეტიცხოვლის კედელი,
 საქართველოს სჭირდება ფუნჯი და საჭრეთელი.

თუმცა ყველას და ყველაფერს ქვეყნად
 დასასრული აქვს,
 იმ ფრესკებში, ლექსებში საქართველოს სულია.

სწორედ მათი წყალობით მტერი ვერ მოგვერია,
 უკვდავ „მრავალჟამიერს“ ჩვენში დღესაც მღერიან.

დღესაც გულს გვანერია, მთაშია თუ ბარადა,
 იმ მოყმის და იმ ვეფხვის დანერილი ბალადა.

რადგან ლექსით, სიმღერით ვევედრებით უფალსაც,
 არ მოკვდება არასდროს ჩვენში „მუმლი მუხასა“.

წუთია წუთისოფალი

რადგან, წუთია წუთისოფელი,
 დრო-ჟამმა ბრძოლის ველად აქცია
 და საფლავისთვის სიცოცხლეშივე
 არის შუღლი და განამანია.

სასაცილოა ეს ყველაფერი
 და უაზრო ფიქრს ველარ აყვებთ.
 სულ არ მანუხებს, თუ რა ერქმევა
 იმ საფლავს, სადაც დავიმარხები.

სულ არ მანუხებს, თუ რა ერქმევა,
 ოღონდ ქართული მინა მეყაროს,
 ოღონდ მამულზე ფიქრით, ოცნებით
 სულმა ილხინოს და ინეტაროს.

თორემ, ცხოვრებამ ბევრჯერ გვანახა,
 ვინ ვინ არის და
 ვინ სად მარხია,
 რომ ყველაფერის ბჭე და მსაჯული
 ისევ დროა და ისევ ხალხია.

და მეც უაზრო, ფიქრებს ამოს,
 ველარ ვენდობი და ვერ აყვებთ.
 სულ არ მანუხებს, თუ რა ერქმევა
 იმ საფლავს, სადაც დავიმარხები.

ოღონდაც, სულმა საქართველოსთვის
 იქაც ილოცოს და ინეტაროს,
 ოღონდ ქართველად დავიმარხო და
 ოღონდ ქართული მინა მეყაროს.



* * *

ვიკილიქსი ვიკილიქსის ქართული ანალოგია, უფრო სწორედ, ქართული ვიკილიქსის, ვირტუალური ვიკილიქსის ერთერთი ვერსია.

იქნებ სწორად ვერ ვერ გამოვთქვი სათქმელი! არაუშავს. გზადაგზა, როცა ჩემს ტექსტებს გაეცნობით, მიხვდებით, რის თქმა მსურდა, და იმასაც გაიგებთ, რით ჩამოგავს ვიკილიქსს ვიკილექსი, ან ჩამოგავს თუ არა საერთოდ! იქნებ ეს მხოლოდ სურვილია ჩემი, გავდეს ჩემი ჩანაწერების ახალი ციკლი პოპულარულ ვიკილიქსს!

ცხადია, ვიკილექსი არ უდრის ვიკილიქსს - ჩვენი ამოცანა და თემატური თვალსაზრისი, ჩვენი ჩანაწერების მასშტაბები ბევრად შეზღუდული და მარტივია - ჩვენ კომუნიზმისდროინდელი პოეტებისა და მათი მკონტროლებელი ორგანოების საქმიანობას შევხებით და არც კომუნისტი პოეტების მორალს დავტოვებთ უყურადღებოდ.

ამ სათაურის ქვეშ - ვიკილექსი - ყველას შეეძლება თავისი პოეტიკის გაცხადება. პროექტი, ცხადია, ლუსტრაციის ელემენტებსაც გულისხმობს...

რატომ „ვიკილექსი“

ძველებს ახსოვთ კომპარტიის ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში, ქალბატონი ვიკა სირაძე! სწორედ ვიკა სირაძე, იგივე ვიკი სირაძე იქნდა უდიდესი სიმტიკიცეს საეჭვო პოეტური გამოხდომების წინააღმდეგ ბრძოლაში. დაუჯერებელიც კი ჩანდა ზოგჯერ სუსტი სქესის ნარმომადგენლისაგან ის უღმობელი დასკვნები და გადაწყვეტილებები, რაც ქალბატონ ვიკის კომუნისტების მტრობაში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ გამოჰქონდა. სწორედ იმ დროს დაიბეჭდა ჩემი ერთი ლექსი - „ალბერ კამიუს თუთიყუში“. ლექსი იმდენად პატარაა, ალბათ არავინ დასვამდა, მთლიანად თუ მოვიტან:

ალბერ კამიუს თუთიყუში

(იუმორესკა)

სისულელეა ყველაფერი! სისულელეა!

იდეოლოგიურ თათბირზე საშინელ მკრეხელობად გამოაცხადა ქალბატონმა ვიკიმ ეს ლექსი - ხედავთო? კომუნისტის სისულელედ აცხადებსო! მარქსისტულ ფილოსოფიას სისულელედ აცხადებსო! რეფორმებს, რომელსაც ბატონი ედუარდის ხელმძღვანელობით ჩვენი ცეკა და მთავრობა ახორციელებს, ანტიპოდების წინააღმდეგ ჩვენს ამ თავგანწირულ ბრძოლას სისულელედ აცხადებსო (არც იმან მიშველა, ლექსს ქვესათაურად იუმორესკა რომ ეწერა)...

განსაკუთრებით უყვარდა ქალბატონ ვიკის ლექსის წინააღმდეგ ბრძოლა. ყოველ მეტაფორაში კომუნისტების ნასროლი ბომბი ელანდებოდა!

აი, ამიტომ გადავწყვიტე, ვუნდოდ ჩემს ამ პროექტს - სამოციანელთა ტანჯული ცხოვრების ჯერაც დაუნერვლ ისტორიას ვიკილექსი! თორემ ქალბატონი ვიკი (ვიკა, ვიქტორია) არც სხვა მდივნებზე უარესი იყო ალბათ და არც უკეთესი! მოკლედ, რა სანყენიც უნდა იყოს ვინმესთვის მისი სახელის გამოყენება, ვიკილიქსთან ვიკილექსის დამთხვევას გვერდს ვერ ავუვლი!

მაშ, ასე: ვიკილექსი! უფრო გამართლებული სახით - ვიკილექსი!

სმენა იყოს და გაგონება

ჰველ ჟანრი კარგია, გარდა პოეზიისა! — პოეზია, ეს ხან სამოთხეა, ხან კიდევ ჯოჯოხეთი...

მაგრამ განგებამ პოეტად გააჩინა? — ასი რომანიც რომ დაწერო და ასზე მეტი კიდევ გამოკვლევა, სულ ერთია, იმ

სამოთხესა და იმ ჯოჯოხეთს თავს ვერაფრით დააღწევ და ან სულ მშვენიერების დაუსაბამო სივრცეში იხეტიალებ შენიანების მოლოდინში, ან კიდევ შენიანებთან ერთად იქნები გაკრული ჯვარზე...

რა აბსურდად გამოიყურება ამ დროს, კაცი რომ პოეტობას იბრალებს! ჯერ ერთი, რად გინდა ეს სხვათა გოლგოთა, და მეორეც - ვის დააჯერებ შენს პოეტობაში!

არის აგერ კაცი - მისი სიცოცხლეში არ უმდერია! კი, ქეიფობს, გადაგადმოდის ალავერდს, მაგრამ შეთვრენ და სიმღერა წამოიწყეს თანამესუფრეებმა! ჩვენი ცრუპოეტიც აქვეა, მაგრამ საბრალოს დათვმა ყურზე დააბიჯა ფეხი, სმენა არა აქვს პატივცემულს, და ზის სუფრასთან უხერხულად - ამ ულამაზეს გალობას ხმას ხომ ვერ ააყოლებს - ხან რაღაცას გადაიღებს, ხან ჭერს ახედავს, და ელოდება იმ წამს, როცა ეს უხერხული - მისთვის უხერხული წუთები დასრულდება!

ამ, უკაცრავად პასუხია, პოეტს ცნობა სჭირდება იმის თაობაზე, რომ პოეტია - პრემიები უნდა მიიღოს! მერე რომელიმე გამოცემაში - ვინ ვინ არის - თავისი გვარი უნდა შეტენოს! რომელიმე უცხო გამოცემაში თავისი ლექსი უნდა გამოაქვეყნოს - ეს ტექნიკურად არც ისე ძნელია - ვინ რას გაიგებს თარგმანით, ვინ ვინ არის! მერე ერთ-ორ ინტერვიუს გამოაქვეყნებს - ამ პოეტს კბილს გაკრავს, იმას ჭკუას დაარბევს, და საქმე უკვე მოყომარებულია!

ეზრა პაუნდის ნიგნია აგერ! მუსიკაზე წერს! ციტატები ნოტებით მოაქვს!

საშინელი სირცხვილის გრძნობა მიჩნდება, რომ მე, პოეტმა კაცმა, არ ვიცი

ტარიელ ჭანტურია

ვიკილექსი

ნოტები, და არ შემოიძლია, სახელოვანი პოეტის მიერ მოტანილი ეს ციტატები წავიკითხო!

და ამ დროს შენ, უსენო კაცი, რომელსაც არ შეგიძლია, ქალგულოს ან მრავალფაშიერს ხმა ააყოლო, გულში მაინც - პოეტი ვარო, ირწმუნები!

ხომ ვიცი, რა კარგად მღეროდა გალაკტიონი!

მე ვიცი, რა კარგად მღეროდა ოთარ ჭილაძე!

რა უნაკლო სმენა ჰქონდა მუსიკის დიდ თაყვანისცემელს - გივი გეგეჭკორს!

რას მიმტკიცებ — უსმენო კაცი შეიძლება პოეტი იყოს?

არ გამოვა! ვერ დაამტკიცებ! ვერც ვერავინ დაამტკიცებს ამას!

ამიტომ გჭირდება შენ ცნობა პოეტობის შესახებ!

რა ცნობებია ეს, ზემოთ უკვე ითქვა!

ვიკილექსი ყალბ ცნობებს არ დასჯერდება! მას ეს ცნობები განგებისაგან სჭირდება!

თორემ ლექსის წერას რა უნდა - გადავსებოლია ლექსით მთელი საქართველო!

პოეზია თქვი შენ, თორემ ლექსი, კი ბატონო! რამდენიც გინდა!

თანაც იმ ქვეყანაში, სადაც გამკითხავი აღარავინ დარჩა!

გაერთიანდება აგერ ხუთი უნიჭო და დედას უტირებს ას ნიჭიერს!

ადრე თუ გვიან, ეტყობა, ეს თამაშიც დასრულდება!

ეს რომ ასე მოხდეს, ვიკილექსმა უნდა თქვას თავისი სიტყვა!

იტყვი! ალბათ იტყვი...

„პარავოზი“


ს ა ბ შ მ თ ა პ მ ე ტ ი ს თემას რომ შეეხები კაცი, აუცილებელია, მომავლის მკითხველს განუმარტო „პარავოზის“ ცნება.

„პარავოზი“ გახლდათ ლექსი-კომპრომისი, რომელსაც ახალბედა, დებიუტანტი პოეტი თავის პუბლიკაციას ნარუმძღვარებდა (ან თავის ლექსებს დაურთავდა, თავის ლექსებთან ერთად დაბეჭდავდა), რათა კომუნიზმისადმი მის ერთგულებაში ეჭვი არავის შეეტანა, კომპარტიისადმი მისი სიყვარული ეჭვქვეშ არავის დაეყენებინა!

„პარავოზი“ — ეს იყო კომპრომისი! მსხვერპლი! შესაწირავი სტრიქონები! ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელი იყო თუნდაც იმისთვის, რომ შენი პოეტური დებიუტი შემდგარიყო, პოეტად შენი აღიარება მომხდარიყო და დაჩქარებულიყო შენი პოეტად კურთხევა — მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი შენი „პერსონა გრატად“ ქცევა, ამ გზით შეგეძლო გემოვა ცოცხლად დარჩენის გარანტია! — უკვე აღიარებული პოეტების გადასახლებას და, მით უმეტეს - დახვრეტას კომპანია ორმოცდაათიანი წლების მინურულს და 60-იანი წლების დასაწყისში უკვე ერიდებოდა!

ასე რომ, „პარავოზი“ სავესებით გამართლებული შესაწირავი იყო.

„პარავოზის“ ამგვარი განმარტების სისწორეს და მისი, ასე ვთქვათ, გამართლების სისწორეს ადასტურებს ბოლომდე ანდერგრაუნდის სივრცეში ჩარჩენილი პოეტის, შოთა ჩანტლადის ცხოვრებისა და შემოქმედების მაგალითი. როგორც ცნობილ-



შოთა ჩანტლადი

ია, სიცოცხლეში შოთა ჩანტლადის ლექსები არ გამოუქვეყნებია, თუმცა ყველაფრიდან ჩანს, ის ამას აპირებდა. ამის დასტურია მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული სრული კრებული, სადაც დაბეჭდილია ლექსი ლ ე ნ ი ზ ე! აი, სწორედ ეს ლექსია ტიპური „პარავოზი“ - იგი ან განსვენებულ პოეტს, როგორც ჩანს, გამზადებული ჰქონდა საიმისოდ, რომ მისი პოეზიის „ვაგონებისთვის“ - მისი მშვენიერი ლექსებისთვის წარმემღვარებინა. ასე იქცეოდა ყველა იმ დროს, ვინც რაღაც დონეზე ეჭვმიტანილი იყო კომპარტიის თვალში! როგორ ფიქრობთ, ვის თავში განდებოდა ეს სახელი - „პარავოზი“! ისევ და ისევ ანდერგრაუნდის სამყაროს შემოქმედის თავში! ამ შესტს თუ ამ ფაქტს - „პარავოზის“ არსებობის ფაქტს - პოეზიის ნამდვილი მცოდნე და დამფასებელი მკითხველი შემწყნარებლურად უყურებდა - იგი პატიობდა პოეტს ამ საქციელს, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით კი - ეს ნაბიჯი და ეს „პარავოზი“ უნდა გამონაკლისი ყოფილიყო იმ პოეტის შემოქმედებაში...

არადა „პარავოზი“ ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში იწყებდა პერმანენტულ გამოვლას, და ის პოეტები მალე სულაც ამ „პარავოზების“ მემანქანებად იქცეოდნენ ხოლმე. დაიბეჭდა, ხომ, შენი ლექსები! მოგვიანებით ნიგნიც გამოგიცეს! შენი პოეტად კურთხევა ფაქტად იქცა! ახლა აღარავინ გახევეს კალთას, აღარავინ მოითხოვს შენგან ახალ „პარავოზებს!“ რაღა გინდა, შე კაი კაცო (შე კაი ქალო), სამოცდაათიანი წლების მინურულს ამ „კომუნისტებს“ რა განერინებს, ვინ გთხოვა, ვინ დაგავალა! აჰა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა გინდა, არა? ან მდივნობა მაინც! ახალი ხუთთახიანი ბინა გინდა, ხომ? უფასო პიარი გინდა, შენი პირველ პოეტად გამოცხადება, დაუმსახურებელი დაფნა, სხვისი პრემია, სხვისი სახელ-დიდება!

ოთარ ჭილაძის ცხოვრებაშიც დაიკვივლა ერთხელ „პარავოზმა“, გივი გეგეჭკორის ბაქანზეც, ანა კლანდაძის პლატფორმაზეც, და დადგა... სამაგიეროდ, „პარავოზი“, უფასო ბენზინითა და სასურველი მომსახურებით, ისევ დარჩა იმათთან, ვინც... ჩამოგითვალთ გვარები? ვითომ

თქვენ არ იცით! ამჯერად ამის საჭიროებას ვერ ვხედავ!

ცოტა რამ საკრედიტო ბარათის თემაზე

უკვე მერამდენედ, და ამჯერადაც დროულად, ვისხენებ და ვიმონებ ამაღრიკს:

„...მას (ანდრეი ვოზნენსკის) კიდევ რამდენიმე მწერალთან ერთად, რეჟისორთან და ბალერინასთან ერთად დაეკისრა უცნაური როლი, იყოს „საბჭოთა ლიბერალიზმის საკრედიტო ბარათი“, რომელსაც რეჟიმი დროდადრო დააძრობს ხოლმე დასავლეთისათვის წასაჩვენებლად“.

(ა. ამალრიკი. „დისიდენტის ჩანაწერები“).

ცხადია, მოკავშირე რესპუბლიკებშიც და, კერძოდ, საქართველოშიც იყვნენ მწერლები, რეჟისორები და ბალერინები, რომელთაც აგრეთვე ჰქონდათ დაკისრებული უცნაური როლი, ყოფილიყვნენ „საბჭოთა ლიბერალიზმის საკრედიტო ბარათები“, რომელთაც რეჟიმი დროდადრო დააძრობდა ხოლმე დასავლეთის წასაჩვენებლად!

მინდა, ამ ჩანაწერის მკითხველმა ყურადღება დაძაბოს და ჩემს დაუხმარებლად გამოცნოს ის პოეტიც, ის რეჟისორიც, ის ბალერინაც, ის მხატვარიც...

მათ - ამ „საკრედიტო ბარათებს“ — ბევრი რამის უფლება ჰქონდათ მიცემული შეფებისაგან. მაგალითად, შეეძლოთ, გაელანდებოთ იგივე საბჭოთა კავშირი! ამის უფლება მათ მოპოვებული ჰქონდათ... ალბათ იცით, რითაც!

რაც ახლა წაიკითხეთ, ამოვიწერე ჩემი წერილების ნიგნინიდან („ჩანაწერები“, ინტელექტი, 2010 წ.)

ახლა ამალრიკის აზრი და „პარავოზის“ თემა ერთმანეთს გადავზაბთ და ვნახოთ, ვინ, რომელმა პოეტმა როგორ განაგრძო ცხოვრება - ანუ, ვინ უარი თქვა მოგვიანებით იმ თავის იძულებითი კომპრომისზე და თავისი შემოქმედებიდან მოიკვეთა ის „პარავოზები“, და ვინ არ თქვა უარი თავის იმ კომპრომისებზე. ამის გასაკეთებლად პოეტს ერთი გზა ჰქონდა: ახლა, როცა მას უკვე აღარავინ იჭერდა და აღარავინ ასახელებდა, აღარავინ აცემბირებდა, მას შეეძლო, თავის „რჩეულში“, თავის ტომეულეში და, საერთოდ, თავის მომდევნო, ახალ გამოცემაში აღარ შეეტანა ის „პარავოზები“ და ამით ემართლებინა თავი მომავლის წინაშე. პარტიამაც მშვენიერად იცოდა, ვინ - გააკეთა ეს და ვინ - არა! მაგალითად, შოთა ჩანტლადის იმ თქვა უარი იმ თავის - ვთქვათ პირდაპირ - სამარცხვინო ლექსებზე, და ამით უთხრა პარტიასა და ხელისუფლებას, რომ ის, რაც სხვებისთვის კომპრომისი იყო, მისთვის მსოფლმხედველობა და პოლიტიკური პოზიცია იქნა, მრწამსი გახლდათ, და ამით დაუდასტურა ხელისუფლებას სამუდამო ერთგულება! კიდევ ვინ მოიქცა ასე, მე მათ გვარებს აღარ დავასახელებ! საჭიროების შემთხვევაში იმათ გვარებს ვიტყვი, ვინც ასე არ მოიქცა! თუმცა ერთი ვინ გვარს ახლავე გეტყვი: ასე არ მოქცეულა ოთარ ჭილაძე! ასე არ მოქცეულა გივი გეგეჭკორი...

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ: ქართულ პოეზიასაც ჰყავდა თავისი ეგზეტუნკოები და ვოზნენსკები - მაღალმთიანი პოეტები, რომლებიც ბოლომდე თამაშობდნენ ორმაგ თამაშს, და რომელთაც საჭიროდ არ ჩათვალეს, მომავლის წინაშე თავი ემართლებინათ, და ამის მამტიკიცებელი საბუთებიც დაეტოვებინათ მომავლის მკითხველისათვის! ისინი ამალრიკის მიერ დახასიათებულ თამაშს თამაშობდნენ - ორმაგ თამაშს! — ცდილობდნენ მკითხველის - ჭეშმარიტი მკითხველის - მოლორებას, რაც, როგორც ისტორია გვასწავლის, უნუგემო საქმეა!

იცინ თუ არა ეს ჩვენმა კრიტიკოსებმა, რომლებიც, შეთავსებით, ლიტერატურული ქილერების ფუნქციასაც ასრულებენ! რა თქმა უნდა, იციან! იციან თუ არა, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვთქვათ, თავის დროზე ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ ნაკიდებული პოეტები - მურმან ლებანიძე და ხუტა ბერულავა! რა თქმა უნდა, იციან! მაგრამ მათ ხელს არ აძლევს ამ სიმართლის გაცხადება - მათ ხომ „რუსული გულის“ ავტორი,

წარმატებული გამომცემელი არჩენდა, და სწორედ ეს უშლის მათ ხელს, თვალი გაუსწორონ სიმართლეს! არადა, ყველამ ყველაფერი იცის...

პითონა – პაატაში?

წამრ კიდევ ჰგონიათ ვილა(ც-ვილა)ცებს, რომ ილიას მოკვლით ილიას ჩანაცვლება შესაძლებელი! მწერლობაში არაფრის პატრონი პოეტნიკური მკვლევები სიცოცხლეს უმწარებენ ნამდვილ ტალანტებს და საზოგადოების ერთი მცირე, უბირი ნაწილის შეცდომაში შეყვანას კარგახნით ახრებენ. წარსულში ბევრია ამის მაგალითი და ჩვენს ცხოვრებაშიც.

ჯერ აკაკის მოვუსმინოთ: „...მოგვდგენ... მაგრამ რანაირათ?! რაც კი საუკადრისო სიტყვა იყო ქართულ ლექსიკონში, ამონერეს, ამოიღეს და მოგვყარეს ქვაგუნდად. რას არ გვენამებოდნენ? რას არ ამტკიცებდნენ? აკაკიმ ეს ჩაიდინა და ის! ქვეყნის ორგულია, მოღალატეა, გრძობაგონების გამყიდველია, გონება ჩლუნგი, უმეცარი, უსწავლელი, მაგისი აღარ ვარგა! სისულელის მეტს ვეღარას სწერსო და სხვანი... ხმა არ გაგვიღია, მაგრამ ალბათ იმათაც იგრძენეს, რომ სიჩუმე მარტო ნიშანი კი არ არის, ზოგჯერ ზიზღის ბრალიც არისო და სიჩუმემ და ხმის გამოუღებლობამ სულ გადარია ისინი! იმდენზე მიაღწიეს, რომ ჩვენ შესახებ სიტყვა „გამოსუქინსინებულნი“ კი იხმარეს. ჩვენ არც მაშინ დაგვიძრავს კრიტიკა და მხოლოდ ესა ვსთქვით: არ ვიღებთ ხმას იმიტომ, რომ ჩვენზედ მოსულები არ მიგვანინა ყურადღების ღირსად, როგორც არა ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი! გვეუკადრისება კიდევ მათი აყოლა და იმ ვაჟბატონების სახელის ხსენებაც კი...“

და ბოლოს: „ეს ცხადი ჭეშმარიტება დღევანდელ ჩვენს ზოგიერთ პუბლიცისტს ან არ ესმის, ან, თუ ესმის, განზრახ იუგუნურებს თავს, და ამიტომაც ამ ვაჟბატონებთან ჩვენ აღარ გვაქვს რა საკამათო!.. სადაც უნდა და რაც უნდა, სწერონ!.. ჩვენ პასუხის გამცემი არა ვართ, მით უფრო, რომ დროც არა გვაქვს...“

იქნებ ილიასთან და აკაკისთან დასრულდა ჭეშმარიტი პოეზიის წინააღმდეგ გამართული ჰაზვავათი! შევხედოთ ამ თვალთ დღევანდელი ბას.

შოკოლადი გიყვართ? მე მიყვარს შოკოლადი. თუნდაც იმისთვის, რომ მის სხვანაირ, განსაკუთრებულ, სასიამოვნო სიტკბოს სიმწარეც ახლავს ერთგვარი – ზომიერი, ჩემი, შესაწყნარებელი სიმწარე! აბა, შოკოლადიც რომ წინაკასავით გწვავდეს პირსა და გულმუცელს, ამდენი ადამიანის სიყვარულის საგანი ნამდვილად არ იქნებოდა იგი.

რა მინდა ვთქვა! მე მიყვარს ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, მაგრამ იმსიმწარეა მისი 7-ე ნომერი, ამ 79 წლის კაცს პირიც გამომწვა, გულმუცელიც რომ წინაკასავით. კიდევ ერთხელ გადავხედე იმ ადამიანების გვარებს, ამ ჟურნალს რომ აკეთებენ, და გამიკვირდა, ნუთუ არც ერთ მათგანს არ წაუკითხავს, არც ერთს არ ჩაუხედავს, ყველას გამორჩა მამუკა ლეკიაშვილის ესე!

ჩვენიანი რომ გიყვება, როგორ ვიქცევით ჩვენ ამ დროს! — ვცდილობთ, გავაკავოთ იგი, არ წავაკიდებინოთ სახლისთვის ცეცხლი, არ მოვაკვლევივინოთ მშობელი მამა, წავიყვანოთ ექიმთან, დროულად მივცეთ ნამალი...

ნუ ეგონება მკითხველს, რამეს ვაზვიადებდე! ნამდვილად შემანუხა ყველაფერი იმის წაკითხვამ, რასაც ნაღდად ნიჭიერი, განათლებული, ერუდირებული კაცი — მე ასე ვიცი, რომ ახალგაზრდა კაცი — წერს...

ახლა მე გაგაცნობთ ადგილებს მ. ლეკიაშვილის ესეიდან, და „ცხელი შოკოლადი“ თქვენ გადაგახსნათ ცივ წყალს:

„ქართულ პოეზიაში გამორჩეულად ყალბი და სახელგანთქმულია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება, ხოლო პოეზიის ყველაზე ცუდი, მდარე და მდაბიო მკითხველები ისინი არიან, ვისაც ეს შემოქმედება არათუ გულს არ ურევს, არამედ მოსწონს და უყვარს კიდევ.“

შემდეგ:

„...ბოლო საუკუნეების განმავლობაში ქართულად არ დაწერილა არც ერთი მართლა კარგი ლექსი“.

შემდეგ: „...როგორც ჩანს, ქართველმა მკითხველმა, უბრალოდ, ვერ „გაუძლო“ ნამდვილ პოეზიას, რომელიც რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას პოემიდან დაემუქრა; ვერ გაუძლო, ვერ გადაიტანა და შემდრკალი და შეშინებული გაექცა მას, რათა თავი შეეფარებინა გალაკტიონისა და სხვა დიდი ქართველი პოეტების ნაყალბევი, პრიმიტიული და ზედაპირული შემოქმედებისათვის, გაიქცა, რათა თავი შეეფარებინა ამ თბილ და მყუდრო ბოსილში, სადაც პირადად მას, მკითხველს, აღარაფერი მოეთხოვება იმის გარდა, რომ უზრუნველად ინებივროს იქაურობის ომშივარმი გახვეულმა.

აი, რატომ გამოარჩიეს დამფრთხალმა მკითხველებმა გალაკტიონი და ასე ჩაებლაუჭნენ მას. კერძოდ იმიტომ, რომ მისი შემოქმედება მიმზიდველად **ბ რ ჭ ყ ვ ი ა ლ ე ბ ს, ბ რ წ ყ ი ნ ა ვ ს...**“

შემდეგ: „ეს ყველაფერი ასე შეჯამდება, ყალბი პოეზია, ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიძის, ან სხვა რომელიმე დიდი ქართველი პოეტის, მოსწონს ან სიხარბისაგან აცნობარებულს, ან წამხედურად მოფარჩაკეს, ან წყურვილისაგან გზა-აზნეულს. გამართლება კი არა აქვს არც ერთ მათგანს“.

შემდეგ: „ზუსტად ამ მალაღმარებელმა და პრიმიტიულმა, უბირმა სიყალბემ და არა გულწრფელმა მოთხოვნილებამ, ან ძვირფასი ტრადიციების აღდგენის სურვილმა განაპირობა თანამედროვე საქართველოში რელიგიურობის გავრცელება. მართლაც, დაუოკებელი სიყალბის ბოლოდროინდელი და ყველაზე სრულყოფილი განსახიერებაა რელიგია და რელიგიური დაქვესულება. ის ახლა მთელ ქვეყანასაა მოდებული, დაპატრონებული და უფრო დამლუპველია, ვიდრე სიყალბის რომელიმე სხვა განსახიერება; უფრო დამამცირებელია და სამარცხვინო, ვიდრე ამჟამინდელი, ან წინა ორი ხელისუფლება და არანაკლებ კომპორტულია, ვიდრე იყო კომუნისტური პარტია და მართლმადიდებლობა და მართლმადიდებლური ეკლესია ჰქვია“.

შემდეგ: „პოეტური ტექსტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე აკუსტიურობის სრული უგაღრმესად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნიმუშია დიდ პოეტად შერაცხული ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. ნიშანდობლივია აქ ისიც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი აღმოაჩინა და პოეტად შერაცხა ილია ჭავჭავაძემ. ამ უკანასკნელს კი თვითონ იმდენად დახმული ჰქონდა პოეტური სმენა, რომ „თამარიანს“ სიტყვების რახა-რუხს უწოდებდა, თვითონ კი ეგონა, რომ ლექსებს წერდა“.

აკაკის რომ გაიმეტებს, უკვე მოკლულ ილიას რომ კიდევ ერთხელ ესვრის ტყვიას, გურამიშვილსა და ბარათაშვილს რომ სანაგვეზე მოისვრის, გალაკტიონ ტაბიძეს რომ არარაობად გამოაცხადებს, იმ ადამიანისგან რა უნდა მენყინოს, რატომ უნდა მივაქციო ყურადღება, რატომ უნდა გავლიზიანდე! არც ვანიჭებ რაიმე მნიშვნელობას მსგავს სიგჟეებს! და თუ მაინც ვწერ ახლა იმას, რასაც ვწერ, იმისთვის მხოლოდ, რომ ჩვენს უდროო დროს ჩათვლილი მკითხველს კიდევ ერთხელ შევუძახო და შევახსენო, რა საშინელ დღეშია ქართული მწერლობა, როგორ ღრღინის მის ჯანსაღ სხეულს კომუნისტური რეჟიმისაგან გადმოყოლილი სენი...

ბუნებრივად იბადება კითხვა: მ. ლეკიაშვილი — დიდი ქართული პოეზიის უღმობელი, კორუმპირებული რევიზორი — გამონაკლისია? თუ — ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს სხვადასხვაგვარად ამ ტიპის რევიზორი!

სამწუხაროდ ჰყავს და, როგორც ჩანს, არაერთი!

არა მარტო მწერლობას ჩვენსას, საერთოდ მთელ ქართულ კულტურას დაესხათავს ის რევიზია! — სამსახურიდან დაითხოვეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, სამსახურიდან დაითხოვეს ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე! ჩამონერეს ყველა ლექსი, რომელიც საუკუნეების მანძილზე სულელ საქართველოს შედევრებად მიაჩნდა! თუ

ამას ყველაფერს ბატონი მ. ლეკიაშვილი წერს, ასე ვთქვათ, ეპატაჟის „პონტში“, ეს ასე თუ ისე გასაგები და ასატანია, მაგრამ თუ ამას ყველაფერს წერს სერიოზულად, მაშინ მკურნალობაც სერიოზულია საჭირო!

კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი დიდი ქართული პოეზიის ლეკიაშვილისეულ შეფასებას — თურმე საუკუნეებია, საქართველოში არ დაწერილა ნორმალური ლექსი! თურმე ილიას გაუზვიადებია ბარათაშვილის, როგორც პოეტის, მნიშვნელობა! თურმე უსწერს და პოეტის ნიჭს მოკლებული ილია იჯდა და ეგონა წერდა ლექსებს!

ახლა ამ მკრეხელური აზრების ოდნავ სახეცვლილ, დამიფრულ ვარიანტსაც შეგიძლიათ გაეცნოთ - **ჯინჯილებიანი, ჭრელაჭრულა** პოეზიის შეფასებას, რომლის ავტორად ნ. დარბაისელი გვევლინება!

კი! რუსთაველი და ვაჟა ინარჩუნებენ ადგილებს! დანარჩენს ყველას ხაზი აქვს გადასმული!

წლებადელი კალიბრით მომრავლდა ჰეროსტატეს კლონი! წვავენ... თუმცა ჯერ არტიმედეს ტაძრის მასშტაბებზე მხოლოდ ოცნებობენ! ვერც კიოლი დაწვეს ჯერ, ვერც ნოტი დამი, ვერც სვეტიცხოველი, ვერც სამება — ბაზილიკების დაწვეს სჯერდებიან და იმ დღეზე ოცნებობენ, როცა სამებასაც ცეცხლს მისცემენ...

აი, ასე მარტივადაა ჰეროსტატეს კომპლექსით შეპყრობილ მანიაკთა საქმე! თუ საუკუნეების მანძილზე ერთი რაა, ერთი კარგი ლექსი არ დაწერილა, ესე იგი, არც აკაკის „განთიადი“ უქნია ღმერთს, არც ლეონიდის „ყიფჩაღის პაემანი“, არც... არც... არც...

დარბაისელი და კომპანია მთლად ამდენს ვერბედავს — საუკუნეებს არ ახსენებს, მაგრამ პოეზიის **ჯინჯილებიანი** და **ბრჭყვიალა** კატეგორია უდრის მთლიანად მთელ ქართულ პოეზიას და მასადაამე, იგივე გამოდის — მათი აზრითაც, საუკუნეების მანძილზე არაფერი შექმნილა მათი მოსაწონი!

მთავარი ის არაა, მოგვწონება ეს აზრი თუ არა! მთავარი ისაა, რომ ამ აზრის ავტორს (ავტორებს) პოპულარობა განაღებული გაქვს — პიარი მუშაობს, სახელი შეინა! შენზე ილაპარაკებენ! შენი სახელი პირზე ეკრება დიდსა და მცირეს! შენ, ჰეროსტატეს მემკვიდრე (ვაჟიც, ასულიც) დიდხანს იქნები გაკიცხვის, განსჯის, ყაყანის საბაბი! შენც, პოეზიაში საკუთარი ვალუტის უქონელს, მეტი არაფერი არ გინდა! აბა, ერთბაშად, გივი გეგეტქორის ლექსები არ დაწერო, ან ოთარ ჭილაძის, ლეონიდის, ანა კალანდაძის, მაჭავარიანის შედევრები...

აი, რა ხდება სინამდვილეში!

ღმერთი მოკვდაო, ნიცშემ. ეს რომ გაიგო ღმერთმა, იცინა თურმე, იცინა, მოკვდა სიცილით! მოკვდა თუ სიცილით მოკვდა — აი, ამ ორი ვარიანტიდან, ვის რომლის სჯერა, ამის მიხედვით უნდა შეფასდეს ღმერთიცა და უღმერთობაც!

ღმერთი მარადიული ფენომენია. იგი არც მოდერნისტი, და არც, მით უმეტეს, პოსტ-მოდერნისტი! საერთოდ, მაგარი ვილაცაა, ერთი ნესითა და ერთნაირი საშუალებებით განაგრძობს შედევრების დაუსრულებელი სერიის შექმნას! ვთქვათ, შექმნა ადამიანი, რომელსაც აქვს ორი თვალი, ერთი ცხვირი, ორი ფილტვი, ერთი პენისი... მას არასოდეს გასჩენია სურვილი, შეექმნა ადამიანი, რომელსაც ექნებოდა სამოცი მალა, ოთხი პენისი, შვიდი თირკმელი... და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ **ძველი** მეთოდით, დამტამულები სტილით ახერხებს, და განაგრძობს შედევრების დაუსრულებელი სერიის შექმნას — ისე იბადება, ძველი მშვენიერების მსგავსად — ახალი მშვენიერებები: ანჯელინა ჯოლები და ბანდერები, მედეა ჯაფარიძეები და სოფი ლორენები, აინშტაინები და ფერმები, რუსთაველები და ფშაველები...

დიდი შემოქმედი ვერ ივლის ნიცშეს ჭკუაზე, იგი ღმერთის ჭკუაზე ივლის! დიდი შემოქმედი ვერ დაუფერებს ნიცშეს, იგი დაუფერებს ღმერთს! სახელოვანმა კულტუროლოგებმა უნდა დიდ პოეტებს დაუჯერონ! - ეს ღმ-

ერთის ჭკუაზე სიარული იქნება. ასე აჯობებს მათვისაც და პოეტებისთვისაც! სხვათა შორის ნიცშესთვისაც აჯობებდა, ღმერთის ვირტუალურ პანაშვიდებზე სიარულისაგან თავი შეეკავებინა, მით უმეტეს, რომ პანაშვიდებზე იყო კულტუროლოგების დიდი ჯგუფი, და არ იყო... ღმერთი! - გარდაცვლილად გამოცხადებული ღვთაება! — **ერთი ერთად ერთი ყოველის შემძლე შემოქმედი ყოველის** — მათ შორის ნიცშესა და ნიცშეანელებისაც...

საერთოდ, რას როგორ დაწერენ და როგორ დახატავენ, ჯობს ვაცალოთ მწერლებსა და მხატვრებს! — მათ ეს საქმე კულტუროლოგებზე ნაკლებ არ ეხერხებათ!

თითქმის მ. ლეკიაშვილიდან გადაინერაო, ნინო დარბაისელი მე, გივი ალხაზიშვილსა და გიორგი კეკელიძეს გვიხსენებს გარედან ოქროსფრად დაფერილ და მობრჭყვიავ, ყალბი, მეტალის ჯაჭვს თავისი ჭრელა-ჭრულა ჯინჯილებით... ამ სამს რომ გვახსენებს ერთად, ამით ცნობილი პასკვილანტის ბრძანებებსა და მითითებებს ასრულებს, და ამასაც არ სჯერდება — გვემუქრება კიდევ... დაინწყებია ლირსებაც, ზრდილობაც და ისიც, რომ უმადურება ხელმწიფის მოვალეობაა, და არა ყოველი არშემდგარი პოეტის — ფეხებზე დაუკიდებია საკუთარი წარსული, როცა მე მას — ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წლის დებიუტანტ მელექსეს, მხარზე ხელი დავარტყი და პოეზიაში გზა დაველოცე...

დაბნეული და გულნატკენი, კარგახანს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა პასუხის გაცემა. ისევ დაწუნებული და ჩამონერილი დიდი აკაკი წამომეშველა, და თავისი შედევრის ფინალის **რიმეიქი** მიკარნახა:

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ ქალად ვერ გამიზრდისარ...

შეიძლება, გვარად იყო **დარბაისელი** და ყველაფერი იყო, **დარბაისელი** ს მეტი?!

...
ეტყობა, შორს არ არის ის დრო, როცა უკეთესი პოეტები კასტინგის საშუალებით შეირჩევიან! ჟიურიში იმ დროს ალბათ იხსდებიან ამ საქმის სუპერსპეციალისტები — ლეკიაშვილი, დოიაშვილი, დარბაისელი და კომპანია!

ღმერთი, ღმერთო, ეს ხმა ტკილი გამაგონე ჩემს მამულში! (ჩამონერილი ილიას ციტირებისთვის პასკვილანტებს ბოდიშს ვუხდი).

...
მინდა, მკითხველს ჩემი ერთი ჩანაწერი მოვავაგონო.

რიტუალური კალიბანიზმი იცნობს ეგრეთწოდებულ „სიმპათიურ მაგიას“, როცა კაციჭამია თვლის, რომ შეჭმული მსხვერპლის თვისებები — ძალა, სიმტკიცე და სილამაზე — მასში გადადის...

ზოგიერთი ვაი-მწერალი და ვაი-კრიტიკოსიც იმ კანონზღვრებითაა: ასე გონია, „შეჭმული მწერლის“ — რომელიმე დიდად ნიჭიერი და პოპულარული შემოქმედის თვისებები (ტალანტი, ერუდიცია, გამოცდილება...) მექანიკურად გადავა მასში. აკი უშოვია კიდევ მავანსა და მავანს ამ გზით სახელი. მე არ დავასახელებ მაგალითებს — ვენდობი ჩვენი მკითხველის მესხიერებას...

ახლა, როგორც ჩანს, სამოციანელებს შექმა აქეთ კანიბალებს გადაწყვეტილი. მე რომ ბატონ (და ქალბატონ) კაციჭამიებს ვიცნობ, ეგენი ისეთი ადგილებიდან დაინწყებენ ჩვენს შეჭმას, გაფიქრებაც კი მზარავს! იმედია, ღმერთი, რომელიც პასკვილანტებმა ნაადრევად ჩამონერეს, სამოციანელთა წამებულ თაობას ამჯერადაც დაიცავს ბოროტებისაგან!



მწერალი თამა მელაშვილი:

„ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ნაწერი მკითხველს რაღაცაზე დააფიქრებს“



სულ ცოტა ხნის წინათ თამა მელაშვილს თითო-ორილა გამოცემისა და ლიტერატორის გარდა არავინ იცნობდა. ძირითადად, მოთხრობებს აქვეყნებდა, იმასაც, იშვიათად. „გათვლა“ შარშან ზაფხულში უმუშევრობით შეწუხებულმა დაწერა. მცირე რომანმა, რომელიც ომის თემატიკას ეხება და კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ორი პატარა გოგონას განცდებზეა აგებული, ლიტერატურულ სივრცეში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ტექსტს მალევე გამოეხმაურა რამდენიმე კრიტიკოსი, ახლახან გამართულ „საბაზე“ კი მისი ავტორი „წლის საუკეთესო დებიუტის“ გამარჯვებული გახდა.

ფიქრობს, რომ ამ წიგნს თავიდანვე გაუმართლა, რადგან ისეთმა ადამიანებმა მოინონეს, ვინც ამ სფეროში ამინდს ქმნის. რომანი მკითხველმაც კარგად მიიღო, რამაც წარმატებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ფინალი კი „საბა“ იყო, რომელმაც აღიარებასთან ერთად პოპულარობაც მოუტანა. უხარია, რომ ამის შემდეგ „გათვლას“ უფრო მეტი ადამიანი ნაიკითხავს, რაც მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ხმაურიანი დებიუტის მთავარი გმირი დღეს ჩვენი სტუმარია.

— ვიდრე უშუალოდ „გათვლაზე“ ვისაუბრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება გზა, რომლითაც ამ წიგნამდე მოხვედით.

— „გათვლამდე“ ათვლას 2005 წლიდან ვიცნობ, როდესაც პირველად დავინახე პროზაული ტექსტები. მაშინ გერმანიაში ვცხოვრობდი და იქიდან შევედი ახალგაზრდა პორტალს literatura.ge-ზე. ეს ნაბიჯი გარკვეულწილად გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. კითხვა ყოველთვის მიყვარდა. წერის სურვილიც მქონდა, მაგრამ რეალურად ვერ ვახორციელებდი. ძირითადი მიზეზი მოტივაციის უქონლობა იყო. სწორედ ეს მოტივაცია გამიჩინა literatura.ge-მ. დროთა განმავლობაში აქ ბევრი მეგობარი შევიძინე, პირველი ტექსტიც ამ პორტალზე დავდე და შემოდის თავისუფლად ვთქვა: როგორც ავტორი, literatura.ge-დან მოვიღივარ.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ბარიერი გადავალაზე, იშვიათად ვწერდი. სულ ექვსი-შვიდი მოთხრობა მაქვს და აქედან სამია კარგი. სამივე სხვადასხვა გამოცემაში შევიდა, მათ შორის, ბაკურ სულაკაურისა და პენ-მარათონის კრებულებში. რამდენიმე კონკურსშიც ვმონაწილეობდი. პირველი იყო literatura.ge-ს მიერ ორგანიზებული „წერო“, სადაც ფიქრის პრიზი მივიღე მოთხრობისთვის — „ერთი და ორი“ რომელიც ახლა lib.ge-ზე დევს და ძალიან მიყვარს. 2007-ში პენ-მარათონზეც გავედი. მართალია, შედარებით სუსტი ტექსტი გამოვივიდა, მაგრამ მოთხრობა „დიოგენეს“ მიერ გამოცემულ კრებულში შევიდა. როცა „გათვლა“ დავწერე, სწორედ „დიოგენესში“ მივედი, რადგან მათთან ურთიერთობის გამოცდილება უკვე მქონდა.

— ეს ტექსტი მათი შეკვეთით ხომ არ დაიწერა?

— არა, ეს იყო უშუალოდ ჩემი პროტესტი ომის წინააღმდეგ. მასზე მუშაობისას ავგისტოს ომის გავლენას განვიცდიდი, მაგრამ ზოგადად ომისა და ძალადობის წინააღმდეგ არის მიმართული. შარშან ზაფხულში დავწერე, როცა უმუშევარი ვიყავი და, შესაბამისად, ბევრი თავისუფალი დრო მქონდა. ამ ტექსტის იდეას ორი წელი ვატარებდი. 2008-ში დავწერე დაახლოებით იგივე სიუჟეტის სამეგრელი მოთხრობა, რომელიც ძალიან სუსტი იყო, თუმცა თავად სიუჟეტი საინტერესოდ მიჩვენებოდა და ვგრძობდი, რომ განვრცობას საჭიროებდა. დაახლოებით ორ კვირაში დავწერე, რადგან გონებაში მთლიანად მქონდა ჩამოყალიბებული. ერთადერთი, სტილზე არ მიფიქრია.

— სტილს რაც შეეხება, კრიტიკოსები ამბობენ, რომ ლიტერატორები არაერთხელ მიუბრუნდებიან ამ ტექსტს ენობრივი თვალსაზრისით, იმდენად საინტერესო მასალაა.

— სხვათა შორის, თავდაპირველი ვარიანტი სრულიად ჩვეულებრივი ენით არის დაწერილი, ტრადიციული ფორმის დიალოგით. ასეთი დიალოგის იდეა სრულიად მოულოდნელად, წერის პროცესში დაიბადა და იმდენად მომეწონა, გადავწყვიტე, ბოლომდე ამ სტილში გამეგრძელებინა. ფიქრობ, გამართლდა.

— თავად მუშაობის პროცესი რამდენად საინტერესო იყო?

— ეს პროცესი ჩემთვის უჩვეულოდ წარმართა, რადგან წინა სამი მოთხრობა აფექტურ მდგომარეობაში, გულიდან წამოსული იმპულსებით დაიწერა. საერთოდ, მეცნობა, რომ აუცილებლად რაღაცამ უნდა დავარტყას და ისე წერო. მშვიდად უდომა და მუშაობა ვერ წარმომდგინა. ამ ტექსტის მერე მივხვდი, რომ სრულიად შესაძლებელი და აუცილებელიც კია, თუ სერიოზულ შედეგზე გავს პრეტენზია.

— ანუ მუშის მოლოდინის სტერეოტიპმა იმოქმედა?

— არა, ეგ სტერეოტიპი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე ვფიქრობდი ასე. სამი პატარა მოთხრობა, რომელიც ურიგოდ არც ახლა მიმაჩნია, სწორედაც აუტიტრიალად დავწერე. მოზღვავებული ემოციბა ვეღარ დავაკავე და ერთი ამოსუნთქვით გადავიტანე ფურცელზე.

— ისევ „გათვლას“ დავუბრუნდით, რატომ მოგინდათ ავესახათ მაინცდამაინც 13 წლის გოგონების თვლით დაახლოებით და არა მოზრდილი ქალის განცდებით?

— ეს ის ასაკია, როდესაც უფრო მგრძობიარე ხარ და მძაფრად აღიქვამ მოვლენებს. მეც მახსოვს საკუთარი თავი ამ ასაკში და ისიც, როგორ ვრეაგირებდი კონკრეტულ ფაქტებზე. ჩემი გარდატეხის წლებს ჩვენს ქვეყანაში არეულობა დაემთხვა — სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზეთის დაკარგვა... რთულია, როცა გინდა მშვიდად, ლამაზად იცხოვრო, მაგრამ გარემო არ გაძლევს საშუალებას. ჩემმა თაობამ ეს პერიოდი ძალზე მიიმედ გადაიტანა. ჩვენ ომებში ჩაკარგული ბავშვები ვიყავით.

— ომმა ხელი შეგიშალა მიზნების განხორციელებაში?

— ვერ ვიტყვი, რომ შემოშალა. უბრალოდ, დღეს 13-14 წლის ახალგაზრდებს ჩვენთან შედარებით მეტი შესაძლებლობები აქვთ, თუმცა ყველაფერს აქვს მეორე მხარე — სირთულეები ადამიანს ზრდის და პროვოცირებს ჩამოყალიბებაში ეხმარება, თუმცა ეს ის უსიამოვნო გამოცდილებაა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვერ მოიშორებ.

— ავგისტოს ომის შესახებ ბოლო ორ წელიწადში რამდენიმე ნაწარმოები დაიწერა. თუ გიფიქრიათ, რატომ გახდა აქტუალური თქვენს თაობაში ეს თემატიკა, მაშინ, როცა იგივე სამოქალაქო და აფხაზეთის ომები, თითო-ორილა ტექსტის გამოკლებით, გამოხმაურების გარეშე დარჩა?

— მე მგონი, გარკვეული როლი დროის ფაქტორმა ითამაშა. იმ პერიოდში ადამიანები გადაჩინებულ იყვნენ ორიენტირებულნი და მხოლოდ თავის გატანაზე ფიქრობდნენ. ელემენტარულად, დრო არ ჰქონდათ, რომ დაეხსენებინათ და მოვლენები გაეანალიზებინათ. ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია წერა.

— ანუ მწერალს მოცალეობა სჭირდება?

— აუცილებლად. — დაუნებელი ტექსტები ახსენით. საკუთარი ნაწარმოების კრიტიკული შემფასებელი ხართ?

— ძალიან კრიტიკული. ამ ტექსტს რაც შეეხება, იმდენჯერ ნავიკითხე, ვეღარ ვეკარები. ვცავე, სხვა თვლით შემეხედა, მაგრამ ვერ შევძელი. ვგრძობ, რომ რაღაც პერიოდი მისგან დასვენება მჭირდება. არადა, ბევრი რომ გაქვს, ზოგჯერ ეჭვი გიჩნდება — რამია საქმე, ხომ ყველაფერი კარგადაა?

— ასეთ წარმატებას არ ელოდით?

— არა. მსურდა, წიგნი დამეწერა, რადგან საამისოდ თემა მომნიჭებული იყო. ძალიან მინდოდა ეს ტექსტი „საბაზე“ წარმედგინა, თუმცა წინასწარ მსგავს შედეგზე ნამდვილად არ მიფიქრია.

— რამდენად მნიშვნელოვანია მწერლისთვის ენობრივი ექსპერიმენტები და საერთოდ, საკუთარი სტილის ქონა?

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რადგან მწერლის ინდივიდუალობას უკავშირდება, მაგრამ შეიძლება სულ არ გქონდეს განსაკუთრებული სტილი და კარგი ტექსტი დაწერო. თუ შენი ნაწარმოები რაღაცაზე დააფიქრებს მკითხველს, სტილს დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩვენში ახლაც არსებობს საბჭოთა პერიოდის სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მწერალი არის ერის მამა, წინამძღოლი და ა.შ. სულაც არ ფიქრობ ასე. მწერალი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც ისევე ცხოვრობს და აზროვნებს, როგორც დანარჩენები, უბრალოდ, მეტი შესაძლებლობა აქვს, ეს ყველაფერი ფურცელზე გადაიტანოს. ამას წინათ ზაზა ბურჭულაძესთან იყო შეხვედრა. გოგონამ ჰკითხა, თქვენი წიგნი ენა და ეს კი მითხარით, მაგრამ გამოსავალი სად არისო? სულაც არ არის მწერალი ვალდებული, გამოსავალი გიჩვენოს. პირადად მე ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიქნები, თუ ჩემი ნაწერი მკითხველს რაღაცაზე დააფიქრებს.

— რადგან ამ თემაზე ჩამოვარდა

ლაპარაკი, იქნებ დავგისახელოთ მწერლები ან ტექსტები, რომელთაც გავლენა მოახდინეს თქვენზე.

— უფრო ტექსტებზე გავამახვილებდი ყურადღებას, რადგან შეიძლება კონკრეტული მწერლის ერთი ტექსტი ძალიან მომეწონოს, დანარჩენები — არა. ბოლო წიგნი, რომლისგანაც ძალიან დიდი შოკი მივიღე, არის ელფრიდ იელინეის „საყვარლები“, რომელიც ანა კორძაია-სამადაშვილმა თარგმნა. მახსოვს, მთელი თვე ძალიან ცუდად ვიყავი, სერიოზული დეპრესია მქონდა, რადგან აქ ისეთი თემებია განხილული, რომელზე დაფიქრებაც არ მინდოდა და თვალს შეგნებულად ვხუჭავდი. ეს ტექსტი ჩემთვის შემოლანუნებლად იყო, გამომაფიხილა და რეალობა სულ სხვა თვლით დამანახა. სწორედ ეს არის ლიტერატურის ყველაზე დიდი მისია, სწორედ ამით ფასდება წიგნის გავლენა ადამიანზე.

— თქვით, რომ იშვიათად წერთ. დრო არ გყოფნით თუ მოთხოვნილება არ გაქვთ?

— ადამიანები სხვადასხვანაირები არიან. ერთი შეიძლება ძალიან ბევრს წერდეს, მეორე — ცოტას. პირადად მე სერიოზული სტიმული უნდა მქონდეს, რომ ნაფიქრი ფურცელზე გადავიტანო. ვიცნობ მწერლებს, რომლებიც რამდენიმე ტექსტზე ერთდროულად მუშაობენ. ეს სრულიად ნორმალურია, თუმცა ჩემნაირ ავტორს რაღაც მუხტი სჭირდება. არ შემიძლია, ყოველდღიურად ვიჯდე და ვწერდე.

— თქვენს თავს ავტორს უწოდებთ?

— ჩემთვის ეს სიტყვა უფრო ბუნებრივია. საკუთარ პერსონასთან მიმართებაში „მწერლის“ სტატუსი მეხამუშება. ჯერ მხოლოდ ერთი წიგნი დავწერე. მწერალს რამდენიმე კარგი ტექსტი მაინც უნდა ჰქონდეს.

— თუმცა არიან მწერლები, რომლებიც ერთი წიგნით შევიდნენ ისტორიაში.

— ჰო, მაგრამ ისინი გენიოსები იყვნენ. ამ ეტაპზე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მწერალი ვარ.

— დღევანდელი მდგომარეობა თქვენთვის სერიოზული ტვირთია: როცა ადამიანი გამოცემის პირველ წიგნს, რომელსაც ასეთი წარმატება ხვდნოდა, ყველა გამადიდებელი მუშით უწყებს ყურებას — რას და როგორ დაწერა. მომდევნო ნაწარმოები განსაკუთრებით საპასუხისმგებლო იქნება.

— ვგრძობ ამ პასუხისმგებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეკითხებიან, ვაპირებ თუ არა რამის დაწერას. დიახ, ვაპირებ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერს ვწერ. მაქვს რომანის იდეა და ვიცი, რომ ისიც ქალებზე იქნება. ზოგადად, ძალიან მინდა, ქალის შესახებ ვწერო, რადგან ეს თემა ქართულ ლიტერატურაში უხილავია. მინდა, რომ ქალი არ იყოს მხოლოდ ვილაჯის გრძობის ობიექტი და ჩანდეს, როგორც მოქმედი, სუბიექტი, რომელიც თავად განიცდის და წვეტს რაღაცებს. ამ მხრივ ქართულ პოეზიაში უკეთესი ვითარებაა, რადგან არის რამდენიმე კარგი ავტორი, რომელიც ამ ხმას აუღერებს.

— რატომაც პოეზიაში უფრო მოხდა ქალთა რეალიზება, ვიდრე პროზაში, თუნდაც, მათი სარიტორიკული, ლულა სამინაშვილი, დიანა ანდიმიანი... როგორ ფიქრობ, მიზეზი რა არის?

— თუ პრაგმატულად შევხედავთ, ლექსი უფრო ადვილი დასაწერია, ამისთვის რამდენიმე საათიც საკმარისია. პროზას უფრო მეტი დრო და მუშაობა სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

— არა მგონია, პოეტები ამაში დავეთანხმონ, თუმცა ფაქტია, რომ პოეზიაში უფრო მეტი კარგი ქალი ავტორი ჩანს, ვიდრე პროზაში.

— სხვათა შორის, არ ვიზიარებ მავანთა მოსაზრებას, რომ ქართული მწერლობა ცუდ დღეშია. დღეს ყველაზე საინტერესო პერიოდია ჩვენს მწერლობაში.

ბევრი სხვადასხვა სტილისა და ყაიდის მწერალი გამოჩნდა, რომლებიც კარგ ტექსტებს წერენ და თანამედროვე ლიტერატურაში თავიანთ სათქმელს იტყვიან.

— ამას წინათ ზურაბ კვიციანი ვესაუბრე, რომელმაც აღნიშნა, რომ ძალიან უჭირს თანამედროვე ტექსტების კითხვა, რადგან ყველა ავტორი ერთმანეთს ჰგავს. გარდა ამისა, აღიზიანებს ენისადმი უპატივცემულო, მომხმარებლური დამოკიდებულება: ჩვენს წინაშეა ასე რომ ეწერათ, სალიტერატურო ენა არ გვექნებოდა.

— ვერ დავეთანხმები, რადგან სხვა თუ არაფერი, ენა ვითარდება. შეუძლებელია დღეს ილია ჭავჭავაძის სტილით წერო, იმიტომ, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია და იცვლება. რამდენიმე წლის წინ ძალიან დიდი ნახტომი გააკეთა აკა მორჩილაძემ, როდესაც ლიტერატურაში სალაპარაკო ენა შეიტანა. საბჭოთა პერიოდში ლიტერატურა ცხოვრებისგან ძალიან იყო დისტანცირებული, არადა, რატომ უნდა ყოფილიყო ასე? „მოგზაურობა ყარაბაღში“ და „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ ამ მხრივ გარღვევა იყო, თუმცა თავის დროზე კრიტიკაც მოჰყვა. მეც მსაყვედურობენ, რომ „ცუდი“ სიტყვებით თავს ვერ დავიმკვიდრებ — ქალი ხარ და არ გჭირდება, მაგრამ როცა ორ ჯარისკაცს ალაპარაკებ, მეუძლებელია, მაღალმზახურული ენა გამოიყენო, ტყუილი გამოგივა. ჯარისკაცი იგინება და ტექსტშიც უნდა შეიგინოს, სხვა შემთხვევაში რეალური არ იქნება, ანუ, მთავარი რეალობა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ლიტერატურა რეალობის ასახვაა?

— ჩემთვის ასეა. შეიძლება, ნაწილობრივ, გამოგონილიც იყოს, მაგრამ მთავარი მაინც რეალობაა, რადგან ჩვენ რეალურ სამყაროში ვცხოვრობთ.

— ამ ტექსტში თუ იყო რეალური ისტორიები?

— ნაკლებად, ძირითადად გამოგონილი ამბებია, თუმცა არის რეალობიდან აღებული სცენებიც, მაგალითად, მიცვალებულის ნივთების დაწვის სცენა. იყო მომენტები, როცა დედაჩემმა და ჩემმა დამ დაწვეს ჩვენი მიცვალებულების ნივთები რაჭაში. რაღაცებს შენი ცხოვრებისგან დღებ, საკუთარ შეგნებებს, განცდებს. არ ვამბობ, რომ მთავარი პერსონაჟი მე ვარ და ის მეორე ჩემი მეგობარია, მაგრამ რაღაც ჩემეულიც არის, თუმცა ძირითადი ნაწილი ფანტაზიის ნაყოფია.

— ქალის თვლით დანახული ომი როგორია?

— ომზე, ძირითადად, მამაკაცების გადასახედიდან წერენ, სადაც ისვრიან, კლავენ, მაგრამ ხომ არის მეორე, ქალის თვლით დანახული მხარეც, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების ისტორიები? ისინი ომის საშინელებას კიდევ უფრო სხვა კუთხით განიცდიან და ეს განცდები ძალიან საინტერესოა.

— კონფლიქტის ზონაში ცხოვრების გამოცდილება თუ გქონიათ?

— არანაირი, გარდა იმისა, რომ 2008 წელს ეს შეგრძნება ყველას გვექონდა. ყველა კონფლიქტის ზონაში ვიყავით.

— ყველა აღნიშნავს, რომ წიგნში არ ჩანს კონკრეტული ტერიტორია. ვერ გაიკვებ, სად ხდება მოქმედება.

— ესეც თავიდანვე იყო განსაზღვრული, რადგან მიმაჩნია, რომ ძალადობას არც ეროვნება აქვს, არც — საზღვრები. საერთოდ, ადამიანების ცხოვრება ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მითუმეტეს, კონფლიქტის ზონაში. იგივე ამბავი ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მომხდარიყო და ისეთივე მტკივნეული იქნებოდა, როგორც საქართველოში.

— რამდენადაც ვიცი, წიგნი ითარგმნება.

— გერმანულად უკვე თარგმნის ნათია მიქელაძე. ალბათ, რუსული ვარიანტიც იქნება, ამას გამოცემლობა იღებს საკუთარ თავზე. ძალიან მინდა, „გათვლა“ ინგლისურადაც ითარგმნოს. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ბევრი უცხოელი მეგობარი მყავს და მინდა, წიგნი მათაც ნაიკითხონ.

ესაუბრა ნანა კობახიძე

მაიონავალი

გიორგი კალანდია:



„ქართული კლასიკისადმი ჩემი დამოკიდებულება ორბჟაროვანია“

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ მუზეუმში მისვლისთანავე გრაფი და ოლდენბურგელისა და გრაფინია ჯაფარიძის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი აღადგინა. უფრო ადრე კი, საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილედ მუშაობისას, უპირველესად, რარიტეტულ გამოცემათა კაბინეტი მოაწყო. ორივე შემთხვევა ნივთსადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამომხატველი იყო. ნივთთან განუყრელია. იმ ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც საღამოებს ტელევიზორთან ატარებენ, ის ძილის წინ ორ-სამ საათს აუცილებლად ლიტერატურას უთმობს. ნივთთან სიახლოვე ოჯახისგან მოსდევს. ბავშვობიდან მოყოლებული მშობლებს უმეტესად ნივთს ხელში ხედავს. ბაბუა, უფროსი გიორგი კალანდია, თავისი დროის ცნობილი ბიბლიოფილი ყოფილა. კალანდიების საოჯახო ბიბლიოთეკა 7 ათასამდე ნივთს ითვლის, მათ შორისაა უნიკალური გამოცემები, ხელნაერთი ნივთები. ამბობს, ოდესღაც ბიბლიოთეკის ნაწილს რომელიმე მუზეუმს გადასცემ, რადგან ასეთი ნივთები კერძო კოლექციებში სამუდამოდ არ უნდა რჩებოდეს. კითხვა მისი შობია. პრაგმატულად ფიქრობს და მიიჩნევს, რომ ეს აუცილებელი და საჭირო საქმეა მისთვის. როცა სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ქართველებზე სატელევიზიო ფილმებს იღებდა, ხშირად უწევდა სხვადასხვა სახის ლიტერატურის დამუშავება. ახლაც, როგორც მუზეუმის ხელმძღვანელს, გამუდმებით სჭირდება ნივთთან სიახლოვე. როცა ბატონ გიორგის ინტერვიუსთვის ვეწვიეთ, სამუშაო მაგიდასთან იჯდა და ერთ-ერთ სამეცნიერო გამოცემას უკირკიტებდა.

— ბატონო გიორგი, ვხედავ ივანე ჯავახიშვილის „ქართული ტანსაცმლის ისტორიას“ კითხულობთ...

—ახლახან, რუსთაველის ფონდმა, ეროვნული სამოსის პოპულარიზაციის მიზნით, ქართული კოსტუმის კატალოგის მალალპოლიგრაფიული გამოცემისთვის კონკურსი გამოაცხადა. ჩვენი მუზეუმი კი, მოგეხსენებათ, თეატრალური, ქორეოგრაფიული, მუსიკალური თუ კინო კოსტუმების ყველაზე დიდი საცავია საქართველოში. ესაა ერის ერთ-ერთი უღამაზესი და უმნიშვნელოვანესი საგანძური. ახლა სწორედ ამ კატალოგის მომზადებაზე ვმუშაობთ და ამიტომ, ვკითხულობ ყველაფერს, რაც კი სამოსზე დანერგულია. ივანე ჯავახიშვილის „ქართული ტანსაცმლის ისტორია“ ძალზე საყურადღებო ნაშრომია და მასში ბევრ საინტერესო ამოკითხავთ. მაგალითად, იცოდით, რომ ქართველი მამაკაცი ქუდს X საუკუნემდე არ ატარებდა? დაკვირვებებიანთ, რომ ფრესკებზე თამარ მეფე მუდამ საყურითაა გამოსახული? იცით, რომ ეს მისი სამეფო წარმომავლობის ნიშანია, ხოლო თითოეულ იმ ბეჭედს, რომელიც მონარქის ხელს ამშვენებს, თავისი სიმბოლური დატვირთვა აქვს? გსმენიათ, რომ თამარი მანდილოსანმა გვირგვინის ქვეშ ატარებდა? ჩვენი მუზეუმში ინახება თამარ მეფის კოსტუმი, რომელიც ფრესკის მიხედვითაა აღდგენილი და ორიგინალის ტოლფასია. კატალოგში ამ სამეფო შესამოსლისა და ფრესკის ფოტოგამოსახულებების გვერდითვე წარმოდგენა ძალიან შთაბეჭდილი იქნება. ვფიქრობ, საკმაოდ მდიდარ მასალას მოვამზადებთ და ამგვარი კატალოგის გამოცემა რუსთაველის ფონდისთვისაც საინტერესო იქნება. თუ ჩვენი პროექტი დაფინანსდა, კარგი იქნება, თუ — არა, დღეს-ხვალ მას განხორციელება მაინც უნერია. კატალოგების, ალბომებისა თუ ნივთების გამოცემას მსოფლიოს ყველა დიდი მუზეუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამგვარი გამოცემები სახეა მუზეუმისა. ჩვენც ამ გამოცემების მიზანმიმართულად კარგი გამოცემების მომზადებაზე ვმუშაობთ და ნივთებში გამუდმებით ვკრკიტავ, ძიებთა საჭირო.

— ნივთების გარემოცვაში იზრდებით. ხომ არ გაიხსენებდით თქვენს პირველ შეხვედრას დიდ ლიტერატურასთან?

— განსაკუთრებული ემოცია ორმა ავტორმა გამოიწვია. ესენი იყვნენ ალექსანდრე ყაზბეგი და ილია ჭავჭავაძე. მახსოვს, სკოლაში ვსწავლობდი, როცა ყაზბეგი წავიკითხე და იმ ნივთზე ახლაცაა ჩემი მინანქრი: „ეს არის ყველაზე დიდი მწერალი მსოფლიოში!“ მაშინ ძნელად თუ წარმოვიდგენდი, რომ ვინმეს უფრო მეტი ტრავიზმით შეეძლო გადმოეცა ადამიანთა ცხოვრება, მათი ხასიათი. ყაზბეგისეულმა ტრავიზმმა შემძრია. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, მისი შემოქმედებიდან „კაცია-ადამიანი“ იყო პირველი ნაწარმოები, რომელმაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ამ შემთხვევაში ბევრი ვიხსენებ, გვერდით, თუმცა, ზრდასრულ ასაკში იგივე ნაწარმოების ნაკითხვის შემდეგ, მასში სულ სხვა სიღრმეები დავინახე, ტექსტი სხვაგვარად აღვიქვი და უკვე აღარ გამცინებია. ილია არამხოლოდ იმეტი მიყვარს, რომ ის დიდი საზოგადო მოღვაწეა, მასში პა-

ტიოსნებას ვაფასებ. ილიასავით გულწრფელი ავტორი იშვიათად შემხვედრია. ის იმ ექიმს ჰგავს, რომელიც ავადმყოფს იკვლევს, დიაგნოზში არ ცდებო და პირდაპირ ეუბნება პაციენტს, რომელი ორგანო აქვს დაავადებული და რომელი — ჯანმრთელი. ამიტომაც, ილიას შემოქმედება ძალიან ძვირფასია ჩემთვის. განსაკუთრებული ყურადღებით „ვისმენ“ მის კრიტიკულ აზრებს ქართველების შესახებ. ისევე „კაცია-ადამიანს“ ვაფასებ... ამ ნაწარმოებზე ბავშვობაში ვიცინოდი-მეთქი, გითხარით, მაგრამ დადგა დრო, როცა გავიზრდი, რას ნიშნავს სიტყვები: „მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღეს თუ ხვალ, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ ნაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდოდა. მას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს... შენი ცული, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები... მეც მოყვარესავით გეტყვი — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამინყურე?“

— ვფიქრობ, თქვენი დამოკიდებულება ქართული კლასიკის მიმართ განსაკუთრებულია.

— ვიტყვით, ქართული კლასიკისადმი ჩემი დამოკიდებულება ორგანოვანია. ჩემთვის არსებობს რთული და შედარებით უფრო გასახეობი, პოპულარული ქართული კლასიკა. „რთულში“ ძველ ქართულ მწერლობას ვგულისხმობ. მართალია, ეროვნული კოსტუმის ისტორიაზე მუშაობისას იოანე შავთელის „აბდულმესიანსა“ თუ სხვა ტექსტებს ხშირ-ხშირად ჩავხედავ ხოლმე, მაგრამ ზოგადად, ძველი ქართული მწერლობით გატაცებული ვარ-მეთქი რომ გითხრათ, მართალი არ ვიქნები. მაგალითად, შავთელის თხზულებები ჩემთვის ძნელად აღსაქმელია. თუმცა, არიან ავტორები, არსებობს ლიტერატურული ძეგლები რომლებიც მიყვარს. ესენია მიქაელ მოდრეკილის „ჰიმნები“ და იოანე ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“. ძველი ქართული მწერლობის მიმართ ჩემი ამგვარი დამოკიდებულება ენის სირთულით როდია განპირობებული, „ქართლის ცხოვრება“ მშვენიერად მესმის და ის ჩემი სამაგიდო ნივთია. სხვათა შორის, კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს, „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ თამარის მეფობის ჩათვლით უნდა წავიკითხო, მერე მისი გადაშლა არ ღირსო. ამ ბოლო ხანს, მეც ასე ვიქცევი, გამუდმებით პირველ-მეორე ტომებს ვუტრიალებ. რაც შეეხება, ქართული კლასიკის მეორე, შედარებით ადვილად გასაგებ ნაწილს, მასში ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ნიკო ლორთქიფანიძისა და სხვა დიდი ავტორების შემოქმედებას ვგულისხმობ. ისინი ჩემი საყვარელი მწერლები არიან.

— კონსტანტინე გამსახურდია ახსენეთ. თქვენს რჩეულ ავტორებს შორის ისიც უნდა ვიგულისხმობ?

— XX საუკუნის მწერლებს შორის კონსტანტინე გამსახურდიას ყველაზე მეტად გამოვიყვარდი. მიყვარს მისი ლიტერატურული ენა, წერის მანერა. „ღრუბლებით წვარავნილი ცარცვანი დამიხობია სვეტიცხოვლის წვეტიან გუმბათს. კიდევ დიდ

ქარვისფერი კალთები მოუჩანს ცას, მრუმე ზუჩიან მწვერვალებზე ელავს ხანდახან“ — შეუდარებელია. მე თავად შევიდი თუ რვა წინის ავტორი ვარ, ძირითადად, ისტორიულ თემებზე ვწერ და ყოველთვის ვცდილობ, გამსახურდიას ენას მივბაძო. მახსოვს, როცა „დიდოსტატის მარჯვენა“ წავიკითხე და ზუგდიდში დადანივების სასახლე ვნახე, გადავწყვიტე ისტორიკოსი ვაგემდარიყავი. მანამდე, სულ სხვა დარგი მიტაცებდა, ბიოლოგობა მსურდა. მიმანჩია, და შესაძლოა ამაში ბევრი შემედავოს, რომ XX საუკუნის ქართულ მწერლობაში კონსტანტინე გამსახურდიას რანგის პროზაიკოსი იშვიათია.

— საინტერესოა, თანამედროვე ქართულ მწერლობას როგორ შეაფასებთ.

— ამასთან დაკავშირებით კეკელუცობას არ ვაპირებ. თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ძალიან ცუდად ვიცი. ჩემგან ამაზე საუბარი უხერხულია და კონკრეტულად არავის დავასახელებ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, რომ მათი ტექსტების კითხვა ვცადა, მაგრამ ვერ დავინტერესდი, გული ვერ დავუღე. მე არ მიყვარს ბოლიტიყვობა ლიტერატურაში. ნაწარმოებს, რომელიც სასველი უხამსობით, არ ვკითხულობ და მიმანჩია, რომ თუ ადამიანს მწერლობაზე პრეტენზია აქვს, ასე არ უნდა წეროს. თუმცა, ჩვენს დროში არაერთი საინტერესო ტექსტი შექმნილა, როგორც მხატვრული, ასე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისა. მაგალითად, სიამოვნებით წავიკითხე დათო ტურაშვილის „გურჯინ-ხათუნი“; გამოვიარჩევი ვახუშტი კოტეტიშვილის „აღმოსავლურ დივანს“, ყოველთვის გატაცებით ვკითხულობ მაგალი თოდუას ნაშრომებს აღმოსავლურ თემებზე.

— აღმოსავლური ლიტერატურა გამოჩნულად გიყვართ?

— შემიძლია ვთქვა, რომ აღმოსავლურ მწერლობას, როგორც ახალს, ისე გასული ეპოქებისას, კარგად ვიცი. გაგიკვირდებათ, ტაჯიკურ ლიტერატურასაც კი დიდი ინტერესით ვკითხულობ, ძალზე კარგი ავტორები ჰყავთ. კლასიკოსებიდან დავასახელებდი ფირდოუსს, ნიზამი განჯელს. ზემოთ მაგალი თოდუა ვახსენე — მართალია, ის ისტორიკოსია, მაგრამ აღმოსავლურ ტექსტებს საუკეთესოდ თარგმნის. საბედნიეროდ, ბევრი კარგი მთარგმნელი გვყავს. აღმოსავლური ლიტერატურის მოყვარულ ქართველ მკითხველს მთარგმნელები თუ გამოცემელები დიდ არჩევანს გვთავაზობენ. ამას წინათ ბაკურ სულაკაურის ერთ-ერთი გამოცემას ვავეცანი. თავდაპირველად ჩემი ყურადღება ნივთის სათაურმა და დიზაინმა მიიქცია. გარეკანზე ოქროსფერ ჩაღრმე გახვეული ადამიანის ფოტო იყო გამოსახული, ზედ წერია: ოსენ საიეშტადი — „ქაბულები ნივთებით მოვაჭრე“. ნივთი ავლანეთის რეალობას მოგვითხრობს, თამარ კვიციანიძის თარგმანი გახლდათ და ძალზე საინტერესო იკითხება. სხვათა შორის, რუსულენოვანი თარგმანებიც საინტერესოა. მახსოვს, სადამ ჰუსეინის რომანი წავიკითხე, ქალ-ვაჟის სიყვარულის ისტორიას შეეხებოდა. ნაწარმოების შინაარსმა გამაკვირვა. ვერ წარმოვიდგინა, რომ ჰუსეინი ამგვარ ღირებულედათა მაძიებელი შეიძლება ყოფილიყო. ნივთს დიდი გამოხმაუ-

რება მოჰყვა. წერდნენ, ნაწარმოების ავტორი ჰუსეინი არ არისო. იქნებ ასეცაა.

— როგორც მკითხველი რას ეძიებთ ნაწარმოებში, როგორი ტექსტები გაინტერესებთ, ან რა არის შეფასების თქვენი კრიტერიუმი?

— მარტივად რომ გითხრათ, უპირველესად, ნივთი უნდა იყოს საინტერესო. ამ შემთხვევაში ლიტერატურულ ჟანრსა თუ მიმართულებას მნიშვნელობა არ აქვს. გარდა ამისა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია დავინახო, თუ რა ღირებულებებზეა აგებული ნივთი, რა ფასეულობის მაძიებელი თუ მატარებელია ავტორი. სწორედ ღირებულებათა გამო მიყვარს „ვეფხისტყაოსანი“ და ვერ მოვთვლი, რამდენჯერ წამიკითხავს! იგივეს ვიტყვით შექსპირის შემოქმედებაზე. მისი ნაწარმოებები იოლად არ იკითხება, მაგრამ ის სიყვარულზე წერს, გვიჩვენებს რისი დათმენაა შესაძლებელი, ან რა გზა გასავლელი ამ დიდი გრძნობის გამო. მკითხველები ამა თუ იმ ავტორის ლიტერატურულ ენაზე მათი წერის მანერაზე ხშირად საუბრობენ. ჩემთვის ეს ფაქტორი განმსაზღვრელი არ არის — მაგალითად, პაოლო კოელიო აღიარებული ავტორია, მაგრამ მე ვერაფრით დავუღე გული მის ნაწარმებს. თუმცა, დიდი ინტერესით ვკითხულობ ორჰან ფამუქს. შეიძლება იმეტი, რომ ის თურქეთზე, აღმოსავლეთზე წერს. ფამუქის ზოგიერთი რომანი მომწონს, ზოგი — ნაკლებად. მახსოვს, მისი „თოვლი“ იმ დროს წავიკითხე, როცა ყარსში გამგზავრებას ვაპირებდი. ნაწარმოების სიუჟეტი სწორედ ყარსში ვითარდება. ამის მერე ქალაქი ფამუქისეულად დავიხსენე. თანაც, გამგზავრება ისე დავგეგმე, რომ იქ თოვლი ყოფილიყო. დავგეგმი ყარსის ვინო ქუჩებში, ვეძებდი „ნაცნობ“ ადგილებს. ასევე მოვიქციე პარიზში გაფრენის წინ — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ კიდევ ერთხელ გადავიკითხე და ისე წავედი. მინდოდა, ჰიუგოსეული გმირების „თანხლებით“ მემოგზაურა. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში შესვლისას ნაკითხული თითქოს თვალწინ გამიცოცხლდა. დიდებული ტაძარი ფოტოფირზე აღვებეჭდე. ჰიუგოს რომანი რომ არა, ალბათ, იმგვარ ფოტოებს არასოდეს გადავიღებდი.

— ამ გაზაფხულზე, თბილისის ნივთის საერთაშორისო ფესტივალზე თითქმის ყოველდღე გხედავდით. ნივთების დასვლბთან თუ გამოცემებთანაა სტენდებთან იდეით ხოლმე და გამუდმებით კითხულობდით, ფურცლავდით...

— აქტიური მკითხველი ვარ. თუმცა, რაც მეტს ვკითხულობ, მით უფრო ვხვდები, კიდევ რამდენია ნასაკითხი. ზოგჯერ, ჩემი ასაკისთვის შეუფერებელ ლიტერატურასაც კი მივეჯაჭვები ხოლმე. ერთხანს პოეტრომანია მჭირდა, „ჰარი პოტერის“ ყველა ნივთი წავიკითხე. შემდეგ სტენდებზე შევიკითხე „ბინდი“ ვიყავი გატაცებული, ყოველი ახალი ტომის გამოსვლას მოუთმენლად ველოდი. მეიერის მთელი საგა ხომ კეთილისა და ბოროტის ბრძოლაზეა აგებული? ესაა მისი ღირებულება. ჩემს თანამშრომლებს ვეკითხებოდი კიდევ, რომ გაიგოთ, თქვენი რჩეული მკვლეელი (ვამპირზე აღარაფერს ვამბობ), ისე გეყვარებათ-მეთქი? კითხვისას ზოგჯერ გიწევს დაფიქრე ისეთ თემებზე, რაზეც მანამდე არ გიფიქრია. ეს კი ძალიან მომწონს.

ესაუბრა თამარ ჟურული

კლარის ლისპექტორი

„მე მხოლოდ მაშინ ვწერ, როცა მინდა. მოყვარული ვარ და მინდა ასეთად დავრჩე. პროფესიონალი ის არის, ვისაც საკუთარ თავთან ან სხვასთან ვალდებულება აქვს, რომ წეროს. მე კი იმისათვის, რომ ჩემი თავისუფლება შევინარჩუნო, მტკიცედ გადავწყვიტე არ ვიყო პროფესიონალი.“

კლარის ლისპექტორი (პაია ლისპექტორი, 1920 – 1977) დაიბადა უკრაინის პატარა ქალაქ ჩეჩელნიკში, ებრაული წარმოშობის ოჯახში. სულ რაღაც ორი თვის იყო, როდესაც მისი მშობლები ებრაელთა დევნას გაექცნენ და სამხრეთ ამერიკაში გადასახლდნენ. ამიტომ ყოველთვის, როდესაც მას ეროვნებაზე ეკითხებოდნენ, ამბობდა, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონდა უკრაინასთან, სადაც ფეხი არც კი დაედგა. კლარისი ნამდვილ ბრაზილიელად თვლიდა თავს.

1945 წელს დაიბეჭდა მისი პირველი რომანი „ახლოს ველურ გულთან“, რომელმაც ბრაზილიის ლიტერატურის აკადემიის მიერ დაფუძნებული „გრასა არანიას ფონდის“ პრემია მიიღო. აქედანვე გამოიკვეთა მისი სტილი - ძალიან პირადული. მომდევნო პუბლიკაციებს კიდევ უფრო მეტი წარმატება ხვდა წილად. იგი მრავალ ენაზე ითარგმნა. კლარის ლისპექტორის ცხოვრება და შემოქმედება დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. თავისი წინააღმდეგობებითა და კითხვებით სავსე ბუნება ზოგჯერ ძალიან ურთულდება მას ცხოვრებას: „იმისთვის რომ მიუღებელი მიმელო; რომ დამემარცხებინა საკუთარი წინააღმდეგობები და ოცნებები, გავანადგურე ჩემში ის, რასაც ჩემთვისაც და სხვებისთვისაც ზიანის მიყენება შეეძლო და ამასთან ერთად დავკარგე ძალაც“, — წერდა იგი თავის დას.

კლარისი ბევრს მუშაობდა პრესისთვის, იღებდა ინტერვიუებს, ასევე წერდა საბავშვო წიგნებს. კლარის ლისპექტორი სიმსივნით იყო დაავადებული. 1977 წელს იგი თავისი დაბადების დღის ერთი დღით ადრე გარდაიცვალა. 1967 – 1973 წლებში „ბრაზილიის გაზეთის“ (ყოფილი დო რასილი) ყოველი შაბათის ნომერში იბეჭდებოდა მისი ახალი ქრონიკა, სადაც სხვადასხვა თემებს ეხებოდა. მაგალითად წერდა საკუთარ ბავშვობაზე ქალაქ რესიფიში, დიქტატურის საწინააღმდეგო გამოსვლებზე რიო დე ჟანეიროს ქუჩებში, პირად გრძობებზე. მოგვიანებით გამოიცა წიგნი „სამყაროს აღმოჩენისას“, რომელშიც ეს საგაზეთო ქრონიკები გაერთიანდა. მიუხედავად იმისა, რომ კლარისი თავისი ნაწერების ავტობიოგრაფიულობას მტკიცედ უარყოფდა, ამკარაა, რომ ეს ქრონიკები მწერლის პორტრეტის შექმნის საშუალებას იძლევა.



ალფონსო
როდესაც სიყვარული ზედმეტად ძლიერია, გამოუსადეგარი ხდება: აღარ არის მიმზიდველი და არც ადამიანს, რომელიც უყვართ, არ შეუძლია ამდენი დაიტოს. ბავშვით ვიბნევი, როდესაც შევნიშნავ, რომ სიყვარულის გრძობასთან ერთად ზომიერების გრძობაც უნდა გქონდეს.

სანამ თქვენ გძინავთ
თქვენ რომ იცოდეთ, როგორი განსხვავებულია ის ღამე! დილის სამი საათია, მორიგი უძილობა მაქვს. რადგან აღარ ვიძინებდი, ერთი ჭიქა ყავა დავლიე. ძალიან ბევრი შაქარი ჩავყარე და საშინელება გამოვიდა. ზღვის ტალღების ხმაურს ვუსმენ. ეს ღამე განსხვავებულია იმიტომ, რომ სანამ თქვენ გძინავთ, მე გელაპარაკებთ. ვწყვეტ, გავდივარ ტერასაზე, სანაპიროს ზოლს და ზღვას ვუყურებ. შავია. ძალიან შავი. იმ ადამიანებზე ვფიქრობ, ვინც მომწონს. ყველას ძინავს ან ერთობა. ვისაძლოა ზოგი ვისკის სვამს. ჩემი ყავა უფრო დატკბა და კიდევ უფრო შეუძლებელი გახდა მისი დალევვა. სიბნელე თანდათან ისე გაიზარდა... მსუბუქი სევდა მანვება, არ მტკივა. ცული არ არის. ზეალ ალბათ რამე გამიხარდება. ისიც დიდი ალფრთოვანების გარეშე. არც ეს არ არის ცული. ჰო, მაგრამ ეს ცხოვრების საშუალოობასთან შეთანხმება ძალიან არ მომწონს.

თავისუფლება
მე და ერთი ჩემი მეგობარი ისეთ უბრალოებამდე თუ თავისუფლებამდე მივდივით, ხანდახან რომ ვურეკავ, მასუსობს: „არ ვარ ლაპარაკის ხასიათზე.“ მეც ვეუბნები: „კარგი, დროებით.“ და სხვა რამეს ვაკეთებ.

პროცესი
— რას ვაკეთებ? ცხოვრებას ველარ ვიტან. სიცოცხლე ისეთი მოკლეა, მე კიდევ ველარ ვიტან ცხოვრებას.
— არ ვიცი. მეც იგივეს ვგრძობ, მაგრამ ბევრი რამაა. არის ნუთები, როცა სასონარკვეთა სინათლეა, სიყვარულია.
— მერე?
— მერე ბუნებაა.
— შენ სიკვდილს ბუნებას ეძახი?
— არა, მე ბუნებას ბუნებას ვეძახი.
— ნეტა ყოველთვის ასე იყო?
— მგონი კი.

ვერაბაბა
ვერ ვიგებ. ეს იმდენად მრავლისმომცველია, რომ ყველანაირ გაგებას ალემბება. გაგება ყოველთვის შეზღუდულია, საზღვრებშია მოქცეული. ვერგაგებას კი შეიძლება არ ჰქონდეს საზღვრები. ვგრძობ, რომ გაცილებით სრულყოფილი ვარ, როცა ვერ ვიგებ. ის ვერგაგება, რაზეც მე ვლაპარაკობ, ნიჭია, საჩუქარი. ვერგაგება არა როგორც სულის სიმარტივე. კარგია, იყო ჭკვიანი და ვერ იგებდე. უცნაური მაღლია — თითქოს გჭირდეს სიგიჟე და არ იყო შემოილი. ეს უწყინარი გულგრილობაა, სასიამოვნო სისულელე. მხოლოდ ხანდახან მოდის შფოთვა: მინდა ცოტა გავიგო. ბევრი არა, ყოველ შემთხვევაში ის მაინც, რომ ვერ ვიგებ.

ვთქვა ისაა, რომ ტკივილი განზრახ არავისთვის მიმიყენებია. თვითონვე მტკივია, როცა ვხვდები, რომ ვატკინე. მაგრამ რამდენი ნაკლი მაქვს: მშფოთვარე ვარ, ეჭვიანი, უხეში, სასონარკვეთილი. თუმცა მიუხედავად ამისა, ჩემში სიყვარულს ვატარებდი. ოღონდ როგორ დამეხარჯა ეს სიყვარული, არ ვიცოდი: ხანდახან ხიჭვებს მაგონებს. ამხელა სიყვარული მივიღე, თავად კი მაინც აფორიაქებული და უბედური ვარ. ამიტომ მჭირდება, რომ ღმერთი მოვიდეს. მოვიდეს, სანამ ძალიან გვიან არ არის.

საშიში ნათელი
უსაზღვრო ნათელს ვგრძნობ. იმდენად უსაზღვროს, რომ, როგორც ადამიანს, მშლის და მაქრობს. ეს ცარიელი ნათელია. როგორ ავხსნა... ისევე როგორც იდეალური, თუმცა უსარგებლო მათემატიკური გამოთვლა. ასე ვთქვათ, ნათლად ვხედავ სიცარიელეს. ვიგებ და ვერც ვიგებ: რადგან ვარ საკუთარ თავზე უზომოდ დიდი და ვერ ვწვდები. გარდა ამისა, არ ვიცი, რა მოუფერხო. ისიც ვიცი, რომ ეს ჩემი ნათელი შეიძლება ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად მექცეს, — ასეთი რამ ადრეც გამომიცდია. ვიცი — ჩვენი ყოველდღიურობის მიწურულს და მუდმივი განსჯისას, არარეალობას დამორჩილებულმა — ეს რეალობის ნათელი რისკია.

მაშ, ჩამიქრე ეს ცეცხლი, ღმერთო, რადგან ცხოვრებაში მას ვერ ვიყენებ. დამეხმარე კვლავ ვიარსებო არსებობის შესაძლებელი ფორმით. მე ვარსებობ, მე ვარსებობ, ამინ.

რომ მასწავლონ
ღმერთო, ლოცვა რომ არ ვიცი? როგორ ვიცხოვრო? მინდა ვიცოდე, არა მართლ იმისთვის, რომ ჩემთვის ან სხვებისთვის რამე გთხოვო, არამედ იმისათვის, რომ ვიგრძნო, მაღლიერება გამოვხატო, როგორმე ტაძარში შესვლა შეეძლო. მითუმეტეს მე, ასეთმა ველურმა და ქოლერიკმა.

ერთი მკითხავია, პატარა გოგო ვიყავი, რომ გამიცნო. ახლა თვითონ მეძახის ხოლმე და ჩემგან სანაცვლოდ არაფერს იღებს. გარდა იმისა, რომ მკითხავია, თავგადაკლული კათოლიკეა და ჩემი გულისთვის ნირვაზეც წავიდა. მაღლობელი ვარ იმ ლოცვისთვის, მე რომ არ ვიცი.

ოჰ, ღმერთო, ბევრჯერ ვყოფილვარ გულნატკენი, მაგრამ მაღლობაც რამდენი ადამიანისთვის მაქვს სათქმელი! სახელებს განზრახ არ ჩამოვთვლი, რადგან არ მინდა რაიმე ვავნო მათ მოკრძალებულ ბუნებას. რამდენჯერ დამიჭერია მზერა, რომელიც ლოცვის ტოლფასი იყო.

და მე? მე ვეცდები ვილოცო, ახლავე, მოურიდებლად და საჯაროდ. აი ასე: ღმერთო... არა, ტყუილია, არ გამომდის, მაგრამ იქნებ „ღმერთო“ უკვე ლოცვაა? არის რაღაც, რასაც გთხოვდი და გთხოვ ახლავე: ღმერთო, გააკეთე ისე, რომ არ ვიცოცხო იმაზე დიდხანს, ვინც მიყვარს. დანაკლისს ვერ გავუძლებ. ყოველ შემთხვევაში მე ამას გთხოვ.

უცნობი ნიგბი
ნიგნს ვეძებ ნასაკითხად. განსაკუთრებული ნიგნს. წარმომიდგენია, როგორც სახე ნაკეთების გარეშე. მისი არც დასახელება ვიცი, არც ავტორი. ვინ იცის, ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩემივე დანერგული ნიგნს ვეძებ, არ ვიცი. ამ უცნობ და უკვე ძალიან საყვარელ ნიგნს დიდ პატივს ვცემ. თავში უამრავი რამ მომდის, მაგალითად, ვკითხვულხომ და უცებ ერთი ღამეაზი ფრაზა თვალზე ცრემლმორეული, ტკივილისა და თავისუფლების ექსტაზში მყოფი ამბობს: „ღმერთო ჩემო, არ ვიცოდი, რომ ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა.“

ინება ასა უნდა იყო
...მეორეს მხრივ დღეს ცოტა დაღლილი ვარ და სწორედ მტკივნეულ დაღლილობაზე ვილაპარაკებ. ყველა ძლიერი სიამოვნება ტკივილის ზღურბლს ეხება. ეს კარგია. როდესაც იძინებ, თითქოს გული მიგდის სიყვარულისგან. სიკვდილიც ასე უნდა იყოს: რაიმე მიზეზით ისე უნდა დაიღალო, რომ მხოლოდ სიკვდილის ძილმა გიშველოს. სიკვდილი ეგოიზმსაც ჰგავს, მაგრამ მას, ვინც კვდება, ზოგჯერ ეს ძალიან სჭირდება. იქნებ სიკვდილი უკანასკნელი მიწიერი სიამოვნებაა?

როდის ვიტიროთ
არის ტირილი კარგი და არის ცული. ცულია, როცა ცრემლები გაუჩერებლად მოდის, მაგრამ შევებას მაინც არ გგვრის. მხოლოდ ძალას გაცლის და გფიტავს. როგორც მშვიტი ბავშვის ტირილი? — მე გობარმა მკითხა. დაიხ.

როცა ასეთი ტირილის ზღვარზე ხარ, ჯობია ეცადო, რომ არ ატირდე: არაფერი არ გამოვა. უკეთესია, თავს ძალა დაატანო და წინ აღუდგე. ძნელია, მაგრამ უფრო ძნელი გამოფიტვაა ფერის ნასვლამდე. მაგრამ ყოველთვის არ არის აუცილებელი იყო ძლიერი. პატივი უნდა ვცეთ ჩვენს სისუსტეს.

ასე რომ, არის სასიამოვნო, ლეგიტიმური სევდის ცრემლები. სევდის, რომლის უფლებაც გვაქვს. ცრემლები წყნარად მოდის და როცა ტუჩებს მოხვდება, გრძობ მარლიან, სუფთა გემოს, ჩვენი შინაგანი ტკივილის შედეგს.

კაცის ტირილი გვაღელვებს. მან, მებრძოლმა ალიარა, რომ მისი ბრძოლა ზოგჯერ უსარგებლო იყო. დიდ პატივს ვცემ კაცს, რომელიც ტირის. მე მინახავს კაცის ტირილი.

სრულყოფილება
მამშვიდებს ის, რომ რაც არსებობს, ყველაფრის არსებობა აუცილებელია. რამხელა არ უნდა იყოს ქინძისთავი, ქინძისთავის ზომას არ გადააჭარბებს არც ერთი მილიმეტრით. ყველაფერი უზადო სიზუსტეა. სამწუხაროა, რომ დიდი ნაწილი იმისა, რაც ასეთი სიზუსტით არსებობს, ჩვენთვის ფიზიკურად უხილავია. კარგი კი ის არის, რომ ჭეშმარიტება იდუმალ გრძობად მოდის. დაბნეულები აღმოვაჩენთ სრულყოფილებას.

სამყაროს აღმოჩენისას (ქრონიკები)

მა რომ მე ვყოფილიყავი

როდესაც არ ვიცი, სად შევინახე მნიშვნელოვანი ფურცელი და ძებნა უსარგებლო ხდება, ჩემს თავს ვეკითხები: მე რომ მე ვყოფილიყავი და რამე მნიშვნელოვანი ფურცელი მქონოდა შესანახი, სად შევიინახავდი? ხანდახან მშველის. მაგრამ უფრო ხშირად იმდენად მიპყრობს ფრაზა „მე რომ მე ვყოფილიყავი“, რომ ფურცლის ძებნა მეორეხარისხოვანი ხდება და ვინც ფიქრს. უფრო სწორად, ვგრძნობ და არ მსიამოვნებს.

სცადე: შენ რომ შენ იყო, რას გააკეთებდი? მალევე იგრძნობ ზენოლას — კარგად მორგებული ადგილიდან ნელ-ნელა დაძრული ტყუილი განვება, ტყუილი, რომელიც ასე მყუდროდ გრძნობდი თავს. თუმცა ნამიკითხავს ბიოგრაფიები ადამიანებისა, რომლებიც ერთხელაც გამხდარან ისინი, ვინც ნამდვილად იყვნენ და მთლიანად შეუცვლიათ საკუთარი ცხოვრება.

მე რომ რეალურად მე ვყოფილიყავი, ალბათ ჩემი მეგობრები არ მომესალმებოდნენ ქუჩაში, რადგან გამომეტყველებაც კი შემეცვლებოდა. როგორ? არ ვიცი. იმის ნახევარსაც კი ვერ ვიტყვი, რასაც გავაკეთებდი მე, რომ მე ვყოფილიყავი. ვფიქრობ, რამე მიზეზით ციხეში ამოვყოფდი თავს. მე რომ მე ვყოფილიყავი, გავცემდი ყველაფერს, რაც ჩემია და მომავალს, მომავალს მივანდობდი.

„მე რომ მე ვყოფილიყავი“ თითქოს ჩვენი ცხოვრების შიშს წარმოადგენს, თითქოს ეს ახალი კარია შეუცნობელში შესასვლელად. ამავდროულად ინტუიცია მაკრნახობს, რომ პირველივე წვეულების გიჟური გამოწვევის შემდეგ საბოლოოდ მსოფლიო გამოცდილებას მივიღებდი. კარგად ვიცი, საბოლოოდ სრულად გამოვცდიდით მთელი ქვეყნიერების ტკივილს და ჩვენს ტკივილს, იმას, რომლის არმეგრძნებაც ვისწავლეთ. მაგრამ ზოგჯერ შევიგრძნობდით იმ ნამდვილი სიხარულის ექსტაზს, რომელსაც ახლა კარგად ვერ ვხვდები... თუმცა, მგონი ვხვდები, რადგან მე დიდხანს ვარაღიანი სიმორცხვესაც ვგრძნობ, ისეთს, როგორსაც განვიცდი რაიმე დიდებული სინამდვილე.

ღმერთი

თვით ურწმუნოთათვისაც კი ჩნდება კითხვა: და სიკვდილის მერე? თვით ურწმუნოთათვისაც კი დგება სასონარკვეთის წამი: ღმერთო, მიშველე! სწორედ ახლა ვთხოვ ღმერთს შევლას. მჭირდება. ადამიანურ ძალაზე მეტად მჭირდება და მჭირდება ჩემი საკუთარი ძალა. ძლიერი ვარ, მაგრამ, ამასთან ერთად, განადგურებულიც — თვითგანადგურებული. ის, ვინც თავს ინადგურებს, სხვასაც ანადგურებს. ბევრ ადამიანს ვტყუნ გულს. ღმერთი უნდა მოვიდეს ჩემთან, რადგან მე არ მივდივარ მასთან. მოდი, ღმერთო, მოდი! თუ არ ვიმსახურებ, მაინც. იქნებ მათ, ვინც არ იმსახურებს, ყველაზე მეტად სჭირდებათ. ერთადერთი, რაც ჩემს სასარგებლოდ შემიძლია

გულწრფელი მეგობრობა (მოთხრობა)

დიდი ხნის მეგობრები არ ვყოფილვართ. ერთმანეთი მხოლოდ სკოლის დამამთავრებელ წელს გავიცანით და იმ წუთიდან განუწყრელი გავხდით. ჩვენ ორივეს ძალიან დიდხანს გვაკლდა ნამდვილი მეგობარი და ამიტომ არ დარჩენილა არაფერი ერთმანეთისთვის რომ არ გაგვენდო. იქამდე მივდივით, რომ აზრებსაც აღარ ვიტოვებდით გაუზიარებელს: მე ვრეკავდი მასთან ან ის რეკავდა ჩემთან და დაუყოვნებლივ ვთანხმდებოდით შეხვედრაზე. საუბრის შემდეგ კი კმაყოფილებას ვგრძნობდით, თითქოს საკუთარი თავი წარვადგინეთ. ურთიერთობის ამ ფორმამ ისეთ ალტკინებას მიაღწია, რომ იმ დღეს, როცა ერთმანეთისთვის გასანდობი აღარაფერი არ გვქონდა, აფორიაქებულეები კვლავ ვეძებდით სალაპარაკო თემას. მხოლოდ ეს თემა სერიოზული უნდა ყოფილიყო, რადგან ყველა საკითხი არ მოითხოვდა გულახდილობას.

ამავე დროს ჩვენს შორის წარმოქმნილმა პირველმა დაბრკოლებებმა იჩინა თავი. ხანდახან დავრეკავდით ხოლმე და აღმოჩნდებოდა, რომ ერთმანეთისთვის სათქმელი აღარაფერი გვქონდა. ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და ჩუმად ყოფნა არ შეგვეძლო. თავიდან, როცა თემები შემოგვაკლდა, ვცადეთ ნაცნობებზე გველაპარაკა, თუმცა ისიც კარგად ვიცოდით, რომ ამით ვაუფასურებდით ჩვენს მეგობრობას. ჩვენს ურცხვ შეყვარებულებზე ლაპარაკი გამორიცხული იყო, რადგან კაცი თავის სასიყვარულო ამბებს არასდროს ჰყვება.

ვცადეთ ჩუმად ვყოფილიყავით, მაგრამ როგორც კი დავემშვიდობებოდით ერთმანეთს, მოუსვენრობა და შფოთვა გვიპყრობდა. ასეთი შეხვედრების მერე ჩემი მართლობა უსაზღვრო და აუტანელი ხდებოდა. წიგნების კითხვა დავინწყე, მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ მათზე მელაპარაკა. მაგრამ გულწრფელ მეგობრობას ნამდვილი გულწრფელობა უნდოდა და ამ უკანასკნელის ძიებაში თანდათან სიცარიელეს ვგრძნობდი. ჩვენს შეხვედრებს ყოველჯერზე უფრო და უფრო მეტი იმედგაცრუება მოჰქონდა. ნელ-ნელა მყლავნდებოდა ჩემი უბრალოება. ჩემი მეგობარიც ასევე ჩიხში იყო მოქცეული.

წნორღად ამ დროს ჩემი ოჯახი საცხოვრებლად სან პაულოში გადავიდა. ბინა ჩემს განკარგულებაში დარჩა და რადგან ჩემი მეგობარი პიაუიდან იყო და ამიტომ მართლაც ცხოვრობდა, შევთავაზე ჩემთან გადმოსულიყო. როგორ ველავადით! სიხარულით ვანეხსრივდით ნიგნებსა და ფირფიტებს, მეგობრობისათვის საუკეთესო გარემოს ვამზადებდით. ისე გვინდოდა შეგვენარჩუნებინა ერთმანეთი... მეგობრობა გადარჩენის საშუალებაა, მაგრამ ყველა პრობლემა უკვე განხილული იყო და ყველა შესაძლებლობა შესწავლილი. გვქონდა მხოლოდ ის, რასაც აქამდე ასეთი მონდომებით ვეძებდით და საბოლოოდ ვიპოვეთ კიდევ: გულწრფელი მეგობრობა. ვიცოდით, რომ ეს მართლობისგან განსხვავებული ერთადერთი საშუალებაა. ჩვენი მეგობრობა ისეთი მჭიდრო იყო, როგორც ორი ციფრის თანმიმდევრობა.

წუთზე მეტი არ არის საჭირო, რომ აღმოაჩინო – ორის და სამის ჯამი ხუთია.

ვცდილობდით ხმაურიანი ქეიფები მოგვენყო სახლში, მაგრამ მეზობლები ჩიოდნენ.

ძალიან გვინდოდა გამოვდგომოდით ერთმანეთს, მაგრამ ამის არც საშუალება მოგვცემია და არც გვჯეროდა, რომ მეგობრობას მტკიცება სჭირდება. ველაფერი, რაც კი შეგვეძლო გავგვეკეთებინა, ვაკეთებდით: ვიცოდით, რომ ვიყავით მეგობრები. თუმცა ეს ვერ ავსებდა დღეებს; მითუმეტეს ხანგრძლივ არდადეგებს. ნამდვილი ნამება წნორღად ამ არდადეგებიდან დაიწყო. ის, ვისთვისაც ჩემი გულწრფელობის გარდა არაფრის მიცემა არ შემეძლო, გადაიქცა ბრალმდებლად ჩემივე უბრალოებისა. მართლაც მაშინ უფრო აუტანელი იყო, როცა ერთად ვუსმენდით მუსიკას ან ვკითხულობდით, ვიდრე მაშინ, როცა ნამდვილად ვრჩებოდით მართლში. მეტიც – უხერხული. სიმშვიდე დავკარგეთ. გულზე მოგვეშვებოდა, როცა საღამოობით ჩვენს ოთახებში შევიდიოდით ისე, რომ არც შეხვედრებით ერთმანეთს.

მოვლენაში მიმდინარეობაში წარმოქმნილმა პაუზამ იმედი მოგვცა, თუმცა ეს იმედები სინამდვილეში საფუძველს მოკლებული იყო. ეს მაშინ, როცა ჩემს მეგობარს რაღაც პრობლემები ჰქონდა პრეფექტურაში. სერიოზული არაფერი, მაგრამ ჩვენ ვეცადეთ კარგად გამოგვეყენებინა ეს შემთხვევა. ახლა უკვე შეგვეძლო რაიმეში გამოვდგომოდით ერთმანეთს. მონდომებული დავდიოდი კაბინეტებში ჩვენი ოჯახის ნაცნობებთან. ყველაფერს ვაკეთებდი, იმისათვის რომ ჩემი მეგობრისთვის მფარველობა გაენითა. და როცა ქალაქის საბოლოოდ მოწესრიგების დრო დადგა, მთელი ქალაქი შემოვიბრძინე. შემძლია თამამად ვთქვა, რომ არ არსებობდა ფირმა, სადაც იგი ჩემი სახელით არ მიეღო.

ფიქრობდი, ვცდილობდი გამეგო რატომ უძღვნიან საქმიანობები საჩუქრებს საცოლევებს; რატომ ინდომებენ ქმრები, რომ ცოლებს კომფორტი შეუქმნან, ეს უკანასკნელი კი სადილს უმზადებენ; რატომ ზრუნავს დედა შვილზე გადაჭარბებულად (ზუსტად ამ დროს ვაჩუქე ჩემს მომავალ ცოლს ოქროს გულსაბნევი). მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ყოფნა ასევე ნიშნავს გაცემას.

პრეფექტურის საკითხი მოგვარდა – სხვათა შორის, ჩვენ გავიმარჯვეთ. – ისევ ერთად ვიყავით, თუმცა კიდევ ვერ გვეპოვნა ის სიტყვა, სულს რომ დავგიმშვიდებდა. სულს დავგიმშვიდებდა? კი, მაგრამ საბოლოოდ ვის უნდოდა სულის სიმშვიდე? სულის სიმშვიდე. ესეც შენ! ბოლოს და ბოლოს რა გვინდოდა? არაფერი. ვიყავით და დღეები და იმედგაცრუებულები. დავმორდით, რადგან ოჯახთან ერთად უნდა დამეხვეწა. თან ისიც პიაუიში უნდა დაბრუნებულიყო. აეროპორტში, აღელვებულები ხელის ჩამორთმევით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ვიცოდით, რომ შემთხვევით თუ არა, სხვანაირად ვეღარ შეხვედებოდით. მეტიც: აღარც გვინდოდა. თუმცა ისიც ვიცოდით, რომ ვიყავით მეგობრები – გულწრფელი მეგობრები.

თარგმნა ნინო ლორთქიფანიძე



ლაშა იმედაშვილი

ქართული მანონი

გაგრძელება

სწავლობდა. დრომ ამ ჩვევას ვერაფერი დააკლო, გამოცდილება კი შესძინა, რომელიც ტარამ უმტკივნეულოდ გადასცა ეთერ და ვითარებამ. რაღა დიდი გონება ესაჭიროება იმის მიხედვას, რომ ტარაცა და ეთერიც ერთი ადამიანის ორი სახელი უნდა იყოს, ოღონდ სხვადასხვა დროს შერქმეული. ამის შესახებ ივანე ხმალაძემ არაფერი იცოდა, ისევე როგორც ტარა-ეთერის მეუღლემ, სამეურნეო მუშაკმა, იაგო დავითაშვილმა.

ამ დროისთვის დავითაშვილს უკვე დანერვილი ჰქონდა რამდენიმე მწარე ფელეტონი ზმუკის ფსევდონიმით და ჟურნალ „ტარტაროზთან“ თანამშრომლობდა. წერდა ქართულ მწერლობაზე, მდარე ენით, ბოროტი გულითა და გაცვეთილი გრძნობით.

სპარტიზმი ჩვენი მწერლობისა. ლევარსი როხროხაძის მეცნიერული გამოკვლევა.

ამერიკაში თითოეულ ექვს კაცზე ერთი ავტობილი მოდის. ამიტომაც ამ ქვეყანას მეტისმეტად განათლებულ ქვეყანას ეძახიან. ასეთივე შეფარდება არსებობს ჩვენშიც, ხოლო ცხოვრების სხვა დარგში და ისიც შეზღუდულია, ჩვენში უკანასკნელი სტატისტიკური გამოანგარიშებით, თითოეულ ექვს პოეტზე თითო კაცი მოდის.

საკითხი იბადება: თუკი ჩვენ ქვეყანაში ამდენი პოეტია, მაშასადამე იგი ყოფილა ყველა ქვეყნებზე უფრო განათლებული! მართალია, ჩვენებრ განათლებული სხვა არ იქნებოდა, რომ პოეტების სიმრავლე განათლებას ნიშნავდეს, მაგრამ დღეს ჩვენ გვინტერესებს საკითხის სხვა მხარე: რატომ არის ჩვენში ასე ბევრი პოეტ-მწერლები? ჩვენი ღრმა რწმენით, ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარი აღვინით.

ვიცი: ბევრი თქვენგანი ამას უარყოფთ და პოეტების სიმრავლის მიზეზად დაასახელებთ ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმშვენიერეს, მაგრამ ჩვენ კონტრდებულებით გავანიავეთ თქვენს აზრს. ჩვენი პოეტ-მწერლები ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ვერც კი იცნობს ჩვენს ქვეყანას. ასე რომ, ქვეყნის ბუნების სიმშვენიერე აქ არაფერ შუაშია.

ამ ფელეტონებმა მტრებიც ბევრი შესძინა. თავი განსაკუთრებით აფრასიონ ყრატაძემ გამოიჩინა. ეს აფრასიონი კრიტიკულ წერილებს არ იშურებდა და საჭირო იყო თუ არა, ქვეყანაში მომხდარ ყველა მოვლენას ეხმაურებოდა, ერთაქტიან პიესაზე მაინც წაუცდებოდა ხელი, რითაც კოლეგებსაც გვარიანად აღიზანებდა და იმ მცირერიცხოვან მკითხველსაც, რომელიც თითქოსდა ჯერ კიდევ შემორჩენდა. ერთი-ორი წერილი თუ რეპლიკა დავითაშვილსაც დაუწერა და, როგორც მიღებულია, ლაფშიც ამოსვარა. ამან ქალს გული კი დასწყვიტა, მაგრამ ლიტერატურაზე უარი მაინც ვერ ათქმევინა. რა გასაკვირია, როდის ყოფილა კრიტიკოსს ვინმეს კალამი დემარცხებინოს.

მიუხედავად ეთერის ასეთი, შეიძლება ითქვას, თითქმის არალეგალური ბიოგრაფიისა, ქალ-ვაჟის ურთიერთობა ისე ვითარდებოდა, როგორც უნდა განვითარებულიყო ასეთ დროს. ერთმანეთს კვირაში სამჯერ ხვდებოდნენ კომბაინის ქუჩაზე, სატრანსპორტო საზოგადოების უკან განლაგებულ ჩეკას კუთვნილ ბინაში. ცოტას საუბრობდნენ, მიუხედავად ამისა, ხმალაძე მაინც ცდილობდა ქალის გამოტყვას და სამალავის დადგენას, თუმცა ამ საუბრებს შედეგი არ მოჰქონდა, ქალი ან თავს იკატუნებდა, ანდა მართლაც არაფერი იცოდა ქმრის საქმიანობის შესახებ. დანარჩენ დროს ერთმანეთის აღერსში ატარებდნენ, ამ საქმისთვის კი ის ძველებური, განიერი სანოლი ჰქონდათ შერჩეული, რომელიც საიდუმლო სამსახურს ყოფილი ბინის მფლობელისგან ერგო, რა თქმა უნდა, მისი დაპატიმრების შემდეგ.

– ეჰ, ნეტავ მწერალთა კავშირში მიმიღებდეს ვინმე, ვეღარც ამდენს გამიბედავდნენ. – ამოთქვა მორიგი ხვევნა-კოცინის შემდეგ ეთერმა, ისე რომ თვალის არ მოუცილებია ივანესთვის, რომელიც ნახევრად ჩაცმული, ნესტიანი ასანთით, პაპიროსის მოკიდებას ცდილობდა.

– მერე, მაგაზე ადვილი რა უნდა იყოს, უთხარი შენს ქმარს, არა მგონია მაგის მოგვარება გაუჭირდეს, ქვეყანა ხალხს იცნობს. – ეგერ რომ არ მინდა? – მამ როგორ?

– ღირსეული რამ უნდა შეეკმნა, თუნდაც პატრიოტული რომანი, მერედა როგორ აკლია ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს პატრიოტული სულით გამსჭვალული ნაწარმოები.

– რატომ? ხომ წერენ, ხომ იბეჭდებიან, ჩვენი მთავრობაც ხელს უწყობს, გულსაც უშუქებს და ფულითაც ეხმარება.

– მერე რას წერენ? განა ეს შეეფერება ჩვენს ხალხს, ჩვენს მთავრობას? მოსახლეობასაც ატყუებენ და ხელისუფლებასაც აბუჩად იგდებენ, დიდი მწერლობა კი სულ სხვა რამეა, ვისაც არ უფიქრია სინამდვილის გამოსახვა სხვის წინაშე, მას არ ძალუძს წარმოიდგინოს, თუ რამდენად თავს შეკავებულად უნდა გრძნობდეს მოქმედების დროს უტყუარი ნიჭის პატრონი მოთხრობის მწერალი, არ უნდა უღალატო სინამდვილეს, ხალხის სიყვარული გავლენებს არაფერი დაჰფარო, ყველაფერი სთქვა, ხარ ორ ცეცხლ შუა, მაგრამ რჩეული საკვირლად ახერხებენ ამ დაბრკოლების ძლევას.

– ყველაფერი გცოდნია, დანერას წინ რაღა უდგას. – შეაგულიანა ხმალაძემ, რომელსაც ვერაფრით გაეგო, თუ საით მიჰყავდა მის გულისწორს საუბარი.

– ვცადე, მაგრამ ორი გვერდის იქით ვერ წავედი, აი, შენ რომ დამეხმარო, ჩემს გაჭირვებასაც ეშველება.

– მე რა შემძლია? – გულით გაიკვირვა ხმალაძემ. – როდის იყო, ბუღალტერი მოთხრობებს წერდა?

– დანერა არც მენ დაგჭირდება და არც მე, აბა მომისმინე. – თქვა ქალმა, ლოგინზე ნამოჯდა და, როგორც საიდუმლოს გამხელას შეეფერება, იმდგავარი სახის გამომეტყველება მიიღო. – ეგეთი პატრიოტული რომანი უკვე დანერვილი მეგულეა.

– სად? – ბიბლიოთეკაში, სადაც ვემუშაობ. – ბიბლიოთეკაში სულ დანერვილი რომანები ალაგია.

– არც ეგეთი შტერი ვარ, უკვე გამოცემულ წიგნს ჩემი გვარი მივანერო, მე ჯერ დაუბეჭდავ ნაწარმოებზე გელაპარაკები, ჩემი ამხანაგი წერს, მასაც ჩემსავით წიგნების დახარისხება-აღრიცხვა ავალია, მაგრამ უმეტეს დროს რომანის წერით ერთობა.

– გაჩვენა? – საგულდაგულოდ მალავს, ხან სად, ხან სად, მაგრამ მაინც მოვახერხე ნაკითხვა, საოცარი რამეა, ხალხსაც გამოადგება და მთავრობაც კმაყოფილი დარჩება, წარმოიდგენია, რა ქება-დიდებას შემასხამენ, რას დანერე გაზეულები, შეიძლება ორდენოსანი მწერალიც გახდეს.

– ვთქვით და აიღე, არ გეშინია, საჩივრით მთავრობას რომ მიმართოს?

– ხმასაც ვერ ამოიღებს, ხალხის მტრის შვილს ვინდა მოუსმენს.

– მაშინ აიღე. – სათქმელად ადვილია.

– მაინც რა გიშლის ხელს?

– ჯერ ერთი, რომ სამალავებს იცვლის, მეორე კიდევ ის, რომ რომანი დაუსრულებულია.

– მე ხომ არ მთხოვ რომანის დასრულებას?

– თვითონ უნდა დაასრულოს.

– კი ბატონო, დაასრულოს, მე სანინააღმდეგო არაფერი მაქვს.

– ეხლა უნდა დაასრულოს, რაც შეიძლება ჩქარა, სახელი და დიდება მე ახლა მჭირდება, ძალით უნდა დავასრულებინოთ.

– ეგ როგორ?

– კარგად იცი, როგორაც. – თქვა ქალმა და ივანე მზერით გააშეშა. – ეგეთი უქნია თქვენს სამსახურს.

– რომელ სამსახურს, საბუღალტრო კანტორას?

– თავს ნუ იკატუნებ, კარგად ვიცი, სადაც მუშაობ, გინდა შენი უფროსის გვარი გითხრა, ხშირად იმეორებ ძილში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვერდს იცვლი ხოლმე.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

დოდო გაბედავა

ქალი, რომელსაც თავს უხრიდნენ ჩვენი მწერლები

დედოფალად ესვით ქართველ მწერლებს: ნარმტაცი გარეგნობის, გონებანათელი, კეთილშობილი, თანაც ჩინებული ექიმი. განა საკმარისი მიზეზი არ იყო იმისთვის, რომ თავიანთ მუხად ელიარებინათ? აღიარებდნენ კიდევ. ნათელა ცხომელიძე-ერისთავი – მწერალთა კავშირის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი მათი შთაგონების წყარო და მოწინების საგანი გახლდათ.

ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი. მრავალთაგან მცირედის გაზიარება მოასწრო. ძლივს დავითანხმე ამ მოგონებების ჩანერაზე. ჩემს სიცოცხლეში ნუ გამოაქვეყნებო, მთხოვა. არადა, რა მისი ბრალი იყო, რომ უყვარდათ! სულ ახალგაზრდა, 21 წლის გამოუცდელი ქალი და მის ირგვლივ – უკვე სახელმწიფოებრივი შეყვარებული მწერლები. საცდური დიდი იყო, აშკარად დიდი, მაგრამ გოგი ერისთავი – მისი მეუღლე – ეჭვებით არ განამებულა. კეისარივით, ისიც დარწმუნებული იყო ცოლის ერთგულებაში.


და ახლა, როცა ნათელა ერისთავი ცოცხალი აღარ არის, ამ მოგონებებში ნამიერად გაელვებულმა სათაყვანო სახეებმა მკითხველს იქნებ იმ დროის ნოსტალგია გაუჩინოს, როცა იწერებოდა:

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები! მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი, როგორც ედემი“.



ეს იმ გალაკტიონმა დაწერა, რომელმაც თავი ვერ დაიოკა და ნათელას ქუჩაში მოეხვია. აი, ნათელას ნაამბობი:

„1952 წლის მაისი იყო. მაშინ მეცამეტე პოლიკლინიკაში ვმუშაობდი. ერთ დღით, ჩვეულებრივ, სამსახურში მივიჩქაროდი. მეღიქვ კაზარიაძის სახლს რომ მივუახლოვდი, მოპირდაპირე მხრიდან მომავალ გალაკტიონს მოვკარი თვალი. მთვრალი იყო. ხელები გაშალა და ნაბიჯი ააჩქარა. უნებურად უკან მივიხედე – ვის შეგებებას აპირებს-მეთქი. უეცრად გალაკტიონმა ხელი მტაცა და გულში ჩამიკრა. დავიბენი. გაშვებას აღარ ფიქრობდა. ხალხი შევგუფდა. ყველა ჩვენ მოგვჩერებოდა. ტრანსპორტის მოძრაობაც კი შეწყდა. იცინოდნენ. ერთიანად განითვლებულმა ვუთხარი: „რატომ შემარცხვინეთ, ბატონო გალაკტიონ?!“ „გაზაფხულია, გაზაფხული“ – დამმოდღვრა პოეტმა და ხელი გამიშვა.“



მეორე დღეს პოლიკლინიკაში მოვიდა. ხელი გაჭროდა. დარცხვენილი ჩანდა, მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია გუშინდელზე. მეც უსიტყვოდ შევუხვებე ხელი, ვერაფერი შევკადრე.“

კონსტანტინე გამსახურდიასთან ნათელას ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა. თუმცა მათი ურთიერთობის დასაწყისი მეგობრობის საწინდარს ნამდვილად არ ჰგავდა: „მწერალთა პოლიკლინიკაში მუშაობა რომ დავიწყე, ბატონმა კონსტანტინემ მაშინვე შემიშინა. ჩამოვიდა ქვედა სართულზე, სადაც პოლიკლინიკა იყო მოთავსებული და წარმომიდგა.“

მალე პოლიკლინიკაში მძლოლი გამოგზავნა და ბინაზე გამოძახება გააფორმებინა. მართო არ წავსულვარ, თან ექთანინა წერეთელი წავიყვანე. იმ დროს კოლხურ კოშკში მწერალს გერმანელი მეგობარი სწვოდა. სუფრა იყო გაშლილი. ბატონი კონსტანტინე სტუმარს მიუბრუნდა, ნინაზე ანიშნა და გერმანულად უთხრა: ეს ქალი შენ გაიყვანე, მე კი ამასთან დავრჩებიო. ნამოვდექი, სკამზე მჯდომარეს ზურგის მხრიდან მხრებზე მოვეხვით და გულდან-ყვეტით ვუთხარი: როგორ ვოცნებობდი თქვენთან მეგობრობაზე-მეთქი. იმწამსვე ნამოხტა, სკამზე მე დამსვა, დაიხარა და ხელები დამიკოცნა. ასეც იქნებაო-შემპირდა, მერე სტუმარს განუმარტა: ეს ქართველი ქალიაო!

პირობა შეასრულა – მართლაც ასე იყო. თავისი ყურადღებით მანებებდა, საჩუქრებსაც ხშირად მიგზავნიდა. ბატონ კონსტანტინესთან მეგობრობამ ძალიან დამაახლოვა მის ცოლ-შვილთან. მირანდა განსაცვიფრებელი ქალი იყო. დიდ სიბიბოს იჩენდა ჩემდამი. ის ამბავი მირანდას და თამარიკოს ვუამბე. ბევრი იცინეს.

ერთხელ ბატონმა კონსტანტინემ დილაადრიან შინ დამირეკა. მთხოვა, ავადმყოფთან წამყვი და მდოგვისფერი კაბა რომ გაქვს, ის ჩაიცვიო. მეუცხოვა. თანაც უკვე ჩაცმულიც ვიყავი. აღარ გამომიცვლია. მანქანა გამომიგზავნა და მწერალთა კავშირში მივედი. მწვანე კაბაში რომ დამინახა, დიდი მოკრძალებით გამიმეორა თხოვნა – ნუ მეტყვი უარს, შინ მიბრუნდი და კაბა გამოიცვალეო. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, მაგრამ ისე გულთ მთხოვა, ლამის შემეხვენა, უარი აღარ მითქვამს, ჩავჯექი მანქანაში, წავედი შინ და ჩავიცვი ის მდოგვისფერი კაბა. ბატონი კონსტანტინე მწერალთა კავშირში მელოდებოდა. ისევ მომიხადა ბოდიში ასე შეწუხებისთვის,

მერე ერთად გავემგზავრეთ „ავადმყოფ მწერალთან“, რომლის ვინაობა არც ახლა გამომხილა. როცა მანქანა სადარბაზოსთან გაჩერდა, მაშინლა მივხვდი, რომ გერონტი ქიქოძესთან მივედი. მაშინ ბატონი გერონტი ახალნაოპერაციევი იყო, თავს კარგად ვერ გრძობდა. უახლოესი მეგობრები იყვნენ, ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ახლაც სანუგეშებლად მივიდა და მეც თან მიმიყვანა. კარი ბატონი გერონტის დამ გაგვიღო. ავადმყოფს რომ შევხვებე, გულმა რეჩხი მიყო: საამქვეყნოს არ ჰგავდა. მან კი, ჩემი დაბნეულობა რომ შენიშნა, დას ხუმრობით უთხრა: ჩემი უკანასკნელი სიყვარული ეს ქალბატონიაო. ბატონი კონსტანტინე იქ დარჩა, მე მძლოლა სამსახურში მიმიყვანა. უეცრად მომაგონდა ბატონ გერონტის ნათქვამი: ძალიან გიხდება ეს მდოგვისფერი კაბაო. ყველაფერი ნათელი გახდა. თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ „მთვარის მოტაცებაში“ ავტორს ნათქვამი აქვს: „ცხოვრებაში წვრილმანი და მსხვილმანი არ არსებობს“. ბატონმა კონსტანტინემ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა, მომაკვდავთან რომ წამიყვანა – გერონტი ქიქოძეს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

სერგო კლდიაშვილთან ვმეგობრობდი. ერთხელ მას ბატონ გერონტის წერილები წავაკითხე, ჩემდამი მოწერილი. აღფრთოვანებული დარჩა. მეორე დღესვე გიორგი ნატროშვილი მოიყვანა და მთხოვა, წერილები მისთვისაც მეჩვენებინა. წავაკითხე. ორივე დიდხანს მეხვენა – დავებჭდოთო. უარი ვუთხარი. სერგომ რამდენჯერმე



გადაიკითხა და ამ სიტყვებს იმეორებდა: „შენ წმინდა ხარ კეისრის ცოლივით“.

გაკვრით, ორიოდ სიტყვით ახსენა ნათელამ გოგლა ლეონიძის დიდი და უიმედო სიყვარული. ერთი ასეთი ეპიზოდი მიამბო: „ერთხელ, სამსახურში რომ მივედი, მაგიდაზე ორი ლექსი დამხვდა. ავტორთა გვარები, დაე, უცნობი დარჩეს. ერთ-ერთი ასე მთავრდებოდა: „უდაბნოში ვიყოთ ჩვენ ორნი და, დაე, ქარმა ქვიშის ნაცვლად ყვავილები შემოგვავაროს“. მეორე ლექსი



ნათელა ცხომელიძე-ერისთავი

ღალადებდა: „ლამაზს, მშვენიერს როცა გინოდებ, მიბრაზდები და წყრები ამაზე, რა გააჩუმებს ამდენ პოეტებს, რომელთა შეიგრძნეს ეს სილამაზე!“ თურმე გოგლასაც ნაუკითხავს ეს ლექსები და, გაბრაზებულს, დაუწერია: „რად გინდა ეგ ბრბო, დასვი წერტილი, შეწყვიტე მათი ღრეჭა-ხმაური, ეგ გაცვეთილი, ჭუჭყიანი ქაბინაური, როცა სინმინდ შეგ არ კამკამებს და გული გრძობით არ აივსება. ნუ, ნუ დაუხრი ყველას წამწამებს, მდიდარი გრძობა გაღარიბდება“. გოგლას ბევრი ლექსი აქვს ჩემდამი მოძღვნილი. ეს სტრიქონებიც მე მისახსოვრა: „თვით საქართველოს დიდი პოეტის ლოცვა-კურთხევა თაფლად გადნება.“

სამწუხაროდ, აქ წყდება მოგონებები. აღარ დასცალდა, ვერ მოვასწარით. გალაკტიონით დავიწყეთ და გალაკტიონითვე მინდა დავამთავრო, ოღონდ ეს მოგონება უკვე ნათელას დისშვილს – რუსიკო კაპანელს ეკუთვნის. კიდევ შეხვედრია დიდი პოეტი ქუჩაში თავის ექიმს. ნათელას პატარა დათო და რუსიკო ხლებია თან. კიდევ შეუჩერებია გამვლელები გალაკტიონის გულში ჩამწვდომ ხმას: ხალხო, შეხედეთ, კარგად შეხედეთ, ქუჩაში ანგელოზი მოაბიჯებსო. ოღონდ ამჯერად კადნიერ გამოხდომას პოეტის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ შორიდან შეხვამინა და თაყვანი სცა მის სილამაზეს.

სხვათა შორის, სიცოცხლის მიწურულშიც, უკვე მოძრაობაშეზღუდული, დატანჯული, მრავალჭირგამოვლილი ქალი მაინც მომხიბლავი იყო – აღარ წაართვა ღმერთმა მის მიერვე ასე ხელგაშლით მინიჭებული მშვენიერება.



ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com